# დარიგებანი ბელადს



თბილისი 2014




# უცნობი ავტორი

<u>ყდის სურათები:</u>

ალექსანდრე მაკედონელი

დავით აღმაშენებელი

თემურ ლენგი

ნაპოლეონი

იულიუს ცეზარი

დიდი აკბარი

იოსებ სტალინი

ჩინგიზ ხანი

# დარიგებანი ბელადს

თბილისი 2014
"ქეთრგიჯა"

უაკ (UDC) 1
e - 227

გამოსაცემად მოამზადა:

თ.თავაძემ

ISBN 978-9941-0-6375-6

# დარიგებანი ბელადს

## 1933

ერების კეთილდღეობა ერთი პიროვნების ირგვლივ მკვიდრდება. ისტორიულად, სხვადასხვა დარგში მრავლადაა წარმოდგენილი ამის დამადასტურებელი მაგალითები. რა თქმა უნდა რომ ბევრი ამ უტყუარ მოვლენას, როგორც ასეთს, პიროვნებას მიაწერს. ასე იქცევიან ბეცები, მაგრამ უფრო შორსმხედველნი ხვდებიან, რომ ამგვარი შემკრებნი, სხვა არაფერია თუ არა იერარქიის ძლევამოსილება.

ჭეშმარიტად, ყოველი მოვლენისას იერარქია ირჩევს ფოკუსს, რომლისკენაც მიმართავს ენერგიას. ამას გარდა, ამ განზომილების პიროვნებას აქვს გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი ცეცხლოვანება, რაც აადვილებს მასთან ურთიერთობას, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია სხვა თვისებაც, მხოლოდ უკვე ხალხის მხრიდან, — ნდობა და რეალური ძალის შეგნება. ეს თვისება ისევე საჭიროა, როგორც ცეცხლოვანი მანქანისათვის გადამცემი ჯაჭვი.

თქვენ თვითონ ხედავთ, როგორ იზრდებიან ერები რომლებიც წინამძღოლზე არიან დამკვი-

დრებულნი. თქვენ თავად ხედავთ, რომ სხვა გზა არ არსებობს. ასე უნდა იქნას გაცნობიერებული იერარქიის რგოლი. ნუ გამოვიჩენთ სიბეცეს.

* * *

1. ბელადი დგას ამაღლებულზე, რომელსაც ძირს დასაშვები ფერდობი არ გააჩნია. საპირისპირო საწყისთა საზღვრების გარჩევა, ჭეშმარიტი ბელადის თანდაყოლილი თვისებაა. ამ საიდუმლო საზღვრებიდან იქარგება გამარჯვებების ხალიჩები. ყოველ დღესა და ყოველ წამს ბელადის თვალწინ საიდუმლოებათა ქარგაა გადაშლილი. აი, მის თვალწინ შემწყნარებლობა ან მიმნებებლობა. რა თქმა უნდა რომ პირველიდან იბადება მეორე, მაგრამ მათ შორის სამართლის მახვილია გადებული. შემწყნარებლობა ხომ ნათლის თვისებაა, მაგრამ მიმნებებლობა უკვე ბნელეთსაგანაა. მათ შორის ვიწრო მაღლობზე ბელადის მახვილია გადებული. ვიწროა მახვილისათვის მიჩნეული ადგილი. ასევე ვიწროა წახნაგი ვაჟკაცობასა და სისასტიკეს შორის. მხოლოდ ბელადის გულმა იცის, თუ სად არიან ეს წახნაგები. სამართლის საზღვრების გამოცანა დიად საბჭოებში როდია მხოლოდ, მთელი ცხოვრება იგივე გამოცანებითაა აღვსილი, აი ამიტომაა, რომ ბელადისათვის არ

არსებობს არცა დიდი და არცა პატარა. ბელადის ყურადღება ერთნაირად ბასრია ყოველი გადაწყვეტილებისას. ბელადის მოვლენა რჩევას როდი ითხოვს, თუმცა რჩევის მიღება შეუძლიან. ბელადმა არ იცის დაგვიანება, მაგრამ იგი არავის არ დააყოვნებს. მისი უპირატესობა მოულოდნელი გამოჩენაა და იოლად საზღვრავს, თუ რა დრო ესაჭიროება ყოველ საგანს. ჭორი მას არ ადარდებს, მაგრამ ყოველი სიტყვის გამოყენება შეუძლიან. იგი მოუსყიდველია, რამეთუ მიწიერ სიმდიდრეს როდი მოიხვეჭს. როგორც ადამიანთა გულების მკურნალმა, მან იცის ბგერისა და ფერის მნიშვნელობა. მას უნარი შესწევს გაიხაროს ჭეშმარიტებით, მაგრამ უარჰყოფს ილუზიას. ამგვარად, ბელადის გზა — სიმართლის გზაა.

2. სულით დაცემა ბელადსათვის დამახასიათებელი როდია, მაგრამ მოწამლული ატმოსფეროს ზეწოლას შეუძლიან ძლიერ ცნობიერებაზეც მოახდინოს ზეგავლენა, ამიტომ უძლიერესიც კი არ უნდა დარჩეს კოსმიური მხარდაჭერის გარეშე. აბა რას უნდა მიაღწიოს ბელადმა, თუკი იგი მაშველი კავშირის გარეშე დარჩება? ზუსტად რომ ბელადი, რომელმაც იტვირთა წინამძღვრობა, უნდა დამკვიდრდეს უზენაესი სამყაროებისაკენ მიმავალ კიბეზე. ზუსტად ის, გულის

შემოქმედებით უნდა აძლიერებდეს საკუთარ თავს იერარქიის მადლის ემანაციებით. იგი ხშირი საუბრებით უნდა მიმართავდეს იერარქიას, ამჩნევდეს ყოველ მისთვის გამოგზავნილ ნიშანს, რომლებიც უმეცართათვის მხოლოდ ცრუმორწმუნეობაა. რამდენი საჭირო დაკვირვება იკარგება გაუგებრობისაგან იმისა, თუ რა არის ჭეშმარიტი ცრუმორწმუნეობა. ადამიანები ზოგჯერ უბრალოდ დაკვირვებულ და ფართოდ გახელილ თვალებს უწოდებენ ცრუმორწმუნეობას, მაგრამ ბელადი ცრურწმენასა და უკვე ჩამოყალიბებულ შეხედულებებზე მაღლა უნდა იდგეს. წარმოვიდგინოთ თუ როგორ შეიცვლებოდა ცხოვრება, თუკი გავაუქმებთ ყველა უაზრობას, წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებებსა და წინასწარ განზრახულ გადაწყეტილებებს. ამიტომ ზუსტად მიწიერ მოსამართლეებს უწევთ უმძიმესი კარმის გადატანა.

3. ნუ გშურთ ბელადისა, რამეთუ სიცოცხლის მთელი ტვირთი მის მხრებზეა დადებული. შეიძლება გავიხსენოთ ის თუ როგორი მწარე ცრემლებით ატირდა ერთი მოხუცი ქალი, ოდეს გადაეყარა გამარჯვებულ ბელადს. როდესაც იკითხეს თუ რატომ ტირიხარო, თუკი ყველას გვიხარიანო? მან უპასუხა: “მე ძალიან, ძალიან მეცოდება იგი”-ო.

4. შეიძლება იკითხონ: რატომ ვსაუბრობ ბელადზე და არა ხელისუფალზე? განსხვავება მათ შორის უსაზღვროა. ხელისუფალი გულისხმობს მყოობადს და თითქოს უკვე არსებულს მართვას და იყენებს მას, მაგრამ ბელადი, უკვე თვით სიტყვის შინაარსიდან გამომდინარე, ავლენს *მომავალს.* მას არ მიუღია უკვე აშენებული, არამედ მიჰყავს ერი და ყოველი მისი მოქმედება მომავლისაკენ მისწრაფებაა. ხელისუფალმა იცის მხოლოდ აშენებული და დასრულებული, *ბელადს კი არ დახვედრია წინასწარ დამტკიცებული და ერი სრულყოფილების მთასთან უნდა მიიყვანოს.* თუ ხელისუფლის ტვირთი დიდია, ბელადის პასუხისმგებლობა კიდევ უფრო მაღალია, სამაგიეროდ უზენაესი ძალები საკუთარ ტახტს იქ განამტკიცებენ სადაც ბელადის მმართველობის ნიშნები არის. ბელადი უნდა არჩევდეს თუ სადაა თვალთმაქცობა და სად გულწრფელობა. გულის სიკეთის მოვლენა ძალზედ განსხვავდება ნაძალადევი მსახურებისაგან და ბელადს გააჩნია ძალა განასხვაოს ისინი.

მრავალს წაუკითხავს ის, თუ როგორ მიმართავდა დავითი უზენაეს ძალებს. იგი იყენებდა ამ წყაროს, რათა თავი დაეღწია ზედმეტი შეცდომებისაგან. ასეთი მაგალითები მრავლადაა სხვადასხვა ერების ისტორიაში. ყოველმან უწ-ყის

ამის შესახებ. საჭირო როდია წარსულის ჭაღარა დროთა გახსენება, რამეთუ უახლეს მოვლენებშიდაც ჩანან დიადი მსახურებისა და ურთიერთობის ნიშნები. მაგრამ ისიც ვიცით, რომ დიად ურთიერთობას წმინდა გული ესაჭიროება. ვერანაირი უწმინდური ურთიერთობას ვერ მიაღწევს, ამიტომ ბელადის სიმბოლო წმინდა გულის ნიშანს უნდა წარმოადგენდეს. არა მხოლოდ მოქმედებებით, არამედ აზრებითაც ბელადს ერებისათვის მოაჰქვს ბედნიერება, მან იცის რომ, დავალებული აქვს სავსე თასის მიტანა, იგი გზას არ ასცდება გზააბნეული, არ დაღვრის მინდობილ თასს, — ასე რომ ბელადის მცნება მომავლის ნიშანს წარმოადგენს.

5. გახსოვდეთ, თუ რაოდენ ესაჭიროება ხალხს ბელადის მცნება. მათ სურთ იყოლიონ თავმდები უზენაესის წინაშე, მათ ესმით, რომ ვერ იპოვნიან გზას კავშირის გარეშე, მაგრამ მათ ისიც იციან, რომ ბელადი მოდის. ვერაფერი ვერასოდეს ვერ შეუშლის ბელადს ხელს, თუკი ის დაკავებული არაა მიწიერი გამოვლინებებით, რომლებიც განსაზღვრავენ მის უკან დახევას; ბელადის წმინდა მისწრაფების ვადებზე ადრე შეწყვეტა შეუძლებელია.

6. ყოველი ბელადი საკუთარ გზაზე, რა თქმა უნდა, მრავალ ისეთ გარემოებას გადაეყრება, რომლებმაც შესაძლოა დაამძიმონ მისი კარმა. ეს გარდაუვალია, მაგრამ მხოლოდ ჩვეულებრივი მიწიერი გადაწყვეტილება ვერ განმუხტავს ასეთ დაძაბულობას. რისთვის უნდა იტვირთოს ბელადმა ზედმეტი ტვირთი, თუკი იგი ურთიერთობაში უზენაეს ძალებთანაა დაკავშირებული? ოდეს იგი უზენაეს ძალთა ბრძანებებს აღასრულებს, იგი არ დაიმძიმებს საკუთარ კარმას, მაგრამ ასეთი ბედნიერი მდგომარეობისათვის, მან უზენაესი სამყაროების მიმართულებით მთელი თავისი ცნობიერება უნდა დაძაბოს. მან უნდა მოიცილოს ხელშემშლელი ჩვევები და ხელახლა აღზარდოს თავისი ნებისყოფა, რათა მთლიანად დაუმორჩილოს იგი ხელმძღვანელს. უნდა მივეჩვიოთ ასეთ ურთიერთობას, რათა დამკვიდრდეს იგი ცხოვრებაში როგორც მისი ერთიანი საფუძველი. ასევე, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ცხოველური გრძნობა, ბელადმა არ უნდა იცოდეს შურისძიება. შურისძიებისათვის ბელადს არა სცალიან, ოდეს არ განიცდის შევიწროებას, რამეთუ მუდმივ მოძრაობაშია. ასევე იცის ბელადმა ის, რომ არასოდეს ყოფილა ნაანდერძევი მოსვენება, როგორც ენერგიის მკვლელობა. ესმის ბელადს ასევე ისიც, რომ ეჭვი ჭეშმარიტების

მიება როდია. ყოველი, ვინც შორს იხედება – ჭეშმარიტებისაკენ მიისწრაფის, მაგრამ ეჭვიანი უკან იხედება და ამით იგი საკუთარ სამარეს ითხრის.

7. გაუმტარი ჯავშანი შეიძლება იყვეს ლითონისა ან აბრეშუმისა, მაგრამ საუკეთესო აბჯარი – ცეცხლოვანია. განა როგორ უნდა შესძლოს ბელადმა ნაანდერძევი გზით სვლა, თუ მას ცეცხლოვანი ჯავშანი არ გააჩნია? სხვაგვარად როგორ ავიცილოთ ბოღმის ისრები და სიძულვილის მახვილები? მაგრამ მრავალი ბელადი მიწიერი გონებითაც კი გრძნობდა, რომ სინამდვილეში მათ ცეცხლოვანი აბჯარი იცავდათ. შეიძლება მრავალი წიგნი დაიწეროს ნაანდერძევი ბელადის მაგნიტურ მიმზიდველობაზე. შეიძლება შეამჩნიოთ, რომ არა მისი გარეგნობა, არა ხმა, არა სიმდიდრე, არამედ რაღაც სხვა შთააგონებს ხალხს. უკვე არაერთგზის მითქვია გულის ცეცხლზე. ზუსტად ეს აბჯარი – მაგნიტი იპყრობს და იცავს კიდეც. ნათქვამია: "მივიღებ ჩემს ფარში ყველა ისარს." მაგრამ საჭიროა ამ ფარის გამოჭედვა. ამ ფარის მოვლინება მხოლოდ ზეციურიდან ხდება, მაგრამ რამდენი აზრი და საუბარი უნდა დაერთოს მას, ვიდრე ურთიერთობა შესდგება და ცეცხლოვანი ფარი გამოიჭედება!

არცერთი დღე და საათი არ უნდა დაიკარგოს, რათა ურთიერთობამ სიწმინდეს, რეალობასა და მუდმივობას მიაღწიოს. ტყუილად ფიქრობენ, რომ მეცნიერება გვაშორებს უზენაეს სამყაროს, მას, მეცნიერებას, შეუძლიან მიწიერი სახელების შეცვლა, მაგრამ სამების არსი, როგორც ფუძე, უცვლელი რჩება. მითუმეტეს, რომ ბელადს უნარი შესწევს წარმოიდგინოს ის, თუ სადაა არსი. იქნებ მან არ სთქვას საიდუმლო სიტყვა, მაგრამ იგი მას საკუთარ გულში გრძნობს. ის სიტყვა დაეხმარება ბელადს, სამყაროს გაგება შეინარჩუნოს; ასე ადვილად მხოლოდ ამ სიტყვას მოაქვს ის სასწაულებრივი აბჯარი.

8. ბელადმა იცის, რომ პირადად ის დაუპირისპირეს ბნელეთის ძალებს. ბელადმა იცის, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა დაუნდობელია. ბელადმა იცის, თუ რაოდენ ჩახლართულია ბნელეთის ხრიკები, მაგრამ მას ბნელეთის წინააღმდეგ ორი იარაღი გააჩნია. პირველი — პირადი სიფხიზლე და ცხოვრების ზომიერება; მეორე — სინათლის ძალებთან ურთიერთობა მთელი მათი უძლეველობით. ხუმრობა როდია ბნელეთის მთელ საშინელებათა წინაშე წარსდგომა, როდესაც მათ ვერანაირად ვერ აუქცევთ გვერდს. მაგრამ ბელადი გრძნობს მიმმართველ ხელს და

ბრძოლაში, მასთან ამ ხელის შეგრძნება მოდის, ანდა, მის სხეულზე, მადლის ნიავი იღვრება. არ გამორჩება ბელადს მადლის ამგვარი ნიშნები. ბელადი უნდა ეხმარებოდეს ხალხს და განუმარტავდეს მათ შეცდომაში შემყვან გამონათქვამებს. ამბოხი ცხოვრებისა, უმეტეს წილად, მცნებათა აღრევისაგან ხდება. მაშასადამე ენის საუკეთესო მცოდნენი უნდა შეიკრიბონ, რათა განიწმინდოს სიტყვათა შინაარსი.

9. ბელადმა უნდა იცოდეს წახალისება, უნდა შეეძლოს ჭეშმარიტი ნიჭის გამოცნობა; შესაბამის სამსახურსაც უნდა სთავაზობდეს. ღირსეული ქების მოვლენა აღიარების ბაღნარად გადაიქცევა, მაგრამ უკვე ნათქვამია, რომ მადლიერება უზენაეს სინათლესთან გადებულ ხიდს წარმოადგენს.

10. ვადა და ზომა ბელადის გულში არიან განსაზღვრულნი, მაგრამ ეს ცოდნა განუკითხაობა როდია. ურთიერთობის დამყარება მომავლის მიმართ უტყუარ ცოდნას იძლევა. ნათქვამია ბელადის წინდახედულობაზე, მაგრამ საიდან მოდის ეს წინდახედულობა თუ უზენაესი კარი მისთვის ღია არაა? როგორ უნდა მოხდეს ვადების შეფასება, თუკი ხელმძღვანელი მოვლენათა მსვლელობას ვერ განჭვრიტავს? განა შეუძლიან

ადამიანის გონებას ჩაწვდეს იმას, რასაც ხელმძღვანელი ხედავს? როგორ უნდა ჰქონდეს ადამიანს ამპარტავნება იმისთვის, რომ საკუთარი თავი ყველაზე მაღლა დააყენოს? ამგვარად, უმეცრებს არ ესმით საიდანაა ვადები და ზომები, მაგრამ განათლებულმა გონებამ იცის სინათლის იერარქიის არსებობა.

11. ახლოობის კავშირი, ვით მიზიდულობის კანონი, გასაგებია მღვდელმსახურისათვისაც და მეცნიერისთვისაც. როგორ ხდება არჩევა? ისევე როგორც ვიბრაცია განაცალკევებს სილის ნამცეცებს. შეიძლება შემჩნევა იმისა, თუ როგორ ჩქარობენ ზოგიერი მათგანი შეერთებას, მაგრამ რითმის ასეთი ქარგები სრულებითაც არ ნიშნავენ განცალკევებას, პირიქით, ისინი მხოლოდ ადასტურებენ შეერთებათა შეთანხმებულობას. “ცეცხლოვანო გულო იჩქარე კოსმიურ რითმში და ფიზიკური არსებობის ეს ნაქარგი სილამაზე, გააძლიერე შენით.”

*12. შეიძლება ვუწოდოთ ტირანი იმას ვინც მეგობრულობაზე ზრუნავს? განა როგორ შეიძლება ამ სახელის გამოყენება იქ, სადაც თანამშრომლობას მოუწოდებენ? ან ასეთი სახელის გამოყენება მის მიმართ, ვინც ცოდნისკენ მიილტვის?*

*შეიძლება ასეთის სახელის მინიჭება იმისათვის, ვინც შემოქმედებას აშენებს? ან ვუწოდოთ ეს იმას, ვინც საკუთარი თავის სრულყოფილებას აღრმავებს?* რა თქმა უნდა უმეცარნი ბნელეთისაგან სინათლის ყოველ მტკიცებას უფრთხიან, მაგრამ ეს წვრილფეხა ექიდნენი ბელადის გულის ცეცხლში იწვიან. მრავალი სახელწოდება დაიწერება ფურცლებზე, მაგრამ სამას სამოცი ფურცელი მხოლოდ შეხსენებად გარდაისახება იმის მიმართ, ვინც უკვე მოდის. გულის განსაკუთრებული აღზრდაა საჭირო, რათა გამოიცნო მომსვლელის სახე. მხოლოდ იერარქიასთან ურთიერთობა განამტკიცებს სინათლისაკენ განუხრელ მოძრაობას. ვის შეუძლიან თვალის მომჭრელ სინათლეს გაუსწოროს მზერა, თუ მანამდე მისი თვალები აღმასვლის კიბის ბრწყინვალებას არ იყვნენ ნაზიარევი?

13. სამშობლო სულის განსაკუთრებული წყობისაკენ მაგნიტურ მიზიდულობას განამტკიცებს. ეს მცნება შეიძლება გავაღარიბოთ პირმოთნეობით, მაგრამ უზენაესი ურთიერთობა მშობლიური მიწის ამაღლებული ცნობიერებით გამდიდრების საშუალებას იძლევა. მხოლოდ მიწიერი სამშობლო როდი იზიდავს ადამიანს, იგი უსასრულობისაკენ მიმართულების მხოლოდ საწყი-

სი წერტილია. განა შეიძლება მიწიერი სამშობლოს უსასრულობასთან შედარებით დამცირება, პირიქით, ყოველი ამაღლება ბელადის გულის ღირსი მოვლენაა.

14. დახმარების გაწევის სურვილი ბელადის შემამკობელი მოვლენაა. რამდენი შესაძლებლობა იბადება ამ კეთილშობილი სურვილისაგან. მრავალი სურვილი ვნებებში გადაიზრდება, მაგრამ <u>დახმარების სურვილი თავდავიწყების ფესვია.</u>

15. შრომის სიხარულის მქობნე ერებს, უფლება აქვთ ელოდებოდნენ ბელადისაგან შრომის სამართლიან შეფასებას. ბელადმა შრომას, როგორც ძირითად ფასეულობას, ღირსეული შეფასება უნდა მიანიჭოს. ბელადმა უნდა გამოავლინოს ჭეშმარიტი დამსახურების მოვლენა როგორც გონებრივი, ასე შემოქმედებითი და ფიზიკური შრომის დარგში. სიხარული შრომის შედეგი უნდა გახდეს. განმანათლებელ სანახაობათა და საუბართა სიმრავლე, ასევე დამამშვიდებელი და აშკარა წინამძღვრობაც იქნება. <u>შეიძლება გეს-მოდეს, რომ შრომის სიხარულის მქონე ერებს არა ჰყავთ გადამდგარი მოღვაწენი.</u> მხოლოდ ავადმყოფობა თუ ღრმა მოხუცებულობა იძლევა საზოგადოებრივად დამსახურებულ უზრუნვე-

ლყოფას. მაგრამ დაუშვებელია გადადგომა იქ, სადაც ძალები ამოუშრეტელია, რამეთუ შრომა სიხარულია. შეუძლებელია წაართვა ადამიანებს შრომა, თუმცა საჭიროა შეურჩიო მათ ისეთი სამსახური, რომელიც ახლოა მათ ბუნებასთან. ამისათვის საჭიროა განათლებულ მეცნიერთა საბჭო, რომლებიც ყოველგვარი ცრუმორწმუნეობისა და წინასწარი შეხედულებების გარეშე შეძლებენ განათლებულ მსჯელობას. ბელადი ირჩევს ამ საბჭოს, და მის პირად პასუხისმგებლობას უნდა წარმოადგენდეს ის, რომ ასეთ საბჭოში არ დაუშვას უმეცარნი და ბნელეთის მსახურნი. გაფიქრებაც კი დაუშვებელია იმისა, რომ შრომა და თანამშრომლობა უმეცართა და ანგარებიანთა უსინდისო ხელების მქონე ადამიანებს დაევალოს. შრომა ცნობიერების ხარისხის მაჩვენებელია. შრომას ადამიანთა ცნობიერება თვითსრულყოფილებისაკენ უნდა მიჰყავდეს და აი მაშინ, შრომა აღმავლობის დროშად გარდაიქცევა, რასაც კვალად მოჰყვება სიხარული და ჯანმრთელობა. ამგვარად ბელადი უპირველესად ყოვლისა შრომის ქომაგი და მფარველია და თავადაც შეუძლიან შრომაში გახარება.

16. იპოვნით ადამიანებს, რომლებიც იტყვიან – ძირს ბელადები, ძირს მასწავლებლები, ძირს

ხელმძღვანელები. იცოდეთ, რომ ისინი პარაზიტებია, რომლებიც ამბოხითა და ღრჭნით იკვებებიან. *სიცრუე და შევიწროებაა ამ პარაზიტების ცხოვრების ფუძე, ისინი ჩუმად იხვეჭენ სიმდიდრეს და უარს არ იტყვიან ფუფუნებაზეც.* ასე უნდა განასხვაოთ და გაარჩიოთ ყოველი იმით, თუ ვინაა თავისი ბუნებით მშენებელი და შემოქმედი და ვინ დამანგრეველი. ამგვარად სამართლიანობა იქნება იმყოფებოდე იმათთან, ვინც შრომის სიხარულის ფასი იცის. მათ იციან როგორც ხელმძღვანელების ასე მასწავლებლების დაფასება, რამეთუ მათი ბუნება მისწრაფებულია კოოპერაციისაკენ.

17. სასწაულები ცოცხლობენ. ზუსტად რომ ღირს სიცოცხლე სასწაულთა შეცნობით. მრავალი უკვე გამზადებული სასწაულებრივი მოვლენა დაიმსხვრა მხოლოდ ჩლუნგი უარყოფისა და ცნობიერების სამარცხვინო სიბრმავის გამო.

18. სქესთა და ერთა თანასწორუფლებიანობა სახელმწიფოს მდგრადობის ერთ-ერთი საფუძველია. ბელადმა სრული პასუხისმგებლობით უნდა აიღოს საკუთარ თავზე ამ საფუძველთა დაცვა. ვერც ერთმა გადმონაშთმა ხელი ვერ უნდა შეუშალოს იმას, რაც თვით ბუნებითაა დადასტურებული.

19. სასამართლო პროცესების დაჩქარება მოსახლეობას მხნეობას მიანიჭებს. ბელადმა უნდა იკისროს პასუხისმგებლობა, რომ სასამართლო პროცესები დაუყოვნებლივ განიხილებოდნენ. მოსამართლეებმა გამოცდა უნდა გაიარონ არა მხოლოდ სამართლებლივ ფორმულათა ცოდნაში, არამედ მათ მართებთ ადამიანთა გულების ცოდნაც. შეიძლება სხვადასხვა ექსპერტების მოწვევა, მაგრამ თავად მოსამართლეს უნდა ახასიათებდეს ფრიად განათლებული ცნობიერება. თავად ბელადი უნდა სინჯავდეს მოსამართლეთა ცნობიერებას. მართლმსაჯულება – სახელმწიფოს კეთილშობილების მოვლენაა.

20. არავინ არ უნდა იცოდეს ბელადის დღის წესრიგის განაწილება მთლიანობაში, რადგან მოსახლეობა მას ყოველ წუთსა და საათში უნდა ელოდებოდეს მათდა დასახმარებლად და გასამხნევებლად. არავინ იტყვის უარს მიიღოს ბელადი ალიონზე თუ შუაღამისას. ასევე გადაადგილების საშუალებებსაც ბელადი თავადვე ირჩევს მოულოდნელად, თანმხლებ პირებს თუ სამოსელსაც ასევე ბელადი ამტკიცებს.

21. ბელადი ერის მხოლოდ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე როდი ზრუნავს, არამედ ის სულიერ

სიმტკიცესაც იცავს. მას ესმის სულიერ ფასეულობათა თავისუფლებების აუცილებლობა. ის შეკრებს გამოცდილ ადამიანთა საბჭოებს, რათა სულიერი თავისუფლება არ დაირღვეს, ვინაიდან ასეთი თავისუფლება ფრთებია ერისა.

22. ფულადი ნიშნები ორი ნაირსახეობისა რჩება. ერთი უცხოეთში და მეორე შიდა სახელმწიფოებრივი გამოყენებისათვის. ამგვარი შინაგანი ნიშნები თუ კოოპერატივის მოწმობები ძალიან ხელშემწყობად მოქმედებენ შიდასახელმწიფოებრივი მრეწველობის განვითარებაზე. იგივე ნიშნები ხელს უწყობენ სასაქონლო თუ კუსტარული წარმოების ნივთების მიმოცვლას. ამ ნიშნების რაოდენობა შეუზღუდველია და განპირობებულია ქვეყნის წარმოებით. ამგვარად ქვეყნის ყოველ მოსახლეს შემოსავლის სამი წყარო აქვს: პირველი – უცხოური ვალუტის მცირე რაოდენობა, რომელიც შეიძლება გაიზარდოს განსაკუთრებულ ამოცანებთან დაკავშირებით, რასაც სახელმწიფო ამართლებს; მეორე – შინაგანი მოწმობებიდან, რომლებიც შრომითაა უზრუნველყოფილი; მესამე – ნივთებისა და პროდუქტების მიმოცვლის შედეგად მიღებული შემოსავალი.

23. *ერების განათლება უნდა დაიწყოს ბავშვების დაწყებითი განათლებით რაც შეიძლება ადრეული ასაკიდან.* რაც უფრო ადრე, მით უკეთესი. მერწმუნეთ, რომ ტვინის გადაღლა მხოლოდ მოუქნელობის შედეგია. ყოველი დედა, რომელიც ბავშვის აკვანთან მიდის, განათლების პირველ ფორმულას ამბობს: *შენ ყველაფერი შეგიძლიან.* საჭირო არაა აკრძალვები, გინდაც მავნესი,– ნუ აუკრძალავთ, უმჯობესია ბავშვის ყურადღება გადართოთ უფრო სასარგებლოზე და მიმზიდველზე. ის აღზრდა იქნება უფრო მიმზიდველი, რომელიც სიკეთის მიმზიდველობას განადიდებს. ამასთან ერთად ნუ დავასახიჩრებთ მიმზიდველ ხატებებსაც, თითქოსდა ბავშვის უგუნურობის გამო. ნუ დაამცირებთ ბავშვებს. მტკიცეთ გახსოვდეთ რომ *ჭეშმარიტი მეცნიერება მოწოდებითია, მოკლე, ზუსტი და მშვენიერი.* საჭიროა, რომ ოჯახებში თუნდაც ჩანასახის სახით არსებობდეს განათლების მიმართ სწორი წარმოდგენა. შვიდი წლის შემდეგ ბევრი რამ უკვე დაკარგულია. ჩვეულებრივად სამი წლის შემდეგ ორგანიზმი სავსეა აღქმებით. აღმზრდელის ხელი ბავშვის პირველივე ნაბიჯებიდან მის ყურადღებას უნდა მიმართავდეს შორეული სამყაროებისაკენ. ახალგაზრდა თვალმა უნდა იგრძნოს უსასრულოობა. ზუსტად თვალი უნდა მიეჩვიოს დაუშვას უსას-

რულოობის არსებობა.

ასევე აუცილებელია, რომ სიტყვა ზუსტად გამოხატავდეს აზრს. განიდევნება სიცრუე, უხეშობა, და დაცინვა. ღალატი ჩანასახშივეა დაუშვებელი. შრომა, *„მსგავსად დიდებისა"*,*–მოსაწონია.* სამ წლამდე ასაკის გონებაში იოლად ეტევა კოოპერაცია. დიდი შეცდომაა აძლევდე ბავშვს სათამაშოებს საკუთრებაში მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უფრო იოლად მიხვდება, რომ საგნები შეიძლება იყვნენ საერთო.

შეგნება იმისა, რომ *„ყველაფერი შემიძლიან"*,– ბაქიობა როდია, არამედ აპარატის შესაძლებლობათა გაცნობიერება. ყველაზე დაჩაგრულიც კი მოძებნის უსასრულობისაკენ მიმავალ ინფორმაციულ არხს, რადგან, ხარისხისდა შესაბამისად, *ყოველი შრომა, თავისი ხარისხით, ყველა კარს აღებს.*

24. სწავლა დაწყებითსა და საშუალო სკოლებში ერთნაირი უნდა იყვეს ორივე სქესის ბავშვებისათვის. არ შეიძლება ბავშვს თავს მოახვიო სპეციალობა, როდესაც მას თავისი ნიჭი ჯერ ვერ გაუცნობიერებია. ამისათვის საკმარისია უმაღლესი სასწავლებელი, სადაც პროგრამა დაყოფილი იქნება შესაბამისი ნიჭის მქონეთათვის. აი ასე შეიძლება მათი განათლების გაერთიანება,

როდესაც სტუდენტები საკუთარ მონაცემებს დასაწყისშივე ამჟღავნებენ. მნიშვნელოვანია ის, რომ პროგრამა სქესის განურჩევლობას გულისხმობდეს. თუნდაც მარტო ეს პირობა წაშლის ძალზედ მავნე დამოკიდებულებას სქესის მიმართ.

25. საჭიროა სკოლის პროგრამების გადახედვა რათა გავაძლიეროთ სარწმუნო განათლების მიმართულება. *ცრუ რწმენის იდეალიზირებას ადამიანები შეშლილობის დილეგებში ერეკება. ამ სასკოლო აზროვნების გამართვა დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს, სხვაგვარად გონებაჩლუნგების კიდევ ერთი თაობა შეარცხვენს პლანეტას.* უნდა გაძლიერდეს ბუნებისმეტყველება, ამ სიტყვის სრული გაგებით. ბიოლოგია, ასტროფიზიკა, ქიმია ბავშვის ტვინის ყურადღებას მიიქცევენ ადრეული ასაკიდანვე. მიეცით ბავშვებს აზროვნების საშუალება. ასევე გააღრმავეთ დაწყებითი სკოლების კურსი. ეს რჩევა მოცემულია დაუყოვნებელი გამოყენებისათვის.

26. საჭიროა ყოველი დაძველებული საგნების მოცილება. ძველი ენები გამორჩეულები უნდა გავხადოთ. რა თქმა უნდა, რომ პროგრამები იცვლებიან მოსახლეობის შემადგენლობის შესაბამისად. სამაგიეროდ აუცილებელია შემოვიღოთ

ზოგადი ენათმეცნიერების სწავლება. განსაკუთრებით უნდა განავითაროთ სახვითი სწავლება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, გეოგრაფია, გამოყენებითი ცოდნა და ხელობა. შეიტანეთ სხვადასხვა რელიგიების სულისკვეთების მქონე შესაბამისი სულიერი საუბრები მოსწავლეთა შემადგენლობის შესაბამისად. ქალაქისა და სოფლის გიმნაზიათა სწავლების განსხვავება უნდა მოისპოს. ყველასათვის ერთიანი დაწყებითი სკოლა, ყველასათვის ერთიანი საშუალო სკოლა და ყველასათვის ერთიანი უნივერსიტეტი.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ დაწყებით სკოლას. დაწყებით სკოლაში ათ წლამდე სწავლა, — ერთობლივია. საშუალო 10-დან 16-მდე, თუმცა გასაგებია, რომ ეს დამოკიდებულია ნიჭზეც. საშუალო სკოლა აღარ უნდა იყვეს გაერთიანებული, გოგო-ბიჭების თვალსაზრისით. გამოცდები უნდა გაუქმდეს, მაგრამ ყოველმა მოწაფემ დამოუკიდებელი ნაშრომი უნდა წარადგინოს. დაე შვიდი წლის ბავშმაც წარმოაჩინოს საკუთარი თავი. ასე უფრო სჯობიან ნიჭის აღმოჩენა. სკოლები ყველაზე ლამაზი შენობები უნდა იყვნენ.

*სულიერი საუბრები განსაკუთრებულ ოთახებში უნდა მიმდინარეობდნენ, სადაც ყოველი რელიგიის დამაარსებლის სურათები იქნება გამოფენილი.*

სკოლების მიმართ დავძენთ: დაე ნუ ჩაკლავენ სულის ინდივიდუალობას. *<u>რა თქმა უნდა ყოველი პოლიტიკა გამორიცხულია.</u>* მიმაჩნია — საზაფხულო ბანაკები ძალზედ სასარგებლოა. სამხედრო სკოლები უქმდებიან, *<u>მაგრამ სამხედრო დისციპლინა უნდა შემოვიდეს სკოლებში.</u>* სამხედრო საქმიანობისაკენ მიდრეკილთათვის უნდა დაწესდეს სამხედრო აკადემია, დაწესებულება, რომელიც უნივერსიტეტის ტოლფასი სასწავლებელია. სამხედრო აკადემიის კურსანტები თავისუფლდებიან სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან, რამეთუ ითვლებიან სამხედრო სამსახურში, დანარჩენებმა უნდა იმსახურონ ჯარში.

ქალები ქალაქის სამეურნეო საქმიანობაში უნდა მონაწილეობდნენ.

27. ჭეშმარიტი სკოლის უპირველესი ამოცანაა, *<u>გონების მომავლისაკენ მიმართვა. არავის არ უნდა იმის გაგება, რომ ცნობიერების მომავალში გადატანა — მზიდი მაგნიტის ჩამოყალიბებაა.</u>* მაგრამ საქმე იმაშია, რომ ცნობიერება სრული სისავსით უნდა მივმართოთ მომავლისაკენ. ბევრი ფიქრობს, რომ შეიძლება ზოგჯერ გაიფიქრო მომავალზე და შემდეგ კვლავ წარსულში იბანაო. საჭიროა არა მხოლოდ ცალკეულ აზრებს უძღვნიდეთ მომავალს, არამედ ცნობიერების არსის

მთლიანად მომავალზე აწყობა. არ შეიძლება აიძულო საკუთარი თავი ამგვარი ტრანსფორმაციისათვის, ამის მიღწევა მხოლოდ მომავლის სიყვარულითაა შესაძლებელი. შრომის სიხარულის ქვეყანა, რომელიც სრულჰყოფს შრომის ხარისხს, ბუნებრივადაა მისწრაფებული მომავლისაკენ. _ბელადის ვალია – მიმართოს ერი მომავლისაკენ._

28. მსოფლიოს ევოლუციური პროცესები ძალზედ მიმზიდველად უნდა იყვნენ გაშუქებული სკოლებში. *სამშობლო მსოფლიო პროცესებიდან იჭედება* და მას სავსებით განპიროებული ადგილი და მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს. ყოველმა უნდა რეალურად იცოდეს საკუთარი სამშობლოს ჭეშმარიტი ფასი, მაგრამ ის უდაბნოში ამოსულ ეულ ხეს არ უნდა დაემსგავსოს, მას სხვა უამრავ ერებთან საკუთარი თანამშრომლობა უნდა გააჩნდეს. ასევე რწმენა უზენაესი სამართლის მიმართ, რეალური სინამდვილის ცოდნის შედეგად მოვა. მსოფლიოს პროცესებმა დაე თავად მოიძიონ საკუთარი შინაარსის განმარტებათა მომცემნი. თავად ბელადი უნდა ადევნებდეს ყურადღებას იმას, რომ ერების ეს დიადი გზები არ გამრუდდნენ უმეცართა საამებელად.

29. ყოველი გაერთიანება მხოლოდ კოოპერატიულ საწყისებზე შესდგება. საკმარისია დაუშვა დაპყრობის ელემენტი ან დათრგუნვა და დამცირება, რომ ადრე თუ გვიან ეს ამაზრზენი აჩრდილები გადაიზრდებიან ყოვლისშთანმთქმელ და დამანგრეველ ურჩხულებად. ამიტომაა, რომ ციხე-სიმაგრეების შენებისას დაუშვებელია ძალადობა. შეიძლება სიხარულის ძლევამოსილება თანამშრომლობაში მოიპოვო, მაგრამ ასეთი თანამშრომლობა, უკვე აზროვნების ხელოვნებას ითხოვს.

ნაყოფიერი შრომისათვის ვინ ანაწილებს ძალებს? მხოლოდ ის, ვისაც სასარგებლო თანამშრომლობა წარმოუდგენია. მას უნდა შეეძლოს ასეთი საერთო საქმიანობის წარმოდგენა, მაგრამ, როგორც იცით, წარმოდგენა უნდა შეიქმნას. ყოველი სკოლის ამოცანაა, – განავითაროს დასაბუთებული წარმოდგენები.

30. ყოველი გაფიცვის მქონე მოძრაობა დაუშვებელია როგორც წარმოების მოშლის მოვლენა. მხოლოდ განსაკუთრებულად უხეში სახელმწიფოებრივი ფორმების დროს ხდება ასეთი შეშლილობები. კაცობრიობა გონიერების იმ საკმარის დონეზე იმყოფება, რომ სადაო საკითხების თავიდან აცილების გონივრულ მოლაპარაკებათა

გზის მნიშვნელობა ესმოდეს. *ყოველი დამანგრეველი პირობა სასწრაფოდ უნდა იქნას მხილებული.* მტრობის პირობებში, კოოპერაციაზე საუბარიც კი შეუძლებელია. *გონივრული ძალები უნდა გაერთიანდნენ იმისათვის რომ თავიდან აიცილონ კატასტროფის საშიშროება.* მექანიკურ აღმოჩენებს, სულიერი შეგნებაც რომ დაუმატოთ, მაშინ წონასწორობაც მიღწევადი იქნება.

31. *კოოპერატივების გარდა, არსებობენ კულტურულ ურთიერთობათა საძმოები.* ბევრი როდი მიხვდება იმას, თუ სადაა საქმიან კოოპერატივსა და კულტურის საძმოს შორის გამავალი ზღვარი. *მაგრამ ყოველ სკოლას, ყოველ დაწესებულებას შეუძლიან ადამიანთა ისეთი გარკვეული წრეების გაერთიანება, რომლებსაც სულიერი სრულყოფილებისაკენ მისწრაფების უნარი გააჩნიათ.* საჭიროა გაერთიანებებისათვის ყოველნაირი ხელშეწყობა. მოქნილ დამრიგებელთა მრავალი კადრი უნდა ეწვიოს ასეთ საძმოებს და შემეცნების სიხარულს ანიჭებდეს მათ. *სახელმწიფო მხარს უჭერს დამრიგებელთა გამრავლებას.* ისინი შეიძლება სხვადასხვა სპეციალობებისანი იყვნენ, მაგრამ შვებულების დროს ისინი დროის ნაწილს ამგვარ საძმოთა მონახულებას დაუთმობენ. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დამრიგე-

ბელთა განსხვავებულ პროფესიებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლიათ მათ სხვადასხვა კუთხ-ით გააშუქონ მიმზიდველი აღმოჩენები თუ მიღწ-ევები მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

განსაკუთრებით წასახალისებელი არიან ბავშ-ვები სიცოცხლის სრულყოფილებისაკენ მათ მის-წრაფებებში. შეიძლება პრიზები გადაეცეს ახალ-გაზრდა გამომგონებლებს და ამ დროს, საჭირო არაა ვიზღუდებოდეთ ცხოვრების მხოლოდ მექა-ნიკური ნაწილით. ასეთივე გაუმჯობესებანი შეი-ძლება შეიტანოთ ყველგან, თუნდაც ფრიად ამა-ღლებულ სფეროებშიდაც კი, — ამგვარად ერის გონება დაეთხოვება ძილს. მაგრამ ყოველი გაუმ-ჯობესება, თავისი არსით, პოზიტიურია. მხო-ლოდ განუწყვეტელი, მიმზიდველი მოძრაობით შეიძლება იქნას მიღწეული ეროვნული აყვავება.

32. რა სხვადასხვაგვარად ხორციელდება მშენე-ბლობათა გეგმები. *ოდესღაც ვამბობდით, — გაე-ცი ყველაფერი.* ეხლა უფრო შორს მივდივართ და ვამბობთ: *აიღეთ ყველაფერი, მხოლოდ სა-კუთრებად ნუ მიითვლით.*

უბრალო საზრიანობაც კი მიგვანიშნებს იმას, რომ შეუძლებელია წაიყოლიო თან ყოველი მიწი-ერი ნივთი. მაგრამ ისინი სულის მონაწილეობით არიან შექმნილნი, ამიტომ ნუ უგულებელყოფთ

მათ. როგორ შეიძლება გვერდი აუარო ბუნების ყვავილებს? მაგრამ სულის ქმნილებანიც – ასევე კაცობრიობის ყვავილებია. დასანანია, თუ მათი სურნელი და ფერი არასრულყოფილია.

33. _*კარგია აცნობიერებდე საგანთა ფლობას საკუთრების გრძნობის გარეშე.*_ კარგია იქონიო საგნები, რათა მოუარო მათ და უფრო მეტიც, – აღავსებდე მათ სიკეთის აურით იმ აზრით, რომ გადასცე ისინი სხვას. შემოქმედი ხელის მოვლენა, კერძო საკუთრების მიმართ მიჯაჭვულობის გარეშე სახლობს სახლში და გაუმჯობესებული სხვასთან წაიღებს სიხარულს. და გამღები ხელის ნიშანი უწყვეტლივ რჩება მასზე, ამაშია საგანთა გამართლება. ამის გაცნობიერებით ურთულესი საკითხი იქნება გადაწყვეტილი. ვამბობ მსოფლიოსათვის, რამეთუ მსოფლიოს ყველაზე დიდი ხიფათი, საკუთრების მიმართ არარსებული მიჯაჭულობაა. უამბო ეს ხალხს, – ნიშნავს აღმოფხვრა სიბერის შიში.

საკუთრების გარეშე ფლობის მოვლენა პირობითი მემკვიდრეობის გარეშე გზებს იძლევა. *ვისაც გაუმჯობესება შეუძლიან, მფლობელიც ისაა.* ეს ეხება მიწასაც, ტყესაც და წყალსაც. ყოველი მიღწევა მექანიკაში, ისევე როგორც სხვადასხვაგვარი გამოგონებანი,–იგივე კანონს

ექვემდებარებიან. იოლი წარმოსადგენია, როგორ ამუშავდება სახალხო შემოქმედება, განსაკუთრებით იმის ცოდნით, რომ მხოლოდ სული იძლევა საუკეთესო გადაწყვეტილებას. სულის კერას მიმართავენ კითხვებით — როგორ უფრო სჯობიან? და სულის მახვილები დალახვრავენ თვალთმაქცობას. ჭეშმარიტად, მომგებანია უკეთ გაკეთდეს ყველაფერი. მარტივი კანონია ისევე, როგორც ყოველივე კანონი სულში.

34. როდესაც მემკვიდრეობის მიმართ სირთულეები ჩნდებიან, შეიძლება ვთქვათ: ანდერძი გაუქმებულია, მაგრამ შეიძლება დაუტოვო სახელმწიფოს სურვილი, რომ გარკვეული საგნით ფლობის უფლება გადაეცეს ცნობილ პირს, სამი წლით გამოსაცდელი ვადით. ამგვარად მემკვიდრეობა ღირსეულთა კოოპერაციის საგნად გადაიქცევა. შეიძლება საგანგებო რჩეულებს დაევალოს შრომის ხარისხის მეთვალყურეობა. ფრიად სასარგებლოა ინერგებოდეს წარმოდგენა მუდმივი გამოცდის შესახებ, რამეთუ ხალხმა არ იცის, რომ მისი შრომა მუდმივ შეფასებაშია. სინამდვილეშიც ასეა, სამყაროს ყოველი ნივთიერება ურთიერთგამოცდაშია. ამგვარად, გამოცდის უკან იგულისხმება გაუმჯობესება.

35. ევოლუციის საფუძველში ჭეშმარიტი კოოპერატივისაკენ მისწრაფებაა. კოოპერატიული წყობა,–ერთადერთი ხსნაა. *უმეცრების გზის მოშლა, მხოლოდ შემოქმედების გაღვიძებით ხდება. არა უშავს თუ მისი ფორმები შემაძრწუნებელიც კი იქნებიან.* გინდაც რომ მზეს ჭრაქიდან ამზადებბდნენ უჩუმრად, მაგრამ ადიდებული ნაკადი შემოქმედებისა გაარღვევს მატერიის კედელს. ახალი აღმოჩენები გაამძაფრებენ აღმოჩენათა სურვილს. ბირჟის მაქინაციების სანაცვლოდ აღმოჩენათა ძიებანი უნდა წავაქეზოთ, რასაც კოოპერატივი შეუწყობს ხელს.

36. *ნუ იცხოვრებთ ფულიდან მიღებული შემოსავლით. ეს უწმინდური შემოსავალია.* უმჯობესია საგანთა გაცვლა-გამოცვლამ მოიტანოს სიკეთე, უკიდურეს შემთხვევაში დასაშვებია საგანთა იმ ფულზე გაცვლაც, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ყიდვა-გაყიდვის პროცესში.

*დანაშაულებრივი სპეკულაცია განუხრელად უნდა იდევნებოდეს, რამეთუ დედამიწა სნეულია სპეკულაციით.* ყოველ ეპოქას თავისი სნეულება ახასიათებს, — ამჟამად დედამიწა სნეულია სპეკულაციით. ნუ ვიფიქრებთ, თითქოს კაცობრიობა მუდამ ამ სენით იყო სნეული. მაგრამ იგი არსებითი ცვლილებების ნიშანია, რამეთუ ნელ-ნელა

ვერ გადაივლის იგი და საჭიროა ევოლუციის პაროქსიზმი რათა დავამსხვრიოთ ეს ჭირი.

37. *ფულადი მოწყალება უნდა მოისპოს.* დახმარება დასაქმებით ან საგნებით. უმუშევრები არ უნდა იყვნენ, ოდეს ერი სულის მიმართულების გეზით წავა. ჩვენი საქმეა — სრულყოფილების სიკეთის ჩვენება არა უხილავი სამყაროსათვის, არამედ საკუთარი თავისათვის.

38. *მთავარი გაუგებრობა იმაში იქნება, რომ შრომა, — დასვენებაა.* მრავალი გართობის გაუქმება მოგიწევთ. მთავარია გავაცნობიეროთ, რომ მეცნიერების, ხელოვნების ნაწარმოებები განათლებაა და არა გართობა. რიგი გართობებისა უნდა მოისპოს, როგორც გარყვნილების კერები. *განათლების ფრონტმა უნდა აღგავოს რეგვენთა საბუდარები, რომლებიც კათხა ლუდს უზიან. ასევე გინების მოვლენამ გაცილებით მკაცრი სასჯელი უნდა დაიმსახუროს.* ასევე *ვიწრო სპეციალისტის შეზღუდულობაც* უნდა დაიგმოს.

39. *თაყვანი ვცეთ ბელადს გაგების მთელი სისავით.* განვამტკიცოთ ბელადის მოვლენა, რომელიც მუდმივად იღწვის წარმატებაშიც და წარუმატებლობაშიც. *ბელადს საგმირო საქმეთა ჩაუქრობელი ცეცხლი მოაქვს.* სიცოცხლის მოძ-

ღვრება არ წყდება არცა დაღლილობისა და არცა გულდაწყვეტილობის გამო. *ბელადის გული ერის გმირობით ხარობს.* მას შიში არა აქვს, და მის ლექსიკონში არაა სიტყვა "*შეშინია*". საკუთარი მაგალითით იგი თვალის მომჭრელ სინათლეს ანთებს და ერის ცნობიერებას აქანდაკებს.

ბელადის ხელებს მოსვენება არა აქვთ. ბელადის თავზე საქმეთა მთელი სიმძიმე დგას. ბელადის გონება მტკიცე გადაწყვეტილებებს პოულობს. გამოცდილების ძალა ამსხვრევს სხვათა უძლურებას. ზარალის ზღვარზე ახალ შესაძლებლობებს განახორციელებს. უკან დახევის ზღვარზე აშენებს ციხე-სიმაგრეებს. მტრის თვალწინ ააფრიალებს დროშას. დაღლილობის დღეს დასვენების დღედ აცხადებს. გაუგებრობის მოვლენას დებულობს როგორც კარის ზღურბლზე დაყრილ ნაგავს. სანუკვარს, სამუშაო სამოსელის ნაკეცებში მალავს. სასწაული ბელადისათვის მხოლოდ ცხენის ნალის ნაკვალევია. გაბედულება ბელადისათვის, სადილის პურია!

40. ოთხი ქვა უძევს ბელადს საკუთარ მოქმედებათა საფუძვლად. პირველი — *იერარქიის თაყვანისცემა*. მეორე — *ერთობის* ცოდნა. მესამე — *თანაფარდობის* ცოდნა. მეოთხე — *"უფლითა შენითა"* კანონის გამოყენება.

41. ბელადი თავისუფლების დისციპლინით გამოირჩევა. არა მხოლოდ სულია დისციპლინირებული მასში, არამედ გარე მოქმედებათა ხარისხიც. ზედმეტად დაღონება ბელადის ჩვევა რიდია. ზედმიწევნითი სიზუსტით ადამიანთა დათვლა, ბელადს არ ახასიათებს. ზედმეტი ლოდინიც არაა მისი თვისება. უნდა შეგეძლოს რთული გეგმის უფრო მარტივით შეცვლა და არასოდეს პირიქით. და ეს იმიტომ, რომ *მტერი მარტივიდან უფრო რთულზე გადადის.*

42. უნდა გამოამჟღავნოთ სულის დისციპლინა, მის გარეშე ვერ გახდებით თავისუფალი. *მონასათვის იგი ციხეა, თავისუფალისათვის კი, დისციპლინა მშვენიერებისა და განკურნების ბაღნარად გადაიქცევა.*

სულის დისციპლინის მწვდომი მიხვდება ცეცხლის მიმართულებას და *საერთო სიკეთის კოოპერაციასთანაც მივა.* *გზის დასასრული კი, საერთო სიკეთის ათასობით ცეცხლის ჩირაღდნებით აელვარდება.*

43. *მკაფიო, მოკლე ბრძანება ძნელია, სამაგიეროდ იგი უფრო ძლიერია ვიდრე მაგიური კვერთხი. მტკიცება იოლია, მაგრამ ბრძანება — ვით ვულკანიდან მოულოდნელად ამოფრქვეული*

*ცეცხლის სვეტი.* *პირადი პასუხისმგებლობის თავმოყჰრილი გრძნობა ძევს ბრძანებაში. ძალის უშრეტელობის მითითება ძევს ბრძანებაში. კოსმოსის მისწრაფებაა გამოვლენილი ბრძანების სიშმაგეში ისევე, როგორც დამანგრეველი ტალღა. შეიშვრეთ სიკეთის ცრემლები, ჩვენ სულის აღშფოთების ნაპერწკლები გვჭირდება!*

ო რა ჯებირებს აშენებს სინანული, მაგრამ *მახვილის წვერზე ფრთები გვეზრდება!*

44. მიაქციეთ ყურადღება, — მითითებანი წინასწარ უნდა მზადდებოდენ და ამით შემსრულებელთა ცნობიერებაში წინასწარ იკიდებდნენ ფეხს. ამიტომ, *თანამშრომლობის გარეშე ბრძანება ქარის წინააღმდეგ გაშვებულ ისარსა ჰგავს.* ბრძანების მოულოდნელობაც კი უნდა იყვეს გათვალისწინებული. მაშინ მოულოდნელობა განცდილ დაძაბულობაში გადაიქცევა.

ბელადმა იცის თანამშრომლობის გამოწვევა არა მხოლოდ ქმედებებში, არამედ აზროვნებაშიც. მხოლოდ მაშინ შეიძლება თანამშრომლის მანძილზე გაშვება. დავალების მოვლენა ითხოვს დამოუკიდებელ მოქმედებებს. *მოვლენათა ნაკადი აიტაცებს მისწრაფებულებს.*

**45.** შეიძლება ისწავლო თუ როგორ წაახალისო სულიერი ადამიანები. მართალია, ისინი სულის საგმირო საქმეებს აღასრულებენ არა წახალისების გამო, მაგრამ მაინც, ისინიც საჭიროებენ ამას სულიერი მიმართულების შენარჩუნებისათვის. ყოველმა ხელისუფალმა უნდა იცოდეს არა მხოლოდ დაგმობის ძალა, არამედ უნდა ესმოდეს წახალისების ძალაც და ეს უკანაკნელი უფრო ძნელია. მაგრამ რა მადლი იბადება, როცა ხელისუფალმა იცის ის, თუ ვის რა ესაჭიროება "*ლოტოსის*" ყვავილობისათვის. შეიძლება იყოლიო მრავალი განდეგილი, მაგრამ მათი გულმოდგინე დაძაბულობა არ მოიტანს ენერგიის უზენაეს ზომას თუკი გარემომცველი ძალები მტრულია. ამიტომაა რომ გული უნდა განვამტკიცოთ ყველაზე საუკეთესოს წვდომისათვის.

**46.** *უვარგისია ბელადი, რომელიც მალავს ჭეშმარიტ საფრთხეს.* საფრთხის დაძლევა შეიძლება მხოლოდ მისი სრული გაცნობიერებით.

დიახ, ზუსტად რომ შიშის გარეშე და შეძლებისდაგვარად დამოუკიდებლად, ასე უნდა მოქმედებდეს ბელადი. სწორია პირადი პასუხისმგებლობის მოვლენა. არა სასწაულები, არა ციტატები, არამედ დასტური, გამყარებული საკუთარი მაგალითით. *კადნიერებაში დაშვებული*

*შეცდომაც კი იოლად დაძლევადია, ვიდრე თავჩაქინდრული ბუტბუტი!* ფასობს მოქმედება, რომელიც არ საჭიროებს აპარატებსა და თანაშემწეებს. ძვირფასი ფორმულის აღმომჩენი არ გაჰყვირის მას აივნიდან, რამეთუ ზარალი ნებისმიერ საუკეთესო სარგებელსაც კი გადაფარავს.

ზუსტად როგორც დახუფული სასმისი, როგორც გაუძარცვავი საგანძურის მთა, როგორც მშვილდი ისრით დაჭიმული, — აი ასე დგას ბელადი. და ის რომ სასმისი ცეცხლოვანია, და ის რომ მთა უშრეტია, და ის რომ ისარი მომაკვდინებელია, — ასე მოქმედებს. სხვაგვარად, *თუ არა ბელადი, აბა ვინ გაბედავს და იტყვის, რომ სიძნელე ყველაზე სწრაფი მიღწევაა!* ღვინის მდინარეები დაძმარდებიან და მაწვნის ნაპირებზე ჯდომა უხერხულია. ასე რომ, პირადი პასუხისმგებლობის ჯაჭვის პერანგით მიიჩქარის ბელადი. *იღბალი მხოლოდ იქაა, სადაც სრული სიმამაცეა გამოვლენილი.* *წვრილმანი ეჭვები მონურ შიშს ბადებენ.*

47. ექიმი ხედავს სნეულების მსვლელობას და თქვენც ეთანხმებით შემოთავაზებულ ზომებს. ასტრონომი ხედავს მზის დაბნელებას და თქვენც საჭირო განათებასაც იმარაგებთ. სოციალური ფსიქოლოგი ხედავს მოვლენათა მსვლელობას,

და მაშინ თქვენ გაჰყივიხართ, – მოციქული! – და შიშისაგან იმალებით ყველაზე მყრალ საკუჭნაოებში. რა თქმა უნდა, რომ თქვენ ამას თითქოს მეცნიერული მეთოდების შენარჩუნებისათვის აკეთებთ, მაგრამ არსით, პირფერობა და შიში გიშლით ხელს დაფიქრდეთ იმაზე, თუ სადაა მეტი ნამდვილი ცოდნა, – ექიმის სიბეცით აღვსილ აზროვნებაში, რომელიც გარეგნულ მოვლენათა მსჯელობაზე დაღოღავს, თუ სოციალური მოციქულის ზუსტ დასკვნებში, რომელშიდაც შეჯერებულია გამოცდილება და გარდაუვალობა? გაიხსენეთ თქვენი სოციალური მოციქულები, რომლებიც საუკუნეებით წინასწარ გეგმავდნენ კაცობრიობის მომავალ მოვლენებს. ჩვენთან ერთად თქვენ მათ მისტიკოსებს თუ პირმოთნეებს როდი უწოდებთ. ჩვენთან ერთად თქვენ მათ შორსმხედველ ფსიქოლოგებს ეძახით. ჩვენ ამ განმარტებაზე შევჯერდებით და შევჩერდებით კიდეც. სხვათა შორის გავიხსენოთ, რომ დაგმობილი სიტყვა <u>*"მოციქული"*</u> წინასწარმეტყველს ნიშნავს. ჭეშმარიტი ბელადი ყოველთვის წინასწარმეტყველებს მომავალ მოვლენებს, მაშასადამე ეს მცნება არანაკლებად რეალურია მედიცინისა და ასტრონომიის მცნებებთან მიმართებაში.

48. *დააკვირდით სეისმურ მრუდეთა მაჩვენებლებს.* ისინი ეკვატორზე და მერიდიანზე როდი არიან განლაგებული, არამედ საკუთარ მრუდეებს იძლევიან. *ზოგჯერ ძვრებისა თუ შემაძრწუნებელ მოვლენათა ძლიერი ზემოქმედება ემთხვევა ეგრედწოდებული მზის ლაქების დაძაბულობებს – ამგვარად მზის სისტემის დაძაბულობას ვღებულობთ. საჭირო არაა იყო მოციქული რათა მიხვდე იმას, რომ გონების პროცესები ამ ვადებში სხვაგვარად, განსაკუთრებულად მიმდინარეობენ.*

სოციალურ მისწრაფებებსაც გააჩნიათ განვრცობის საკუთარი მრუდე. წინდახედულობის გამოჩენა იმისათვის, რომ მოვლენათა მსვლელობა არ შეწყდეს. *ძვრებისაგან გაჩენილი ნაპრალები ერთნაირებია როგორც ნიადაგში, ასე ეროვნულ მისწრაფებებშიც.* ეროვნული ბელადი მუდმივად ახალი ჰორიზონტების მწვერვალზე უნდა იდგეს. ახალმა დრომ საუკეთესო სეისმოგრაფის მგრძნობელობა უნდა გამოავლინოს.

თუ ვინმე გაართულებს ერების მსვლელობას, მაშინ მას უმეცარის გვირგვინის დაიმსახურება შეუძლია. *არ შეიძლება კანონების არცოდნით თავის მართლება, ასევე უღირსობაა წინამძღვრისათვის მიმართულების საპირისპიროზე შენაცვლება.* არავის შეუძლია მართოს პირადით, მაგრამ თუ საყოველთაო სიკეთის ფასეულობებს

შევადრით ერთმანეთს, მაშინ მას შეუძლია უს-წრაფესი გზის არჩევა. საჭიროა არ დავკარგოთ არც ერთი საშუალება.

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ნათქვამია მარ-ტივი, მოსაბეზრებელი ჭეშმარიტება, მაგრამ მას ხომ არავინ არ მიიღებს, და მოქმედებათა გეგმა ბნელ ოთახში მზადდება და არა მეციხოვნეს სა-გუშაგოზე. უნდა დააკვირდეთ არა ისე, როგორც გსურთ, არამედ ისე, როგორიც სინამდვილეა.

49. მშენებელმა უნდა იცოდეს, თუ როგორ დატვირთოს სახლის სვეტები. შეუფარდებლობის გამო ხდება ნგრევა, წაბილწვა, სიცრუე, ღალატი და ყოველი უმსგავსო მოვლენა.

განა როგორ შეიძლება იდგეს შენობა იქ, სა-დაც რწყილს გოლიათის თვისებებს ანიჭებენ; სადაც ნაცრის საჩხრეკელს უფალზე უფრო მონ-დომებით ეძებენ; სადაც კოღოს წუილს გრიგალს ადრიან?

მშენებლობის პირობებია, — აზრისა და მისი გამოხატვის სრული თანაფარდობა — ეს სილამა-ზის სიმართლის ქვაკუთხედია. ვარჯიში ცხოვრე-ბაში იოლია მიჩუმათებისა და გადაჭარბების გარეშე.

ყურადღებით ადევნებს თვალს ბელადი თანამ-შრომლებს, რათა მათი გამომეტყველება მათ

დანიშნულებას შეეფერებოდეს. მხოლოდ ასე-თი გზით ხორციელდება სხვადასხვა არსებათა თანამშრომლობა.

სილამაზით განისაზღვრება საუკეთესო მსჯელობა, რამეთუ ულამაზოა ითქვას,–*"გოლიათს შეუშვებ ყულაბაში" ან "არწივი ქათამივით აკეთებს იერიშს."*

რა ხშირად იმსხვრევიან საუკეთესო აპარატები შეუფარდებლობის გამო, რომლის თავიდან აცილება იოლი იქნებოდა ცოტაოდენი ყურადღების გამოჩენით.

50. *რა ირღვევა ყველაზე მეტად? თანაფარდობა.* თუ თანაფარდობა დაცული არაა, ინგრევა გაბედულობაც. *ბელადის გაბედულობა – ბოლო ზღვრამდეა.* არა ის გაბედულება, რომელიც სასიამოვნოა და ჩვევებთანაა შეხმატკბილებული. არა ის ჩვევები, რომლებიც საამოა სხეულისათვის. ბელადის გაბედულობა სულის საზღვრითაა შემოსაზღვრული. ამიტომაა ბელადის მისწრაფებას ვერავინ ვერ გადაკვეთს. მშენებლები და შემკრებნი ამ გაბედულობით მიდიან.

51. თანაფარდობის გვერდში უნდა დავინახოთ აუცილებლობაც. ამგვარად ბოლო გამოცდა აუცილებლობაზე გამოცდაა, სხვაგვარად რომ

ვთქვათ, — ყოველმა გამოსაცდელმა უნდა სთქვას ის, თუ რას მიიჩნევს ყველაზე აუცილებლად. დაუყოვნებელი პასუხის ხარისხის შესაბამისად შეფასდება მისი ცნობიერება.

იკითხავენ: “რითი დავიწყოთ ყოველი მოქმედება?” ყველაზე აუცილებელით, რამეთუ ყოველ წუთსა და წამს თავისი აუცილებლობა გააჩნია და აი ამას ჰქვიან მოქმედების სამართლიანობა.

ამიტომაა რომ მკვირცხლი ბედაური ჩლიქის წვერებითაც კი გრძნობს თუ რომელ ქვას დაეყრდნოს პირველად. ასე განისაზღვრება მოძრაობის რიგითობა, თანაფარდობა და აუცილებლობა.

52. სარგებლიანობის ხარისხს ახასიათებს ცვალებადობა. სარგებლიანობის ხარისხთა რიცხვი ხეზე არსებულ ფოთლების რაოდენობას უდრის.

53. უნდა ვანასხვავებდეთ განმეორებად საგნებს იმ საგნებისაგან, რომლებიც არ მეორდებიან. შეიძლება გადავდოთ ცხოვრების ყოფითი საგნები, მაგრამ *ვადების* მოთხოვნილება ყოველგვარი გადავადების გარეშე უნდა შესრულდეს. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ კოსმიურ შესაძლებლობათა მომენტი აუნაზღაურებელია. არსებობენ ისეთი სადილები, რომელთა მიღება მხოლოდ გარკვეული რიგითაა შესაძლებელი. მონადირეც

ხომ არ დადის სანადიროდ მხოლოდ უსაქმურობის გამო.

54. გმირობა უარი როდია, არამედ თვისობრივი ჩატევაა და მოძრაობა, ასე რომ, თუ ვამბობ *"უარი სთქვა"*, საჭიროა გავიგოთ ეს ისე, რომ მან *მიიღო მოვლენები.* შეუძლებელია უარის არსის წარმოდგენა, რამეთუ იქვე იგულისხმება აკრძალვა, მაგრამ მიღება გვიჩვენებს შეგნებულ მიღებას.

როდესაც ბელადმა მიიღო მომავალი მშენებლობის სიდიადე, მაშინ სულის ზრდას ვერაფერი ველარ შეაკავებს.

ერთგულება — *მძლავრი დაძაბულობის მქონე სულის ხარისხია* და *ჩატევის მოვლენა* კი, ჭეშმარიტ გმირობას სასიხარულო მიღების ნობათში გარდაქმნის. ასე შეიძლება ვითარდებოდეს გმირობა, რამეთუ ნათელ მიღებას კვალად კიდევ სხვა მოჰყვება.

გაეშურეთ მომავლისაკენ აწმყოს ჭვარტლის გვერდის ავლით. *შეძელით, — არ დაანგრიოთ, არამედ შეიძინოთ საუკეთესო მოთმინება.*

55. უნდა იცოდეთ ცხოვრების სტანდარტების გვერდის აქცევა. საუკეთესო ადამიანებმა გაუსწრეს მრისხანე ღრუბლებით დამძიმებულ მსო-

ფლიოს. ახალ ქვეყანაში შესვლის მსურველმა უნდა მოიცილოს არა მხოლოდ ყოველი ცრურწმენა, არამედ ახალი გზითაც უნდა შევიდეს მასში.

სიცოცხლის განმტკიცება უნდა შენდებოდეს ადგილობრივი პირობების გამოყენებით. თუ სადმე ასი ენაა, საჭიროა ასი ფსიქოლოგიის წვდომა. ერთი გამონათქვამი ყველასათვის, –სახაზინო სახლის სვეტის მსგავსია. ერთიანობა მრავალფეროვნებით იძლევა მოსავლის შედეგებს.

56. ხდება, რომ ყველაზე უეჭველი გეგმა სიძნელეებს გადაეყრება. იკითხავენ: "როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, ზედმეტი ენერგიების დახარჯვის გარეშე?" შეიძლება გეგმა შეიცვალოს არსებითად, ან ზომებში, ან ადგილის გამოცვლით. არსებითად გეგმის შეცვლა *ღალატის ტოლფასია.* გეგმის ზომებში შეკვეცა *სიბეცის ტოლფასია.* ბელადის გადაწყვეტილება, –*ადგილის შენაცვლება იქნება* ისეთნაირად, რომ ახალმა საყრდენებმა კიდევ უფრო გააღრმავონ ძირითადი მნიშვნელობა. მოწონებას არ იმსახურებს ძირითადი პრინციპი – *ბრძოლა სიკვდილამდე.* უფრო ვაჟკაცურია, – *არ დაკარგო ძალები და გაიმარჯვო.* მაგრამ საამისოდ საჭიროა ღრმად გესმოდეს მისწრაფების ჭეშმარიტება და

უდრეკელი დაძაბულობა.

რა ბედნიერებაა იპოვნო ახალი ადგილი, რომელიც აღრმავებს წინას პოტენციალს. ბელადი არ ზღუდავს გეგმას მხოლოდ ადგილის გადაწყვეტილებით, — *მთავარია გეგმის არსი.*

57. გეგმის აუცილებლობასა და მოქნილობაზე. ეს პირობები განსაკუთრებით ძნელია შესათავსებლად, თუმცა მათი საზღვარი მკაფიოდაა მონიშნული *მზის* ცნობიერების სხივის აშკარა გაგებით. ცხოვრებაში გეგმის გატარებისათვის საჭიროა ყოველ წუთსა და წამს იყვე გადაადგილებისათვის მომართული.

მოჩვენებითი ცვალებადობა, სხვა არაფერია, თუ არა ცხოვრების ვიბრაცია. *გზები აუცილებლობის ნიშნულებისაკენ სუნთქავენ და ტალღებივით ღელავენ.*

ამტკიცებს რა გეგმას, ბელადის არსი უკვე უმოკლესი გზისთვისაა მომართული. *მხოლოდ გეგმის გადაუდებლობის გაცნობიერებით იბადება მოძრავი მოქნილობა.*

58. ვადების შეუფარდებლობის შესახებ. ოკეანეს ტალღის გვერდითი მოვლენათა პატარ-პატარა ნაკადულებიც განიხილება. განა შეიძლება ნაკადულის ოკეანესთან შედარება? *მაგრამ დედამიწაზე*

*ყოველთვის ჩქარობენ მსოფლიოს მოვლენების პირადულში არევას.* ხელი გრძნობს და განასხვავებს ქსოვილთა სისქეს, ასე რომ სულმაც უნდა შეძლოს მოვლენათა სიღრმის შეფასება.

ბელადი არ უნდა გაიტაცოს მოვლენათა მოჩვენებითმა სიდიდემ, რამეთუ ძირითად კვანძებს შორის შეიძლება ფერად-ფერადი მოჩვენებები გამოჩნდნენ და ხშირად ნაკადულები დროებით იცვლიან მიმართულებას. საკვანძო, გადამწყვეტი ტალღის მოვლენა ელვისებური სისწრაფით აღამაღელებს ნავს და ყოველი ტალღის წინ ნავი წამიერად ირინდება. ყველაზე მგრძნობიარე ნავი უფრო ძლიერად შეკრთება, რამეთუ აფეთქების მტვერი აღავსებს ატმოსფეროს. ამიტომაა რომ *მოვლენებისა და ვადების თანაზომიერების დავიწყება დაუშვებელია.*

*აჩქარება იღბლისა ისევე როგორც დაყოვნება ტალღებივით მიმდინარეობენ.* ასე რომ, თუ აჩქარების ტალღას შენიშნავთ მიანდეთ მას რაც შეიძლება მეტი მიზანი.

59. მშენებლობისას ბელადი აკვირდება იმას, რომ აღქმის შესრულების საფარქვეშ არ აღმოჩნდეს ანგარება. *ბნელი ანგარების თანმდევი მოვლენაა შემოქმედებითი მიღწევების განადგურება.* ვიტყვი — ეს ჭირი აშკარად ახა-

სიათებს კაცობრიობის უმეცრებას. ასე რომ, მითუმეტეს აუცილებელია ამ ამაზრზენი სენის გაჩენის მიზეზის ცოდნა. ამის ყველაზე არსებითი მიზეზი *პირადი უპირატესობა იქნება.* ყოველი საშუალება უნდა იქნას გამოყენებული ამ მავნე მოჩვენების გასანადგურებლად. თანამშრომლობა უპირველესად ყოვლისა ითვალისწინებს თანასწორობას და არა უპირატესობას. დაუშვით შეცდომა თანასწორობის მიმართ და მყისვე გადაეყრებით დამღუპველ უპირატესობას. უთანასწორობა საქანელას მოვლენას ბადებს. ერთის დიდი ამაღლება მხოლოდ მოწინააღმდეგის კიდევ უფრო დიდ ამაღლებას იწვევს. *ერთადერთი გამოსავალი თავიდან ავიცილოთ საყრდენი ბოძების მორყევა, არის თანასწორობა.*

მოიძებნებიან ცინიკოსები, რომლებიც იტყვიან, — იქანაონ, მითუმეტეს სივრცის ენერგიებმა. ეს შენიშვნა აზრს როდია მოკლებული, მაგრამ ზუსტად რომ მშენებლობის საქმე ითხოვს ისეთ მოვლა პატრონობას, რომ ძალების ჭეშმარიტი დაზოგვა უნდა იქნას გათვალისწინებული. ყველაზე ეკონომიური პრინციპია — *თანასწორობა*, იგი ანადგურებს *უპირატესობას* და *ანგარებას.*

60. ჭეშმარიტი ცეცხლოვანი ფერი — *ნამდვილი უანგარობაა,* მაგრამ იგი არა მხოლოდ

საქციელით უნდა გამოიხატებოდეს, არამედ ცნობიერებითაც. საქციელნი, როგორც მოხეტიალე აჩრდილები, წარმოადგენენ ანარეკლს, და აკანკალებული პირობითობების კორიანტელი ნიღბავს საქციელის შინაარსს. *განა როგორ უნდა შეფასდეს საქციელი მიზეზისა და შედეგის ცოდნის გარეშე?* ამ შემთხვევაში *მხსნელი* ხომ *შეურაცხმყოფელად* გამოჩნდება და *გამღები* კი *ძუნწი*. მაგრამ იოლი როდია უანგარო ცნობიერების დადგენა, აქ უკვე გარდაუვალია ინდივიდუალობა. და უანგაროებასთან დაკავშირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მომავლის აშკარა გაცნობიერებით. უანგაროება წარსულის გამოცდილებაზე როდი შენდება. მხოლოდ მომავლის რეალურ შეგრძნებას შეუძლიან ჩამოაყალიბოს შესაძლო საზღვრებზე სწორი შინაგანი გააზრება.

61. მოქმედების ხარისხები. თუ მოქმედება მცირეა, მაშინ იგი საჭიროებს სხვადასხვა ხელთქმნილ საგანთა გამოყენებას. *როდესაც მოქმედება დიადია, იგი მიწიერ საგანთა დახმარებას არ საჭიროებს. აი ესაა მოქმედების პირველი სინჯი.*

მოქმედების მეორე ხარისხია — მოძრაობისა და მისი განვრცობის უნარი. პირველადი მატერიის კორიანტელის მსგავსად, ჭეშმარიტი მოქმედება

უნდა თრთოდეს თავისი შესაძლებლობებით. *მხოლოდ ფრთებს შეუძლიათ დაასრულონ გასხივოსნებული, გამჟღავნებული აზრი.*

მოქმედების მესამე ხარისხია — მისი *მოულოდნელობა.* *გონებისათვის ყოველი გამაოგნებელი მოქმედება — აზროვნების მოულოდნელი მიმართულებით წარმართვის შედეგია.*

მოქმედების მეოთხე ხარისხი — მისი *მოუხელთებლობაა.* *მხოლოდ ამ თვისებას შეუძლიან დაიცვას მოქმედება დამღუპველი თავდასხმებიაგან.*

მოქმედების მეხუთე ხარისხი — მისი *დამაჯერებლობაა.* *ისევე როგორც ყოველი ელვა აკავშირებს ჩვენს გონებას კოსმოსთან, ასევე მოქმედებაც უნდა გახდეს ისეთივე გამაოგნებელი, როგორც მახვილის ელვარება.*

მოქმედების მეექვსე ხარისხი — მისი *კანონიერებაა.* *მხოლოდ სამყაროს ევოლუციის საფუძვლების ცოდნა ანიჭებს მოქმედებას გარდაუვალობას.*

მოქმედების მეშვიდე ხარისხია — მისი *წმინდა აღსრულება.* ასეთი გზით, ყოველგვარი დაღლილობის გარეშე შეიძლება *აამოძრაო ნებისმიერი სიმძიმეები.* ერთნაირად უნდა გავიგოთ სხეულისა და სულის მოქმედებანი, *რამეთუ ყოველი აქ ნათქვამის შემდეგ, აზრის მოქმედება მაინც არაა დაფასებული.*

62. ხარისხნი მოლოდინისა. *უზენაესი მოლოდინი – მსოფლიოს ევოლუციის მოლოდინია.* ჩვეულებრივი მოლოდინი იყოფა *ბნელ, მძინარე* და *ქორისებრ ფხიზელ* მოლოდინებად. ბნელეთის ქაოსი მხოლოდ ზიანს მოუტანს სივრცეს. მძინარე მოლოდინი ვით ნაკვერჩხალში დამალული ცეცხლი. *ქორისებრ ფხიზელი მოლოდინი კი, ყოველ წუთსა და წამს სიახლის მიღების მზადყოფნას შეიცავს.*

მოლოდინის შინაგანი თვისებაა, – ზრდის *უნარი.* რასთან უფროა შეხამებული ეს ნიშანი, თუ არა სამყაროთა ევოლუციასთან? *ამგვარმა მოლოდინმა მთელს ჩვენს ცხოვრებაში უნდა შემოაღწიოს.* სიხარულის ძრთოლვა უნდა აღავსებდეს ჩვენს შრომას, რამეთუ ამაშია გაერთიანებული *საუკეთესოც და ულამაზესიც.*

აფორიაქებულებთან მისვლისას შესძახეთ,– *ელოდებოდეთ სამყაროს ევოლუციას!*

63. ვაფასებთ გადაწყვეტილების წარმომშობ აზრს. გადაწყვეტილება ფასობს მისი გამოყენების ხარისხით. გამოყენებითობა სულის ცოდნის სამართალს გადის და მაშინ იბადება ისეთი მოქმედება, რომელსაც სიხარული მოაქვს. და *ვინც ხარობს, მას სწამს.* ასე რომ *რწმენაც კი ითხოვს თავის დასაბუთებას.*

ბელადი ანგარიშობს კარგად და აკავშირებს საიმედოდ. თუ ანგარიშიანობაში დაადანაშაულებენ, ამასაც არ უარჰყოფს, რადგან ყაირათიანობა უგუნურობას აგვაცილებს, უგუნურობა კი, თავის მხრივ, სულის ცოდნის საპირისპირო მოვლენაა. და როგორი წრეც არ უნდა მოვინიშნოთ ჩვენთვის, ჩვენ მაინც სულის დიად ცოდნასთან დავბრუნდებით.

64. არა სიტყვები, არამედ სივრცის გაჯერება მიმართავს ბელადს უშეღავათო ბრძანებით. *საბედისწერო ჟამს, შიშის განადგურება — დახმარებას წარმოადგენს. განსაკუთრებით ძნელია მარტოობის გრძნობის დაძლევა. ბრძნულ თქმულებებში ხშირად მოიხსენიება მარტოხელას ბრძოლა. მეომარი თავადვე მსტოვარიც, თავადვე მრჩეველიც, თავადვე გადაწყვეტილების მიმღებიც* და, რა თქმა უნდა, *გმირიც თავადვე.* უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვა *გმირი*, თითქმის განდევნილი იყო ძველი სამყაროს ლექსიკონიდან. *გმირი* მიუღებელი ხდება პატარა გულების ცხოვრებისათვის. უცხოსავით სირცხვილს განიცდიდა იგი ეგრედ წოდებულ “კეთილ მოსურნეთა” გარემოცვაში. *ისწავლეთ იყვეთ იქ, სადაც გმირებია. მსოფლიოს შესძრავს გმირობის სინამდვილე.*

დაე დაირქვან ბავშვებმა სახელად *"გმირი"* და საკუთარ თავზე მოირგონ საუკეთესო ადამიანთა თვისებები. მისცენ მათ ნათლად გადმოცემული მოთხრობების ის წიგნები, რომლებშიდაც შემწყნარებლური მიჩუმათების გარეშე მკვეთრად იქნებიან ამოტვიფრულნი *შრომისა და ნებისყოფის გმირთა ხატებანი.* თუნდაც სამედიცინო მიზნებისათვის, ვერაფერი ვერ შეცვლის სიცოცხლის ამ გამამხნევებელ შეძახილს. საჭიროა ასეთი მასალის დაუყოვნებლივ მიწოდება. ამისათვის რიცხვით ის მცირედნი უნდა დავიცვათ, რომლებსაც გაღება შეუძლიათ.

65. უნდა მოერიდოთ *დროის არა მქონეთ.* ყალბი დაკავებულობა უპირველესად ყოვლისა იმის მაჩვენებელია, რომ *დროისა* და *სივრცის* საგანძურთა გამოყენება არ შეუძლიათ. ასეთ ადამიანებს შეუძლიათ მხოლოდ *შრომის პირველადი, უმარტივესი ფორმების შესრულება.* აღმშენებლობით მათ ვერანაირად ვერ დააინტერესებთ. ჩვენ უკვე ვთქვით დროის ცრუპენტელებზე, რომლებიც სხვის დროს იპარავენ, ეხლა კი ვისაუბრებთ წვრილფეხა ზარმაცებსა და ჭკუათხელებზეც, რომლებიც წინ ეღობებიან ცხოვრებას. ისინი ისევე დაკავებულები არიან, როგორც დანაყილი წიწაკით სავსე ჭურჭელი, ამიტომაა რომ

ისინი ნებისმიერი სამუშაოს სიმწარეზე საუბრობენ. ისინი ინდაურებივით მუდმივად გაფხორილი არიან, რადგან ითვლიან მონაწევის აქოთებულ ნამწვავებს, რითაც სამუშაო ადგილის დაბოლებას იწვევენ. ათას მიზეზს გამოიგონებენ, რათა უვარგისი ნაშრომის დამპალი ხვრელები ამოყორონ. ისინი ვერასოდეს მოძებნიან დროს გადაუდებელი შრომისათვის. თავისი გონებასიჩლუნგით ისინი მკრეხელებად გადაიქცევიან და ისევ მათთვის ყველაზე არსებითს მოისვრიან გვერდზე. ისინი ისევე უნაყოფონი არიან, როგორც სხვისი დროის ქურდები.

ჩვენ მრავალ შრომისმოყვარეს ვიცნობთ, რომლებიც ყოველთვის მოძებნიან დროს ყველაზე აუცილებელისათვის; იმათ არ ეჩვენებათ თითქოს ისინი დაკავებულები არიან. ვინც შრომაში ძუნწი არაა, — უხვად მიიღებს. *შრომის ჩატევის ეს თვისება ცნობიერების ზრდის უპირველესი პირობაა.* განა სხვა რამ უნდა ჩაანაცვლოს ცნობიერების ზრდის ეს სიხარული?

**66.** წინააღმდეგობის გაწევის უუნარობა ჰგავს დიდხანს გახსნილი სუნამოს ჭურჭელს, მაგრამ შემოქმედებითი მოთმინება ისეთივეა, როგორც ძველი, კარგად დახუფული ღვინო.

ბელადი აკვირდება შემოქმედების დაძაბულო-

ბას რამეთუ ყოველ სოციალურ მშენებლობაში გამართლებულია ისეთი მშენებლობა, სადაც დაფრთიანებულია სხვადასხვა შემოქმედებანი. თუ შემოქმედება დამქანცველია და მოსაბეზრებელი, ეს უკვე იმის უტყუარი ნიშანია, რომ შენებაში დაშვებულია შეცდომა. ასეთ შეცდომათა საბუდარების შექმნა დაუშვებელია. დაუძახეთ კალატოზებს, გადააწყონ კედლები ვიდრე არ აჟღერდება შრომის სიხარულის ლაღი სიმღერა.

თავისუფალი მიდგომის პრინციპი, თავისუფალი შრომა და ასევე თავისუფალი მსახურება, უნდა იყვენ დაცულნი. დასაწყისშივე დამძიმება, — მხოლოდ არასრულყოფილების ნიშანია. სიბრძნის მოვლენის დანერგვა იმ მტკიცე ნიშნულებში იქნება მოქცეული, რომელიც ცოდნის მიმანიშნებელი ფიგურის გარსს წარმოადგენს.

სწორი კარების გაღება, — სწორ მიმართულებას მოგანიჭებთ.

67. ყოველ თანამშრომლობის რპოცესში იბადება ისეთი მდგომარეობა, როდესაც ერთი მიმართულებით განვითარებამ შეიძლება მავნე შედეგები მოიტანოს. მაშინ ბელადმა უნდა დასახოს ახალ ამოცანათა საკმარისად ვრცელი და ახალი გზები, რათა დაძლეულ იქნას გაჩენილი შეუსაბამობანი. ნუ დავარქმევთ შეუსაბამობანს შეჯ-

იზრს, ან სხვა კიდევ უფრო უარეს სახელებს. საშიშ სრუტეებში გემები სათითაოდ გადიან, ასევე თანამშრომლობის განვითარებაშიც, – შესაძლებელია თანამშრომელთა შემოქმედებითი საქმიანობების გამხოლოება. ამგვარად, შესაძლო ზიანის სანაცვლოდ, გამოვა ახალ მიმართულებათა ათვისება. როდესაც კუნთები დაიბერებიან, მიეცით ენერგიას საშუალება გამოსავალი მოძებნოს. *<u>თუ შემჭიდროებით სვლას არ დაასწრებთ, დაპირისპირებას მიიღებთ.</u>*

ამოცანათა ნაირსახეობების მოვლენა აუცილებელია, სხვაგვარად მზარდ ცნობიერებათა შეჯახება გარდაუვალია. ბელადზეა დამოკიდებული, რომ საჭირო ძალები არ გადაიქცნენ მორიელებით სავსე ქილებად. საბედნიეროდ, მორიგ ამოცანათა რიგი იმდენად დიდია, რომ ძნელი როდია მიმართო ძალები ახალ და გადაუდებელ ამოცანათა გადასაწყვეტად. ხშირად ძალთა მოჭარბება ანტაგონიზმში ეშლებათ. ხშირად შესაძლებლობათა მშვიდი გამოყენების სანაცვლოდ, სიძულვილის ნაკვერჩხლებს აღვივებენ. ბელადმა არ უნდა გაუშვას ხელიდან ეს ფსიქოლოგიური მომენტი და დროულად დააკისროს თანამშრომლებს ახალი ამოცანები. შეიძლება ყოველ გართულებათა თავიდან აცილება, თუ ყოველნაირად პრაქტიკულ მიდგომებს გამოვიყენებთ, მაშინ

გამარჯვებაც უტყუარი გახდება. რეალობის მოძღვრება ევოლუციის რთული მსვლელობის სრული მოცულობით სირთულეს უნდა პასუხობდეს. *მსოფლიოს ახალ აღმშენებლობათა მოვლენები მტკიცედ უნდა იყვნენ დაცულნი.*

68. შეიძლება მიაჩვიო გონება, გარშემომყოფ საგანთა საკუთრების მიმართ, სწორ წარმოდგენებს. სიკეთე იმ გონებაშია, რომელიც ამბობს, *"არაფერი არ მეკუთვნის მე, არამედ ყველაფერი ჩვენია და ჩვენ კი მთელს პლანეტაზე ვართ გაბნეული".* შეიძლება კი მიითვისო პირველადი, თავისუფალი მატერია, რომლითაც ყოველი საგანი ასეა გაჯერებული? შეძელით იგრძნოთ ყოველ საგანში ყოფნის აუცილებლობა. ხშირად თანხმობას აცხადებენ აღიარონ მატერიის შორეულ ეთერში არსებობა, მაგრამ აღიარონ მატერიის არსებობა დამუშავებულ და ყოფით საგნებში, — უაზრობად მიაჩნიათ. არა და, ყოველ საგანში მაღალი მატერიის აღიარება, აღამაღლებს წარმოდგენებს სიცოცხლის ყოველი დეტალის მიმართ.

69. თანამედროვე ინდუსტრია და მთელი საგნობრივი ნაწარმი იმდენად გაუწონასწორებელნი არიან ხარისხითა და თავისი რაოდენობით,

რომ ჯერჯერობით გამორიცხავენ საგანთა სწორი განაწილების შესაძლებლობებს. ძალადობრივი და უგუნური განაწილება კი ბადებენ ეშმაკობასა და სიცრუეს. უმოქმედოთ დაველოდოთ ახალ შესაძლებლობებს, თუ არსებითად გავაღრმაოთ ცნობიერება? არ შეიძლება საგანთა ძალით წართმევა და ამით ძველმანების მიმართ მიდრეკილება გავაძლიეროთ. მთავარია მოისპოს მიწათმფლობელობა და მემკვიდრეობა და გატარდენ გონივრულად ორგანიზებული საგანმანათლებლო ღონისძიებანი, რომელნიც ნათელს გახდიან საკუთრების დამამცირებელ და ეგოისტურ მნიშვნელობას. საჭიროა რომ ეს შეგნება იყვეს არა უარის თქმა საკუთრებაზე, არამედ თავისუფალი მონაპოვარი. როდესაც ხალხი ყოველგვარი ეშმაკობის გარეშე დაინახავს საკუთრების არაპრაქტიკულობას, აი მაშინ აღმოცენდებიან თანამშრომლობის კოლექტივები.

70. საკუთრების მოწამლული სუნთქვის მოსპობა შესაძლოა მხოლოდ სკოლების ღრმად გააზრებული პროგრამების მეშვეობით. *ასევე რელიგია მკვიდრდება არა აკრძალვებით, არამედ ცხოვრბის მოძღვრების შეთავაზებით.* კერძო საკუთრების მცნების მიმართ მიმართული ლიტერატურა ჯერ არ არსებობს. პარტიის პუნქტი ამ

საკითხის მიმართ არადამაჯერებელია. მხოლოდ მცირედმა დაძლია ძველმანის ურჩხული. მაგრამ ბევრი ოცნებობს საკუთარ შენაძენებზე. აშკარაა თუ რაოდენ სამართლიანნი უნდა იყვნენ ისტორიული შედარებანი! რაოდენ მკაცრად უნდა იყვნენ შერჩეული ბიოლოგიური დეტალები, რათა გამოაშკარავებულ იქნას ამაოება და უკანონობა საკუთრებისა. მატერიის თვისებათა კანონები ამოწმებენ იმას, თუ როგორ არ მიესადაგება ადამიანის ბუნებას ეგოისტური საკუთრება.

71. *სარწმუნოებებსა და კანონებში ნათქვამია ქურდობის საწინააღმდეგოდ. ქურდობა მავნეა როგორც მცნება, რომელიც განამტკიცებს საკუთრების გრძნობას. ქურდობა მსოფლიოს ევოლუციას ვნებს, მაგრამ სახარბიელო როდია მსოფლიო ევოლუციის ხელშემშლელთა ამგვარი ხვედრი. საკუთარ თავს ისინი ძალზედ შორეულ წარსულში გადაამისამართებენ.*

არაუშავს, თუ რომელიღაც საგანი სხვა ხელში გადავა, მაგრამ უფრო მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ ორი ადამიანი განიცდის საკუთრების გრძნობას.

კანონი ქურდობაზე არასრულყოფილია, რამეთუ მთავარი ქურდობანი – ცოდნისა, იდეებისა და შემოქმედებისა – შეუძლებელია იყვნენ გათ-

ვალისწინებულნი. დროის საგანძურის შეფასება შეიძლება მხოლოდ საყოველთაო სიკეთის მომტან სამუშაოთა შეფასებით. ყველაზე ნაკლებად დასაშვებია თქვენი მოძმის დროის ქურდობა. *უაზროდ დროის ქურდობა იგივეა, რაც იდეების ქურდობა.*

72. აკრძალვა უნდა იქნას უარყოფილი, ეს მისწრაფების კანონია. მაგრამ ფასდაუდებელი ფასეულობა დაცული იქნება, — ეს მისწრაფების კანონია.

უფრო სამართლიანად შევხედოთ საგნებს,— ყოველივე ის, რასაც ვერ შეცვლით, დაცულ საგანთა შორის პირველ რიგებში იქნება.

73. ბელადი სკოლებში სწავლების მიზანშეწონილობას ადევნებს თვალყურს. აუცილებელია შეიქმნას წარმატებული წინსვლის ხელშემწყობი პირობები. თუ სწრაფი გემი იძულებული იქნება სიჩქარე დააგდოს მხოლოდ რიგის დასაცავად, ხომ არ იქნება ეს შესაძლებლობათა ჩაკვლა? იცით კი, თუ როგორ იქმნებოდა მისწრაფების მშვენება ამ გემისათვის? იქნებ იგი ზუსტად იმისათვის შეიქმნა, რომ ყველაზე დიდ საფრთხეს შეეჭიდოს? რატომ უნდა გაიცვითოს იგი გაყინული ბოსტნეულის გადასაზიდავად? ყოველთვის უნდა

შექმნათ პირობები საპასუხისმგებლო, წარმატებული განვითარებისათვის. დაე სკოლის პირველი დღეებიდანვე ნუ დაუმძიბებთ ნაბიჯებს ფეხმარდებს. დაე მასწავლებლის ფხიზელმა გამჭრიახობამ განსაჯოს სწრაფად მავალნი. საჭირო არაა მათი ქება, უმჯობესია გზები განუმზადოთ მათ. საჭიროა შეიქმნას შუალედური კურსები, რომელთა საფეხურებით უფრო სწრაფად შეირბენენ ისინი წარმატების სიმაღლეებისაკენ. არ დაუმალოთ მათ სიძნელეები. გარკვეული ცნობიერების მქონეთათვის გმირთა მაგვარი ყოველი მიხვრა-მოხვრა, უკვე სინათლეა და აღმაფრენა. ასევე მასწავლებელზეა დამოკიდებული მოწაფის აზროვნების მიმართულების სწრაფი შეფასება, რამეთუ მცდარი დარიგება, რომლის გამოც შეიძლება დაიკარგოს მომავალში ძვირფასი თანამშრომელი, დიდი დანაშაულია. ყოველი უძრავი პროგრამა – *გვამია* და ცოდნის მზის ელვარებისას აუტანელი ხდება. სკოლები, მასწავლებელთა ცნობიერების გადასინჯვით, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაძლიერდნენ. შეუქმენით მათ უკეთესი პირობები, რათა დაავალოთ მათ ახალგაზრდა მშრომელთა ცნობიერების ამაღლება. შეუძლებელია, რომ მომავლის სკოლები ისეთ ბოსელს ემსგავსებოდნენ, სადაც ამახინჯებდნენ არც ისე დიდი ხნის წინანდელ თაობებს. ურჯუ-

კობა და აკრძალვები შესაძლებლობებმა უნდა ჩაანაცვლონ.

შექმენით ხელობათა შესწავლის საშუალება არჩევანის თავისუფლებით და მოითხოვეთ შრომის ხარისხი. ამისათვის ყოველ მასწავლებელს კარგად უნდა ესმოდეს *ხარისხის* მნიშვნელობა.

74. ბელადი ეწინააღმდეგება ძველმან გადმონაშთებს და წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს. აი ამას გულისხმობს იგი ოდეს ბრძანებს, – ფრთხილად მოეკიდეთ სხვათა ადათ-წესებს. მათ საფუძვლად ხშირად ცოდნის განვითარების შინაარსი იდო, და ამ შემთხვევაში მათ უნდა მოვაცილოთ მათზე არსებული ყველა დანალექი, მაგრამ მათ ფუძეში არსებული შინაარსის მოსპობა უკვე უსამართლო და გაუმართლებული იქნება. თუ ხუროთმოძღვარი ხედავს ფუძის სიმტკიცეს იგი მას სხვა შენობისათვის გამოიყენებს. საჭიროა სახსრების მსოფლიო მასშტაბით დაზოგვა. ნგრევის ფუფუნება ისტორიის ფურცლებს ჩაბარდა. მსოფლიო არა ახალ ელემენტებს საჭიროებს, არამედ მათ სხვადასხვა კომბინაციებს. ახალ მიღწევათა გზა არა ხანძრის დამღუპველი ალითაა განათებული არამედ ახლად მოპოვებულ ენერგიათა ნაპერწკლებით.

75. *სკოლებში აზროვნების ხელოვნება უნდა ინერგებოდეს.* ყოველი ხელოვნება მართვას საჭიროებს. *აზროვნებაც ასევე საჭიროებს ვარჯიშებს განმტკიცებისათვის,* მხოლოდ გაღრმავება აზროვნებისა, მოსაბეზრებელი და მძიმედ შესასრულებელი არ უნდა იყვეს, ამიტომ ასეთი საგნის ხელმძღვანელი ჭეშმარიტად ფრიად განათლებული უნდა იყვეს. *შეიძლება დავრწმუნდეთ იმაში, რომ ყველაზე საშინელი უბედურებანი კაცობრიობის ისტორიაში, ადამიანთა აზროვნების უუნარობის გამო ხდებოდა. შეიძლება მოიძებნოს მრავალი მაგალითი იმისა, რომ წყვეტილი აზროვნება და უმართავი გრძნობები უფსკრულისაკენ მიუძღოდენ მთელს ერებს. მეორეს მხრივ აზროვნების სიზარმაცე და მძიმე-მძიმე აზროვნება ანგრევდნენ უკვე რეალურად შექმნილ შესაძლებლობებს.*

თავად ბელადი უნდა იძლეოდეს აზროვნების მუდმივად ამაღლების მაგალითს, რათა ამით მიუახლოვდეს წინდახედულობას. რა თქმა უნდა, წინდახედულობა იერარქიასთან ურთიერთობის შედეგია. მაგრამ თავად ურთიერთობა ითხოვს აზროვნების მოქნილობას და ნათელ მისწრაფებას. აზროვნების ხელოვნება არ უნდა გავიგოთ როგორც ყურადღების ოკულტური მიმართვა. არაფერი მსგავსი არაა აზროვნების ხელოვნები-

სა და ცნობიერების განატიფებაში. მხოლოდ კეთილსინდისიერების მაღალი ხარისხი განამტკიცებს აზროვნების გზას. ამასთან ერთად, ვერავინ იტყვის, რომ მოაზროვნე რაღაც განსაკუთრებულ ჯიშს წარმოადგენს. *შეიძლება ყოველი ბავშვის მოაზროვნის გზაზედ დაყენება.* აი ასეთნაირად უნდა განიხილებოდეს აზროვნება, როგორც ერის ჯანმრთელობა.

*მასების მართვა ითხოვს ცნობიერბის ამაღლებას.*

76. აუცილებლად უნდა ითქვას ცოდნის საჭირო ხარისხზედ. ცოდნა უნდა იყვეს უპირობო. ყოველი პირობითი, შებოჭილი მეცნიერება აუნაზღაურებელი ზარალის მომტანია. *ელემენტების თავისუფალი შეკავშირება, ახალ განუმეორებელ მიღწევებს იძლევა.* ვის შეუძლიან დაუწესოს ქიმიკოსს ისარგებლოს ელემენტების მხოლოდ ერთი ჯგუფით? ვის შეუძლიან აიძულოს ისტორიკოსი თუ ფილოსოფოსი არ შეეხოს ისტორიულ ფაქტებს? ვინ უბრძანებს მხატვარს მხოლოდ ერთი ფერი გამოიყენოს? ცოდნისათვის ყველაფერი გახსნილია. ცოდნის დარგში ერთადერთ უპირატესობად შეიძლება იყვეს მიჩნეული მეტი დამაჯერებლობა და მეტი მიმზიდველობა. თუ მიზნად დაისახავთ თქვენი ცოდნით მასების გატაცებას, გახადეთ

იგი მიმზიდველი. იმდენად მიმზიდველი, *რომ გუშინდელი წიგნები შემოდგომის მშრალ, უვარგის ფოთლებად გადააქციოთ. დამაჯერებლობის გამარჯვება დაგიცავთ აუტანელი აკრძალვებისაგანს.* მოწაფეთა ცხოვრებაში ყველაზე მეტად იზრუნეთ იმაზედ, რომ გაათავისუფლოთ ისინი აკრძალვებისაგან. ახალი ცხოვრების მშენებელთათვის ეს განსაკუთრებით იოლია, რამეთუ *მათი წიგნი განსაკუთრებულად წარმტაცი და შთამაგონებელი უნდა გახდეს.* რა თქმა უნდ, რომ მოსე მწერლის მონათხრობი აუტანელი გახდება. საბრალო მეაფთიაქეს გაექცევა ყოველი, ვინც სილამაზის მიმართ უნიჭობას ვერ იტანს. მშენებლობის გვერდში შთაგონება უნდა სახლობდეს.

მცენარეები სინათლისაკენ მიილტვიან, პირველადი ცნობიერების ეს ნიშანი უტყუარია. იარეთ უტყუარი გზით და აშენეთ ცხოვრება. არაფერი განყენებული არ არსებობს და ცხოვრება იწოვს ყოველ აზრს. ამიტომ გავხდეთ ჭეშმარიტი რეალობის ჭეშმარიტი რეალისტები.

77. წარმოთქმული მცნების მიმართ სკოლებში პატივისცემა უნდა ისწავლებოდეს. თუთიყუშებს ხშირად შეუძლიათ სრულიად უაზროდ გაგზავნონ სივრცეში უდიადესი მნიშვნელობის მცნებები. მაგრამ ადამიანებმა უნდა შეიგნონ, რომ

ყოველი სიტყვა — მეხის მომგვრელი ისარია და იგოვე სიტყვა — აზრის პედალი. *მცნებათა ჭეშმარიტი მნიშვნელობის დავიწყებამ დიდად შეუწყო ხელი თანამედროვე გაველურებას.* სილასავით აბნევენ ადამიანები მარგალიტებს. *მართლაც რომ, დროა შეიცვალოს მრავალი განმარტებანი.*

სკოლებში დაწესდება განსაკუთრებული კურსები; *ფიზიოლოგიის გვერდით საჭიროა მცნების სახით შევქმნათ სულზე წარმოდგენა*. ბოლოს და ბოლოს ცოდნამ მეცნიერული გზით უნდა შექმნას სულისაკენ მისწრაფების ხიდი. ახალი მსოფლიო თამამი შემეცნების დასტურს გამოავლენს. ამგვარად *მასწავლებელთა ხატებანი* ცხოვრებაში *მეგობრების* სახით განმტკიცდებიან. *მასწავლებლის მითითება საყვარელი წიგნების თაროზე იქნება.*

78. ხშირად თქვენ არსებული წიგნების არასრულყოფილებაზე საუბრობთ. ვიტყვი უფრო მეტს — *შეცდომები წიგნებში უმძიმესი დანაშაულის ტოლფასია. სიცრუე წიგნებში უნდა იდევნებოდეს, როგორც უმძიმესი ჭირის ნაირსახეობა.* ორატორის სიცრუე იდევნება მსმენელთა რაოდენობით. მწერალთა სიცრუე,–წიგნების რაოდენობით. იკავებდე სახალხო წიგნსაცავთა ადგილებს სიცრუით, — მძიმე დანაშაულია. უნდა იგრძნოთ

მწერლის ჭეშმარიტი განზრახვა, რათა შეფასდეს მისი შეცდომის ხარისხი. *უმეცრება შეცდომის ყველაზე ცუდი საფუძველი იქნება. შიში და ნაძირალობა მათ უახლოეს ადგილს დაიჭერენ.* ყოველი ამგვარი თავისებურება დაუშვებელია. მათი თავიდან აცილება ახლის მშენებლობისას უნდა განხორციელდეს. აკრძალვითი ღონისძიებანი, როგორც ყოველთვის, გამოუსადეგარია. მაგრამ აშკარა შეცდომა, წიგნიდან ამოსაღებია. ამოღებისა და გადაბეჭვდის აუცილებლობა მწერალს გონს მოიყვანს. ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაამტკიცოს შეცდომა. რა თქმა უნდა რომ წინააღმდეგობა არ უნდა შეექმნას ახალ შეხედულებებსა და განვითარებად იდეებს, მაგრამ არასწორ მონაცემებს შეცდომაში არ უნდა შეჰყავდეს მკითხველი, ამიტომ ცოდნის დაცვა ყოველი წევრის მხრებზეა დადებული. არა უგვიანეს ერთი წლისა უნდა გადაისინჯოს წიგნები, სხვაგვარად მსხვერპლის რიცხვი გაიზრდება. *განსაკუთრებით დაცული უნდა იქნას წიგნი, რომლის ღირსებაც შერყეულია.* წიგნსაცავების თაროებზე სიდამპლისა და სიცრუის მთელი გროვებია. დაუშვებელი იქნებოდა ამგვარი პარაზიტების შენახვა. შეიძლება ითქვას: ღამის გათევა ცუდ სასთუმალზეც შეიძლება, მაგრამ შეუძლებელია სთავაზობდე ცრუ წიგნის წაკითხვას.

კერიის საუკეთესო ადგილი რისთვის უნდა გავამასხროთ! ზუსტად წიგნები ანაგვიანებენ ბავშთა გონებას. *ასე რომ საჭიროა აღინიშნოს წიგნის საკითხი.*

79. ადამიანთა პერტურბაციების კანონები თვალნათლივი ელემენტების განაწილების ლოგიკით როდი დადგინდებიან. როგორ შეიძლება ყოველი თანმხლები პროცესების შესწავლის გარეშე, მოხდეს მოაზროვნე აპარატის კვანძების დანაწევრება? *სადღაც აინთო ვარდისფერი სხივები, და მთელი ერის გამზადებული ამბოხი ჩაიშალა. სადღაც შეიცვალნენ ოკეანეს დინებანი, და მსოფლიოს ვაჭრობაში მოხდა ცვლილებები.* ეს უხეში, თვალნათელი მაგალითებია. მაგრამ რამდენი უნატიფესი მიზეზი და შედეგი აღავსებს სივრცეს და ისინიც დათარეშობენ ადამიანთა ფენებში!

ადამიანთა ბედის გამგებელო, შედი ლაბორატორიაში, ადი ობსერვატორიაში და თუ ერთბაშად მაინც ვერ დაინახავ სოციალურ პრობლემებთან ანალოგიას, გამჭრიახე გონება იმას მაინც დაიჭერს, თუ რაოდენ რთულია სინამდვილის აპარატი. იგი დაიჭერს კაცობრიობის ბედის ევოლუციის კოსმიურ პროცესებთან განუყოფელობას. ამიტომ, ცრუ რწმენის გარეშე, რეალური ცოდნა

მომავლის უტყუარი გამტარია. ვინც ადამიანთა საზოგადოების მეცნიერებას მსოფლიო პროცესებს მოკვეთს, იგი ორივე ფეხს მოიკვეთს და ხეიბრის არსებობისათვის გაწირავს თავს.

80. ცოტაა ეცადო დაუკავშირო მექანიკა ფსიქიკას. ბელადმა იცის, რომ მეცნიერული დამოკიდებულება ფსიქიკის მიმართ, მთელს არსებობას აადვილებს და ფსიქიური აპარატის შესაძლებლობათა მიმართ გადაუდებელ ყურადღებასაც მიიპყრობს. ფსიქომექანიკა, ფსიქიური ენერგიის გამოყენებითობის სწორი განმარტება იქნება. შესაძლებელია შემჩნეულ იქნას ფრიად საინტერესო მოვლენები ფაბრიკაში შრომის პროცესის დროს. ყოველმა გამოცდილმა მუშაკმა იცის, რომ მანქანები ითხოვენ დასვენებას. ამ მოვლენის სხვაგვარად განმარტება ძნელია, მაგრამ იგი მნიშვნელოვნადაა ცნობილი იმათთათვისაც კი, ვისაც არანაირი წარმოდგენა არა აქვს ფსიქომექანიკაზე. ჩვენ მოგვიწია სართავ ფაბრიკებში ცდების ჩატარება, სადაც ასობით დანადგარია და ასევე ასობით საკმარისად გამოცდილი მუშაკი. დაზგები ითხოვდნენ დასვენებას, ნებადართული პროპორციის ზე, ასევე მქსოველის გამოცდილების მიუხედავადაც. ჩატარდა რა ცდები მქსოველთა ფსიქიური ენერგიების შემცველობაზე, აშკარად

გამოჩნდა, რომ ფსიქიური ენერგიის მფლობელის ხელში, დაზგები ნაკლებად საჭიროებდნენ დასვენებას, თითქოს ცოცხალი ენერგია ეძლეოდა დაზგას და ახანგრძლივებდა მის სიცოცხლისუნარიანობას. მუშაკსა და დაზგას შორის ეს ცოცხალი კოორდინაცია უნდა იქნას გამოყენებული შრომის ყოველ თემში. ამ ხელსაყრელი პირობის მიღწევა შეიძლება ფსიქომექანიკის შესაბამისი შესწავლით. სახელმწიფო ამოცანაა, — გაცოცხლებულ იქნას წარმოების ყველაზე ხელსაყრელი პირობები, გამოყენებულ იქნას ყოველი საშუალება იმისათვის, რომ გატარდეს ყოველი საჭირო ზომა და მეცნიერებამ კი, თავის მხრივ, მიმართოს კოლექტივის ცხოვრების გაუმჯობესებას.

81. *<u>ვთქვათ უარი თუ გავამრავლოთ?</u>* რა თქმა უნდა გავამრავლოთ სიხარულითა და მაჯის სისავსით, მხოლოდ საყოველთაო სიკეთისათვის. მაგრამ თუნდაც უმცირესი ნიშანი სექტანტობისა თუ პირფერული შეზღუდვებისა მზის ევოლუციას ეწინააღმდეგება. ნამდვილი სიხარული გაურბის ბნელ კუნჭულებს. *<u>აკრძალვებისა და შეზღუდვების თხუნელები მზეს ვერასოდეს იხილავენ. ცნობიერების მონურ ლაქიაობამდე ასიმილირება იმ დონემდე შეიძლება იქნას დაყვანილი, რომ</u>*

*ყოველი ახალი ცოდნა დანაშაულთან ან სიგიჟესთან იქნება გატოლებული.* განა სინამდვილე როგორ შეეგუება უმეცარ შეზღუდვებს.

82. მრავალგზის თქმულა ნების დისციპლინისა და გონებით ბრძანების შესახებ. დიდი ხანია დადასტურებულია პასუხისმგებლობის მხნეობა, ამჟამად კი მთელი გამჭრიახობით, ყურადღება მიმართულ უნდა იქნას ვიწრო სექტანტობისა და შეზღუდული ცრუმორწმუნეობის აღმოსაფხვრელად. სექტანტი ოცნებობს მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, რათა ყველაფერი დაუმორჩილოს საკუთარ მოუქნელ ცნობიერებას. ცრუმორწმუნეს ყველაზე მეტად ეშინია იმისა, რომ რაღაც მოულოდნელი მოძრაობით სხვისი წინასწარმეტყველება არ გაახმოვანოს და ძალიან ბევრს ფიქრობს საკუთარ თავზე. ცრუმორწმუნეობა და სექტანტობა ცნობიერების ძალზედ მდაბალი დონის ნიშნებია. ვისაც ჩატევის უნარი აკლია მასში შემოქმედების პოტენციალი ძალზედ მცირეა. აუცილებელია ყოველი საშუალებით ვამხილოთ ცრუმორწმუნეობა და სექტანტობა. ნუ მოგერიდებათ ამ საკითხების განხილვა, ამით აღმოფხვრით სიცრუესა და შიშს.

ცრუმორწმუნეობის განდევნა შეიძლება მხო-

ლოდ იმ ძალების თაყვანისცემით, რომლებიც თავად ადამიანის თანდაყოლილი თვისებებია.

83. თანამშრომლობა ყოველ შესაძლებლობათა და ყოველ დანაზოგთა ჩამტევი მოვლენაა. ყოველი ვინც თანამშრომლობის საზღვრებს და მის ძლევამოსილებას ზღუდავს *მოღალატედ გადაიქცევა.* თანამშრომლობა მზით გასხივოსნებული სიხარულის თასია!

84. საჭიროა ყურადღება მიექცეს სხვადასხვა ეპიდემიათა ჩანასახებს. ამა თუ იმ მომაკვდინებელ სნეულებათა მოვლენა საერთო ცნობიერ ძალებზე აისახება. მოწამლვა გაცილებით უფრო ღრმად შეღწევადია ვიდრე ეს წარმოუდგენიათ, იგი გარდაისახება და ახალ-ახალ მიკრობებს ქმნის. ფიზიკური და ფსიქიური ეპიდემიები ძალზედ დამღუპველნი არიან. მთელ მოდგმათა გადაგვარება, ამნაირად დამღუპველად გადაგვარებული მიკრობებისაგან ხდება.

85. ზოგიერთი მწერი თუ ქვეწარმავალი სიკვდილს ამჯობინებენ, ოღონდ კი დაკბინონ მსხვერპლი და შხამი გამოუშვან. ზუსტად ასეთივენი არიან ბნელეთის მსახურნიც, ისინი მზად არიან ნებისმიერად მძიმე შედეგებზე, ოღონდ კი

შხამიანი ბოროტება ჩაიდინონ. საჭიროა მტკიცედ დავიმახსოვროთ ბოროტების ყოველი ჩამდენი, რომლებიც ზოგჯერ საკუთარ თავსაც კი არ ზოგავენ, ოღონდ კი ბოროტება ჩაიდინონ. შეიძლება მრავალი მაგალითის მოტანა, როდესაც ჩაფიქრებული ბოროტება უსარგებლო იყო თავად ბოროტმოქმედისათვის, მაგრამ ბნელი ძალებით შთაგონებული იგი მაინც განახორციელებდა ჩაფიქრებულ ბოროტებას. ბნელი ძალების ხრიკები უნდა იქნან მხილებულნი. მაგალითად, ზოგჯერ ცნობილი ადგილების მახლობლად ვიღაც ადამიანთა თუ ცხოველთა გვამებს პოულობენ. ბნელებმა იციან რომ მდაბიო სფეროების ძალთა მოსახმობად საჭიროა ღრწნა და ისინიც ღრწნის კერების მეშვეობით მოხერხებულად ქმნიან ამბოხის ღრწნის კერებს. ამ მიზეზის გამო დიდი ხანია მომიცია რჩევა არ გააჩეროთ სახლში გახრწნილი ხორციანი საკვები და გაფუჭებული მცენარეული ისევე, როგორც გაფუჭებული წყალი. ადამიანები იშვიათად აქცევენ ყურადღებას ამგვარ ფაქტებს, რომლებსაც თანამედროვე ექიმებიც კი ადასტურებენ.

86. ადამიანი მუდმივად მომავალისაკენ მიმავალი გზის ზღურბლზე უნდა იდგეს. ადამიანი ახალია ყოველ წუთსა და წამს. ადამიანი ვერ დამ-

კვიდრდება წარსულზე, რამეთუ წარსული უკვე აღარ არსებობს. ადამიანს შეუძლიან იცოდეს წარსული, მაგრამ ვაი მას, თუ იგი წარსულის ზომების გამოყენებას ეცდება. დაე ახსოვდეს *ბელადს,* რომ წარსული *შეუთავსებელია* მომავალთან. ახალ კომბინაციათა სიბრძნის გაცნობიერება აკავშირებს წარსულს მომავალთან. იოლი როდია შიშის გარეშე იცოდე, რომ *ყოველი წამი სამყაროთა განმაახლებელია,* მაგრამ ამის ცოდნა უშრეტი მხნეობის საბადოა. შეუძლიან ბელადს ბრძენთა საბჭოების შეკრება, მაგრამ ამ საბჭოში ვერ შეაღწევს სულით ჩაჩანაკი, რომელმაც საკუთარი თავი წარსულისაკენ მიმართულებით ააგო. *მომავლის სინათლე — იერარქიის სინათლეა.*

87. ბელადმა ერის ცნობიერებაში კეთილი საქმეები უნდა განამტკიცოს. მის განკარგულებაში უნდა იყვეს ყოველი კეთილი საქმის გავრცელების ასევე ყოველი საშუალება. ბელადისაგან ყოველი მოჩუმათება შხამით აივსება, იმ შხამით, რომელიც სიკეთისაგან ყოველი გადახრის თანმდევია. უნდა ვაღიაროთ საფუძვლების ამგვარი გადაადგილება, რათა მუდმივ სადარაჯოზე ვიმყოფებოდეთ; როგორც მშობელი მამა ისე ურთიერთობს ბელადი ხალხთან. ასეთნაირადაა შესაძლებელი სამყაროთა ჟღერადობის განახლება.

88. რა თქმა უნდა რომ ბერი დამრიგებლები, ისევე როგორც ალტაის დედაოები და სხვადასხვა ცოდნის მასწავლებლები, ხელოვნებათა და ხელობათა ცოდნის მასწავლებლები არიან და ამით განათლების მომთაბარე მეომრებს წარმოადგენენ. ადგილობრივი მასწავლებლები მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურ სიბეჯითეს იჩენენ საკუთარი საგნების მიმართ, მაინც ყოველდღიურობის უღელში არიან შებმული. ისინი თავადაც გაიხარებენ დამრიგებელი სტუმრის მობრძანებით. თავად სტუმრობის მოულოდნელობა წარმოადგენს იმ რაღაც უჩვეულოს, რომლისკენაც ასეთი ხალისით მიილტვიან გულები. თავის მხრივ, თავად მოგზაური მასწავლებლები ტკბებიან მრავალფეროვნების სილამაზით, რომელიც მათ ძალებს სიახლეს ანიჭებს და ზრდის კიდეც ამ ძალებს. ბელადი ხშირად თავადაც მონაწილეობს ამგვარ ნათელ მოგზაურობებში. რასაკვირველია, რომ თავად მოსწავლეებიც ხშირად სტუმრობენ ბერებისა და დედაოების სავანეებს. ალბათ კარგია მათთან ყოფნა. შეიძლება შეიქმნას სულიერი და შრომითი განათლების ამგვარი ნამდვილი კერები. დაე დამკვიდრდეს განათლება თავისი ყველაზე გულითადი და მიმზიდველი ღონისძიებებით.

89. ბელადი ბეჭდვით საბჭოებში თავად უნდა ღებულობდეს პიროვნულ მონაწილეობას. ბეჭდვითი საბჭო გამომცემლობების წარმომადგენლებისაგან იკრიბება. *ისინი თავად ცდილობენ უხამსობისა და ბოროტების განდევნას.* თუმცა თუ სამჯერ იქნებიან ამგვარ დანაშაულში მხილებულნი, ასეთები გამომცემელთა უფლებებს კარგავენ. ასევე თავად საბჭო ზრუნავს გამოცემათა კარგ ხარისხზე და ხელმისაწვდომ ფასებზე. საბჭო ასევე ზრუნავს იმაზედ, რომ ხალხში რაც შეიძლება მეტი სასარგებლო ფურცელი გავრცელდეს. *შესაფუთი ქაღალდიც კი უნდა შეიცავდეს საჭირო რჩევებს.* რასაკვირველია, რომ გამომცემლობები ქმნიან კოოპერატივს.

90. *მოსყიდულობა ყოველნაირი ხერხით უნდა იქნას ამოშანთული,* მაგრამ *ნუ დავეყრდნობით სადამსჯელო ღონისძიებებს*. ისინი ცუდი დამხმარენი არიან, ამიტომ საჭიროა სკოლის გაკვეთილების დროს დავნერგოთ ის აზრი, რომ *მოსყიდულობა ადამიანის ღირსების შეუფერებელი თვისებაა.* რა თქმა უნდა რომ კოოპერატივებიც განდევნიან თავისი რიგებიდან ყოველს, ვინც მოსყიდულობაში იქნება შემჩნეული. თავად ბელადი გულმოდგინედ უნდა აკვირდებოდეს,– ხომ არსად გაჩნდა ამგვარი ღრწნის ნიშნები. *მო-*

*სყიდულობის შემდეგ, არანაკლებ სამარცხვინოა საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობა.* მაგრამ ეს დანაშაული ისეა სისხლში გამჯდარი ბავშვობიდანვე, რომ მასზე ზემოქმედება ასევე ბავშვობიდანვე უნდა განხორციელდეს. დაეჩვიონ ბავშვები დიდებივით საქმის კეთებას. *შრომის ხარისხზე აღმოცენდება* მოვა*ლეობის შეგნებაც.* ყოველი გარდაუვალობა, გულმავიწყობა და საქმისაგან თავის არიდება, შეიძლება მხოლოდ საკუთარ გულში იქნას მხილბული.

91. *შიში* ბელადის მცნებასთან შეუთავსებელია. შიშის ყოველი გამოვლინება ბელადის მიმართ პატივისცემის რღვევაა. მას არ შეუძლიან გამოამჟღავნოს დაბნეულობა ან გონების გაფანტულობა. შიში საკმარისად გონივრულ ადამიანებსაც კი აიძულებს საკუთარი პიროვნების მიმართ გაზარდოს დაცვა. *მაგრამ ბელადი არ საჭიროებს დაცვას.* იგი შეიძლება *თანამშრომელთა და დამხმარეთა* გარემოცვაში იყვეს მხოლოდ. შიშის მოვლენას მრავალი სახელმწიფო დაუნგრევია. შიშისაგან შეშლილობა, — ანუ პანიკა, — ყველაზე გადამდები მცნებაა. შეიძლება წარმოიდგინოთ როგორ შეიპყრობს ბელადს შიში და განა ამ დროს, როგორ შეიძლება წარმოიდგინო იერარქიასთან მისი ურთიერთობა? ერები

ყოველი იმის მიმართ მგრძნობიარენი არიან რაშიდაც დამნაშავენი არიან, და რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა იმის მიმართაც, რასაც შიში ჰქვიან. *ერებს უნარი შესწევთ პატივი სცენ ვაჟკაცობას, რაზომც უცნაური არ უნდა იყვეს ვაჟკაცობის გამოვლინების ფორმა.* *მაგრამ შიშსა და უმოქმედობას პატიება არა აქვთ,* და ამასთან ერთად *ვერცხლის ძაფიც* (იერარქიასთან კავშირი) *წყდება.*

92. ზუსტად ვაჟკაცობა ძევს მარცვალში და არასოდეს გამომჟღავნდება იგი როგორც ნათელი აბჯარი. მაგრამ როცა მთელი ჩვენი გონება გადატანილია იქ, სადაც შიში და მოწყენილობა არ არსებობენ, მაშინ ჩვენ მიუწვდომელი ვხდებით სიბილწისათვის. უნდა ჩავწდეთ იმას, თუ სადაა ჩვენი ციხებურჯი და განუხრელად ვიჩქაროდეთ მისკენ. ამგვარად შეიძლება ვაჟკაცობის განმტკიცება.

93. ბელადი არასოდეს არ კრიბავს მთელს თავის ძალებს ერთ ადგილას, რადგან ამაში მდგომარეობს დაუმარცხებლობის უმთავრესი პირობა. მაგრამ არა მარტო ძალები ჰყავს ბელადს სხვადასხვა ადგილებში დისლოცირებული, არამედ ისინი ზოგჯერ გადაადგილდებიან,

ადგილსამყოფელს იცვლიან. ბელადის ბრძანება გადაადგილების შესახებ, მხოლოდ პირადად მასზეა დამოკიდებული. ადამიანებმა ზოგჯერ იციან სამხედრო ძალების გადაადგილების შესახებ, მაგრამ მათ ისიც იციან, რომ მრავალი რამ მათთვის დაფარულია. ამგვარად ბელადის ძალების გაცხადება დაუშვებელია. ამასთან ერთად ცნობილია, რომ თუმცა გაზები არ გამოიყენება, მაგრამ სამაგიეროდ არსებობენ რაღაც სხივები, რომლებიც უშეცდომოდ მოქმედებენ. ასევე არ დაიმალება ის, რომ ფსიქიური ენერგია გაცილებით მეტ დაცვას უზრუნველყოფს, ვიდრე გაზები. მაგრამ ამ ენერგიებით სარგებლობა მხოლოდ საიმედო ხალხის ხელში იმყოფება. ყოველგვარი ღალატი მათი მხრიდან გამორიცხულია, რადგან იგივე ენერგიას უკუმოქმედება გააჩნია. ამგვარად ბელადის დაცვას სულ სხვა ასპექტის მიღებაც შეუძლიან. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ იერარქიასთან ურთიერთობა საფრთხის შემთხვევაში გაფრთხილებას იძლევა. ფსიქიური ენერგიის ძალთა მოვლენები ყველაზე ძლიერი აბჯარია, ადამიანები ამაოდ ხმარობენ უაზრო სიტყვას "*<u>ინტუიცია</u>*" იქ, სადაც უზენაესი გრძნობათმცოდნეობაა.

94. ბელადი უნდა მოერიდოს *თავის მითითებათა გაუქმებას*. ამგვარი მერყეობა მოიტანს ისეთივე უბედურებას, როგორც *შიში*. პატივისცემა ველარ აღდგება, ამიტომ ბელადს უფლება არა აქვს იმედი დაამყაროს იმაზე, რომ დღევანდელი დღის შეცდომას იგი ხვალ გამოასწორებს. შეცდომები არ უნდა ხდებოდეს. შეიძლება *დააყოვნო* მითითება, მაგრამ *ბრძანების მოვლენა – კანონია.*

95. ჩვეულებრივად ადამიანები სცდებიან, როდესაც გონებაშეზღუდულობის გამო ფიქრობენ, რომ საგანს მხოლოდ ერთი ნაირსახეობა გააჩნია. ამიტომ, ვერ წარმოუდგენიათ, რომ ძველად ადამიანები სხვადასხვა ენერგიებს იყენებდნენ და ამასთან ერთად სულ სხვა, განსხვავებული ხერხით იყენებდნენ მათ. ადამიანებს ამასთან ერთად ისიცავიწყდებათ, რომ თვითონვე ანადგურებდნენ მრავალ საგანს როდესაც სახლებს ტოვებდნენ, ასე ბრძენი მასწავლებლებიც ღებულობდნენ საჭირო ზომებს, რათა ნაადრევად არ მიეცათ ის, რაც იმ დროს სახიფათო იყო ხალხისათვის. ახალი აღმოჩენები, განა დროზე ადრე შეიძლება მათი გამოქვეყნება? საფუძვლები შეირყეოდნენ ამგვარი თვითნებობებისაგან. რა, განა იერარქია არ მონაწილეობს აღმოჩენებში? ნუთუ არ იცით, რომ მრავალი აღმოჩენა განადგურებულია ჩვენ-

გან, როგორც ნაადრევი და მავნე აღმოჩენები? დაე ახსოვდეს ბელადს, რომ ხელი მოძღვრისა დაუღალავია, როცა იგი შესაძლებლობათა გამტარს სასიკეთოდ აკონტროლებს.

96. ჭეშმარიტად, ფუფუნებამ უნდა დატოვოს ახლის მშენებლობა, მით უმეტეს რომ ფუფუნება არც სილამაზეს და არც ცოდნის მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს. მაგრამ მეტად დახლართულია ფუფუნების საზღვრები, ამიტომ შეუძლებელია მათი ერთი კანონით განმარტება. ბელადმა ეს მძიმე უღელიც უნდა დაიდგას მხრებზე. მას შეუძლიან მთლიანად მოსპოს ყოველგვარი უხამსობა, რომელიც ფუფუნების თანამგზავრია. ბელადს შეუძლიან მოუსმინოს საუკეთესო მცოდნეს, მაგრამ გადაწყვეტილება მაინც მასზეა დამოკიდებული.

97. სილამაზის შემეცნების გასაზრდელად სკოლებში უნდა დაწესდეს სიცოცხლის სილამაზის შესწავლის გაკვეთილები. ხელოვნებისა და ცოდნის ისტორია ამ საგნის ნაწილი იქნება, რამეთუ იგი უნდა შეეხოს არა მხოლოდ ყოფილ წარმოდგენებსა და გაგებას, არამედ უნდა შეიცავდეს მითითებებს თანამედროვე მიღწევათა შესახებაც. ამ საგნის ხელმძღვანელი, ჭეშმარი-

ტად განათლებული უნდა იყვეს, რათა თავი დავაღწიოთ ურჯუკობასა და ფანატიზმს, რომლებსაც უმეცრების მარცვალი შეიცავს.

98. სამყარო საიდუმლოებაზე დგას; ისევე როგორც უზენაესი საიდუმლოება არაგამხილებადია, ისევე როგორც ყოველ დაძაბულობაში საიდუმლოების ელემენტია. ადამიანები გულში გრძნობენ ამ საიდუმლოების საზღვარს და უნარი შესწევთ პატივი მიაგონ მას. საჭირო არაა საიდუმლოებათა გამოგონება, მაგრამ საჭიროა მათი პატივისცემა, ამაშია ადამიანის პიროვნების გამართლება. *ბელადის ზრახვების არსი საიდუმლოა, მაგრამ მისი მოქმედებები სასიკეთოა ერისათვის.*

99. *შეიძლება კი ველოდებოდეთ იმას, რომ სახელმწიფოთა დაზიანებული ბიუჯეტები საგანგებო ზომების გარეშე გამოსწორდებიან?* არცა ფულის ნიშნების გამოშვება, არცა სესხები არ უშველიან ამას და მხოლოდ გაართულებენ სნეულებას. მაშასადამე საჭიროა ყურადღება მივაქციოთ *მოსახლეობის სწორ განსახლებასა და ძალების განაწილებას.* ურჩხულივით ქალაქები, როგორც გარყვნილებისა და სნეულებათა ჩირქის კერები, სწორად უნდა განაწილდნენ, რათა არ დაირღვეს

წონასწორობა. ურდოების თავშეყრა და გვერდით კი უდაბნოები არ უნდა არყევდნენ სიცოცხლის საფუძვლებს. ისე უნდა მოხერხდეს, რომ ბუნებაში ცხოვრება მიმზიდველი და გასაგები გახდეს. უახლესი აღმოჩენები საშუალებას იძლევიან თუნდაც შორეულ ადგილებში, კულტურის მიღწევათა წიაღში ყოფნას. როდესაც სკოლები სიცოცხლის შინაარსს განმარტავენ, როგორც საკუთარი თავის სრულყოფილებას, ბუნებაში ადამიანთა ნაკადი გაიზრდება. ასევე კოოპერატივებიც შექმნიან საშუალებას აღადგინონ საუკეთესო კუსტარული წარმოებები. სახელმწიფოს, ბიუჯეტის აღდგენის საქმეში, იგივე კოოპერატივები დაეხმარებიან. კოოპერატივების მოვლენა სახელმწიფოს საშუალებას მისცემენ დააკისროს მათ გადასახადების საგრძნობი ნაწილი, მაგალითად გზების, სატყეო მეურნეობის, წყლის მომარაგების, სამედიცინო საქმის, შინაგანი დაცვის და სხვა მრავალი საკითხის მოწესრიგება, რომლებსაც საჭიროებენ კოოპერატივები. რა თქმა უნდა სკოლები და დასვენების კერები კოოპერატივებზეა დაკისრებული, თუმცა სახელმწიფო განახორციელებს მათზე თავის ზედამხედველობას. კოოპერატივები თავისი ბუნების თანახმად, ირიბი გადასახადებითაც ეხმარებიან სახელმწიფოს. ***<u>პირდაპირი საყოველთაო გადასახადი არ უნდა</u>***

*<u>იყვეს დიდი, რამეთუ ეს გარემოება ყოველთვის უკმაყოფილებასთანაა დაკავშირებული.</u>* სამაგიეროდ ირიბი გადასახადები ყოველი მხრიდან მიედინებიან ბიუჯეტში ისე, რომ ამას თვალი ვეღარ ხედავს. კოოპერატივები ბადესავით იშლებიან სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე და მრავალი მოსამსახურის სანაცვლოდ მხოლოდ ზედამხედველობას ითხოვენ. უმაღლესი მეურნეობის საბჭო, თვით ბელადის ხელქვეითობით მოქმედებს. ამგვარად შენდება მთელი სახელმწიფოს შენობა ერთადერთი მწვერვალით.

100. ბელადთან ყოველ საუბარს უნდა მოჰქონდეს მხნეობა. ადგილი არ უნდა ჰქონდეს არცა მუქარას და არცა დამცირებას. ყოველმა თუნდაც მცირე თანამდებობის მოსამსახურემ მხარდაჭერა უნდა იგრძნოს მისი საუკეთესო თვისებების გამო. პატარებსაც შეუძლიათ საჭირო შენიშვნის გაკეთება და ხარობს გული ადამიანისა, ოდეს მისი საუკეთესო თვისებები დაფასებულია.

101. მათ, ვისაც ბელადის იდეის ათვისების უნარი არ შესწევთ, — ვეტყვით: ყოველი თქვენი სიტყვა გულისხმობს რაღაცის ან ვიღაცის პრიორიტეტს. თავად ვერ ამჩნევთ რომ, ყოველი თქვენი მტკიცებულება ეყრდნობა რაღაც აღმოჩე-

ნას, რაც სხვისგანაა დადგენილი. *არ არსებობს ადამიანი რომელიც მასწავლებელს არ საჭიროებდეს.* მხოლოდ კი საკუთარ გულში არ უნდა გაამაყდე. *იერარქიის აღიარება დაგეხმარებათ ბელადის მოვლენის ჭეშმარიტებაში, რომელიც თავის მხრივ უზენაესებთან მიმართებაში ბელადი კი არაა, არამედ მიმდევარი.*

ადამიანები უმეცრების ზეგავლენის გამო მზად არიან გადაჭრან ბაგირები, მაგრამ ყოველი მეზღვაური გეტყვით, რომ ბაგირებს მაშინ ჭრიან, როცა სტიქიები ერევიან ადამიანის ძალებს. იმავე მეზღვაურმა ძალიან კარგად იცის, რომ ანძებისა და ბაგირების გარეშე ნაოსნობა სახიფათოა. *მაშასადამე, აღზრდის მეშვეობით უნდა განამტკიცოთ იერარქიის გარდაუვალობა მთელს სამყაროში.*

102. *ყოველი გამომგონებელი და მეცნიერი უნდა გრძნობდეს, რომ მისი აღმოჩენა დაცულია სახელმწიფოს მიერ.*

*მეცნიერს არ უნდა სჭირდებოდეს დროისა და ძალის დახარჯოვა მონაპოვარის დასაცავად, თავად სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის თავზე არა მხოლოდ დაცვა, არამედ ყოველი აღმოჩენის ფართო გამოყენებაც. თავად გამომგონებლებს კი სახელმწიფომ უნდა აუნაზღაუროს ნაღვაწი და ხელსაყრელი პირობები შეუქმნას მათ, რათა სა-*

*შუალება მიეცეს შემოქმედს გააგრძელოს ძიება და კიდეც გააუმჯობესოს თავისი ნაღვაწი. დაუშვებელია, რომ შემოქმედ ძალებს უჭირდეს გზის გაკაფვა ფორმალური სიჩლუნგის სივრცეში. თავად ბელადმა უნდა იცოდეს თუ საითკენაა მიმართული ერის შემოქმედებითი ძალები. ასე რომ ცხოვრების შრომის შემოქმედი ერთეული, სამართლიანად იქნება დაფასებული.*

103. საზოგადოებრივი ფენები, როგორც პირობითობის ნიშნები, ველარ იარსებებენ ახალ სამყაროში. სამხედრო ფენები საერთო დაცვაში გადაიზრდება, რომელიც გამონაკლისის გარეშე ყოველ ადამიანს შეეხება. *სკოლა თავდაცვის ყველა საჭირო ილეთებს ასწავლის მოსწავლეებს.*

104. ზეპირი ბრძანება რჩება ცხოვრებაში, გინდაც რომ მთელი კაცობრიობა ათასენოვანი დამწერლობის მქონეც რომ აღმოჩნდეს, – რასაც სამი მიზეზი განაპირობებს: პირველი–ყოველთვის ექვემდებარება წერილობით გამოხატვას; მეორე–წერილობით ბრძანებას ადამიანები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ; მესამე–უზენაესი ნაანდერძევი არასოდეს არ გადაეცემა თაობებს წერილობით, ამიტომაა რომ *ბაგენი გულიდან გულში გადასცემენ უზენაეს ბრძანებებს.* ასე ბელადიც, იგი

გულში ინახავს მეუფეთა ბრძანებებს და თავის მხრივ ზეპირად იძლევა ასეთ დავალებას. ასეთი მარტივი მოსაზრება მაინც ითხოვს აღნიშვნას, რადგან თუ ვინმესთვის ცნობილი არაა *იერარქია, იგი ვერ ჩაწვდება ბრძანების სიწმინდეს*. ძალზედ ბევრი დარიგების გაკეთებაა საჭირო ბუნების კანონებთან მიმართებაში, რათა გასაგები გახდეს მიზიდულობის კანონის სრული სილამაზე, რომელიც იერარქიის საფუძვლადაა ჩადებული. უმეცარნი ვერ გებულობენ რომ მონობა და თავისუფლება მდებარეობენ: *პირველი* – *ბნელეთში* და *მეორე კი, – იერარქიის სინათლეში.*

105. შეიძლება სრულიად სამუდამოდ გამოირიცხოს ძალადობა და წამება. ასეთი ბნელი ღონისძიებანი არ გვჭირდება ჩვენ იქ, სადაც არსებობს ფსიქიური ენერგიის ცოდნა. სასამართლო აღნიშნავს ფირზე მსჯავრდებულის შინაგან მდგომარეობას. აღიარება კონტროლდება ნათელმხილველობით. თავად ბრალდებული იტყვის სიმართლეს ბრძანებით, რომლის მიმართ სიურჩე არცერთ ნებისყოფას არ შეუძლიან. ასე შემოვა ფსიქიური ენერგია ყოფით ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, რომ მნათობთა მეცნიერებასაც შეუძლიან ჭეშმარიტების განმარტება.

106. ჭეშმარიტად, სულის მიმართ პატივისცემა გაიზრდება. *ჩვენ უნდა ამოვძირკვოთ უღმერთობა.* საქმე იმაშია, რომ უმჯობესია შევინარჩუნოთ იერარქიის მიმართ თუნდაც ნაწილობრივი ცოდნა, თუნდაც პირობით ფორმებში, ვიდრე ქაოსის უფსკრულში გადავიჩეხოთ. ოდეს ადამიანებმა უზენაესის მიმართ მიუწვდომელობა შეიტყვეს, მათ საერთოდ ყოველი უხილავის მოსპობას მიჰყვეს ხელი. *ამიტომ, ჩემი ბრძანების თანახმად, უღმერთობა, რომელმაც აშკარა სატანიზმის სახე მიიღო, იქნება დევნილი.*

107. *სიკვდილით დასჯა უქმდება*, რადგან *ყაჩაღების ბრძოლაში განადგურება სასჯელი არაა.* მრავალი ბოროტმოქმედი მიმართავს შრომას შთაგონების ძალით. ზუსტად ისე, როგორც ლოთობა და სხვა მანკიერებანი, ასევე დანაშაულის სნეულებანი შეიძლება განიდევნოს ნებისყოფის ძალით ნათქვამი ბრძანებით. *ასევე არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ მრავალი დანაშაული შეპყრობილების გამო ხდება. მაშასადამე ასეთი ადამიანები დასასჯელი როდი არიან, არამედ არიან სამკურნალონი*. რა თქმა უნდა, რომ ასეთი მკურნალობისას, საჭიროა დაძაბული სისტემატური შრომა. *შეპყრობილთათვის ყოველი შრომა საზარელია*. ისინი ცდილობენ ქაოსში მოქცე-

ვას, მაგრამ *შრომის არსი მათ ააშკარავებს.*

ნუ დაღონდებით იმის გამო, თუ საიდან მოვლენ ძლიერი შთაგონებანი, მათი სიმრავლე დიდია, მაგრამ ცალ-ცალკე არსებობენ. როდესაც *ფსიქიური ენერგიის ინსტიტუტი შესდგება,* იგი შემოიკრებს მრავალ საჭირო თანამშრომელს. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ *ასტროლოგიის ინსტიტუტი* ახლო თანაშემწედ მოგვევლინება მონაცემების გასასინჯავად. მასაქეთ დიდი ხანი როდია, რაც ხელისუფალთ რცხვენოდათ როგორც ციური მნათობებისა, ასე ადამიანთა ძლიერებისა, მაგრამ ფსიქიურმა ენერგიამ უნდა დაიმსახუროს განათლებულ ადამიანთა ყურადღება.

108. ბელადი მუდმივად მხნე უნდა იყვეს, რათა არავის გადასდოს სასოწარკვეთილების ემანაციები. მაგრამ ამგვარი მხნეობა მხოლოდ იერარქიისადმი ერთგულებით ყალიბდება იმ დროს, როდესაც ეს ურთიერთობა გულშია დამკვიდრებული. ამგვარ წყაროდან იბადება მეგობრულობაც, რომელიც ყველაზე ძნელად გასაღებ კარებებსაც კი აღებს. საჭიროა იერარქის გამოსახულების თვალწინ მუდმივი ტარება იმისათვის, რომ ყოველ შემთხვევას მოუძებნოთ მეგობრულობის საჭირო საფუძველი. *საჭიროა მთავარ–ანგელოზის ცეცხლოვანი მახვილის ცოდნა,*

*რათა სამართლიანობის ზღვარი არ დავკარგოთ.* ვის შეუძლიან სთქვას თუ როდის ამოიწურებიან მეგობრულობის ყოველნაირი ზომები? მხოლოდ იერარქს შეუძლიან თავის თავზე აიღოს ასეთი გადაწყვეტილების მიღება. თქვენ იცით რომ ასეთი მაგალითი ყველაზე მშვიდობის მოყვარე მოღვაწის (ქრისტეს) მიერაა მოცემული.

109. ბელადი, როგორც მარადისობის წამიერ გაელვებას, ისე ღებულობს ყოველდღიურ შრომას. მას არ შეუძლიან დაღლა, ოდეს ევოლუციის ნელ მსვლელობას ხედავს. ადამიანთა საათზე, ჯერ კიდევ ბევრი დროა, მაგრამ ბელადი იქ ცხოვრობს სადაც სხვა ღონისძიებანია, ამიტომაა რომ იგი სიკეთით უნდა ეხმარებოდეს ჩამორჩენილებსაც და წინწაწეულებსაც. მხოლოდ იერარქიასთან ურთიერთობა ანიჭებს ბელადს სამივე სამყაროს შესაძლებლობებს. ამ წყაროდან იბადება ბელადის მუხლმოუცვლელობა. ვერ დამკვიდრდება ადამიანის ტვინი მარადიულ შრომაზე, *მხოლოდ იერარქიის ამოუწურავი ძლევამოსილება გ ზავნის შრომის არსის შეცნობისა და გაძლიერების ძლევამოსილ სხივებს. იერარქიის გარეშე ბელადი გრიგალში მოქცეული ნამცეცია. კრებდე ცეცხლოვანი სამყაროს სხივებს, ნიშნავს გამოიჭედო აბჯარი.*

110. სოფლის მეურნეობაში, რეწვასა და შემოქმედებაში *პიროვნება* ფრიად განვითარებული უნდა იყვეს. კოოპერატივი *პიროვნების* წამაქეზებელია და არა მჩაგვრელი. მხოლოდ თანამშრომლობის უმეცარი ფორმებისას შეიძლება ვიხილოთ დამონება და პიროვნების უარყოფა. ისევე როგორც ჯალათმა არ იცის თუ რა აზრებია მისგან მოკვეთილ თავებში, ასე უმეცარნიც,–რომლებსაც თავი კოოპერატორებად წარმოუდგენიათ,–სპობენ შემოქმედებით ძალებს. ჯალათი ყოველთვის ეზიზღებოდათ, ასევე აზრების ჯალათსაც შეიზიზღებენ. არა დამცირება, არამედ აღმავლობა ჟღერს ბელადის შეძახილებში. <u>თავად ბელადის მოვლენა უკვე ნიშნავს ეროვნული ძალების ფართო მოხმობას.</u>

111. ბელადს შეუძლიან ეახლოს ახალგაზრდობას და ყოველი მისი გამოჩენა, მათ წინაშე, დღესასწაული იქნება. იგი მიმზიდველ შრომას შესთავაზებს მათ, იგი იტყვის იმას, თუ როგორ შეიძლება, რომ პატარაც კი სასარგებლო გახდეს სახელმწიფოსათვის: იგი დაინახავს და შეაფასებს კიდეც გმირობის ყოველ გამოვლინებას. თავად ბელადი ჩაიწერს პატარა გმირების სახელებს, რამეთუ გმირობა უკვე ჩადებულია სულში. არასოდეს ყოფილა რომ ლაჩარი ყოფილიყვეს

შეგნებული გმირი. საჭიროა სკოლის ასაკიდანვე აღინიშნოს გმირთა სახელები რათა შეუნარჩუნოთ მათ თავგანწირვის ცეცხლოვანება. ვერავინ ვერ ამჩნევს, თუ როგორ ვლინდებიან ადამიანის ბუნების ძირითადი ნიშნები. ძალზედ ხშირად ამცირებდნენ ადამიანები ზუსტად ყველაზე ღირებულ თვისებებს. *ახალი ერა, უპირველეს ყოვლისა, ერის ძალებს გაუფრთხილდება.*

112. ბელადმა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე *არ უნდა დანიშნოს ბოღმიანი ადამიანები.* ძალიან უნდა მოვერიდოთ ასეთ თვისებებს, რამეთუ ბოღმიანობა — გონებაშეზღუდულობაა. რა თქმა უნდა რომ გონებაშეზღუდულობა გარკვეულ წილად განკურნებადია ისევე, როგორც გაბოროტება. ორივე თვისება ექვემდებარება შთაგონებას, მაგრამ ასეთი გარდაქმნა დროს საჭიროებს. საშინელი ზიანი მოაქვს გაბოროტებას და როგორც *გადაულახავი წინააღმდეგობა აღიმართება იგი იმ ადამიანის ყოველი მოქმედების წინაშე, რომელიც ბოღმითაა შეპყრობილი.*

113. მძინარე ჟამთასვლისას როდი იბადება ბელადი, არამედ მისწრაფებული დღენი და დაძაბული ჟამთასვლა ბადებენ ბელადსაც. იგი, ვი-

თარცა მოძრაობის სიმბოლო, ისე მიუძღვის ერს და ახალ, ნოყიერ მიწაზე მიჰყავს ხალხი. იქ, სადაც ბელადია მივლინებული, იქ უკვე სანუკვარი მიწაც მოვლენილია. ამიტომ, ბელადის გამოჩენა უკვე სიკეთისა და წარმატების ნიშანია, ნიშანი სამარესთან განშორებისა და სინათლესთან ზიარება. ასე რომ, ნუ დავიტირებთ მძინარე დროსთან დათხოვებას, რომლის დროსაც არც კი ვიცით თუ საით წავიდეთ. დაე ენერგია შესძინოს ბელადმა ერს, *რომლის არსებითი წყარო* – *<u>სინათლის იერარქიაა.</u>* არ წარმოსთქვავს ბელადი ამკრძალავ სიტყვებს; იქ სადაც ხსნის კარია ნაანდერძევი, საკუთარი მოთხოვნილებების მიმართ ერი უეჭველად იპოვნის პასუხს, და ის ფუჭი დაპირება როდი იქნება, რამეთუ იერარქიამ ფუჭი დაპირებები არ იცის. მაშ მადლობა შევწიროთ მისწრაფებულ დღეებსა და დაძაბულ ჟამთასვლას იმისათვის, რომ მძინარე დროის სანაცვლოდ აისის ჟამი მოგვივლინა.

114. *<u>ბელადი მრავლად გამოსცდის მომავალ თანამშრომლებს.</u>* უპირველესად ყოვლისა გამოსაცდელს იგი შესთავაზებს რომელიმე გარემოების აღწერას. თუ აღწერა იწყება *უარყოფით*, თანამშრომელი *<u>არ ვარგა</u>*, რამეთუ ყოველი მოვლენა რაღაც სასიკეთოს მაინც შეიცავს. მა-

გრამ არსებობს განსაკუთრებული თვალი, რომელიც ყოველ საჭირო მარცვალს შეამჩნევს. *ასეთი შორსმხედველი თანამშრომლები უნდა შეარჩიოთ.* ბელადი არ უნდა ჩაიძიროს უარყოფის ცდუნებაში.

115. *მათხოვრობა სრულიად დაუშვებელია.* კოოპერატივი ცდილობს, რომ შრომა ყველას უწილადოს. *მხოლოდ დავდრომილები უნდა მოთავსდნენ სათნოების სახლებში, მაგრამ იქაც ძალზედ მცირედ არიან ისეთნი, ვინც იმდენად უძლურია, რომ მათი გამოყენება სრულიად შეუძლებელია.* შრომის ნაირფეროვნება ამოუწურავია, საჭიროა მხოლოდ მოხერხებულობა, რათა შრომის უნარიანობა მოვიძიოთ.

116. ასევე ზრუნავს ბელადი თანამშრომელთა მიზანშეწონილ გადაადგილებებზე, ან მათი სარგებლობის ერთ ადგილზე შეინარჩუნებას. შეუძლებელია პირობითი ვადების დადგენა, ყველაფერი მიზანშეწონილობაზეა დამოკიდებული.

117. ბელადს მუდმივად თვალწინ უნდა ჰქონდეს სასრული მიზანი. *მრავალი წამოწყება ჩამოშლილა მხოლოდ მთავარი მიზნის დაკარგვის გამო. ყოფიერება ანადგურებდა ღვთივბოძებულ ამო-*

*<u>ცანებს და ადამიანური პრობლემები კი იზრდებოდნენ და დამღუპველად მოქმედებდნენ კოსმიური მასშტაბებზე.</u>* საჭიროა შევიგნოთ, რომ ყოფიერების ზე სულის ამაღლებულობა მხოლოდ იერარქიასთან ურთიერთობას შეუძლიან. ვერ გაექცევი ცხოვრების წვრილმანებს, მაგრამ ისინი *სულის ცისარტყელებით უნდა გადაფაროთ. ბელადს უნდა ახსოვდეს, რომ როდესაც გაცნობიერებული იქნება სამივე სამყაროს განძეულობა, მაშინ ერის მთავარი ამოცანა – თვითსრულყოფილება იქნება.*

118. უნდა გავექცეთ ყოველგვარ აკრძალვებს და ისინი დროულად უნდა ჩაანაცვლონ მიზანმიმართულმა მითითებებმა. უკეთესად ჟღერენ ბელადის ასეთი სიტყვები, *<u>აკეთეთ</u>*, *<u>შექმენით</u>*, ვიდრე, – *<u>გიკრძალავთ</u>*. ყოველი აკრძალვა ბელადისადმი პატივისცემის გარკვეულ ნაწილს ანადგურებს, მაგრამ, სინამდვილეში, მითითება შესაძლებელია ცხოვრებისეული გახდეს თუკი ის დროულადაა გაკეთებული. თუმცა ვინ, თუ არა იერარქი, შეამჩნევს დროულ მოვლენებს? ამიტომაა, რომ *ბელადის ძლევამოსილების თვალმარგალიტი მხოლოდ <u>იერარქთან ურთიერთობაშია.</u>* არ შეიძლება ამ თვალმარგალიტის გადადნობა, რამეთუ მისი დაშლა შხამს ბადებს. ბოძებული

თვალმარგალიტი ისე უნდა შევინარჩუნოთ, როგორც ერთიანი, უცვლელი საგანძური. წარმოვიდგინოთ, რომ ბელადმა უარჰყო ურთიერთობა, მაშინ იგი მყისიერადვე ჩვეულებრივ ადამიანად გარდაიქცევა და გაწყვეტილი კავშირის ძაფი, მას ძალზე შორს მოისვრის უკან.

119. შეიძლება ვაღიაროთ უზენაესი ძლევამოსილება, ოდეს იგი ორმხრივად მუშაობს ისევე, როგორც ვექტორთა საერთო მდგენელი. ორმხრივი ურთიერთობის მცნება ყველაზე საჭიროა: ფარი მხოლოდ ძალთა შეერთებით იქმნება. მაგრამ ბელადმა გული ისე უნდა მომართოს, თითქოს იერარქი უშუალოდ მის გვერდში იმყოფებოდეს.

120. უზენაეს ძალთა გაცნობიერება არა სკოლაში, არა სადღაც გარეთ, არამედ მხოლოდ გულში ცოცხლობს, რადგან იგი წვრილი სამყაროს მეხსიერების ქვაკუთხედს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, — *დალოცვილი ყოფილიყავით ყოველი, ვისაც საკუთარ გულში ყველაზე უბრწყინვალესი შემოგინახავთ. ღრუბლები კაცობრიობის თავზედ, ყველაზე საჭიროს მიმართ დავიწყების შედეგია.* ღამე მოგვეცა როგორც სულის ამაღლება, მაგრამ უვიცობის გამო ადამიანებმა სთქვეს,—"ღამე სიკვდილსა ჰგავს-ო". შეუთავსებელია, ღრწნას

სანუკვარ საიდუმლოებას ადრიდე. საჭიროა ბავშვო-ბიდანვე ვჩიჩინებდეთ, რომ *ძილს – ანგელოზებთან საუბარი ჰქვიან.* ოდეს სიტყვები საჭირო აღარაა, აი მაშინ იწყება გულით შემეცნება.

121. ზედამხედველობა ზედმიწევნით ფხიზელი უნდა იყვეს, მაგრამ ქვეშევრდომებს არ უნდა მოევლინოს იგი როგორც უნდობლობის ნიშანი. *საჭიროა ზედამხედველობა თანამშრომლობაში და ინფორმაციის ურთიერთ მიწოდებაში გადაიზარდოს.* ნდობის ზომები, ხარისხის დახვეწილობა,–ზემოდან ქვემოთ უნდა გასდევდეს თანამშრომლობას. მრავალი საჭირო ღონისძიება ზედამხედველობის მიმართ მხოლოდ სიძულვილის გამო იქნა გაბითურებული და განადგურებული. რა თქმა უნდა, რომ ისევ მხოლოდ უმეცრება იქნება ამ მიზანშეუწონლობის მიზეზი, და აი როდესაც ადამიანები წვრილი სამყაროსა და ცეცხლოვანი სამყაროს მიმართ თვალს გაახელენ, ისინი ურთიერთობათა ამოუწურავ ნაირფეროვნებას აღმოაჩენენ. ჭეშმარიტად, ვინაა იერარქიის გარეშე დარჩენილი?! მხოლოდ უმეცრებსა და შეგნებულად მატყუარებს შეუძლიათ სხვა და სხვა ზედმეტსახელების მოჩმახვით დაჩრდილონ იერარქია. მაგრამ თავად კი, იერარქიის თავისუფლების ბედნიერებას ვერ ფლობენ, რადგან

მონობის ნიშნით არიან დადაღულნი. ბელადმა მონური ანგარების ყოველგვარი ნიშნებიდან უნდა განწმინდოს ერი. საჭიროა ბავშვობიდანვე ვქადაგებდეთ სულის დისციპლინის თავისუფლებას. ამგვარად გახდება შესაძლებელი, ყოველი ღირსებისა და პატივის საკუთარ თავში გაღვიძება. პატივის გარეშე ადამიანი ვერ იქნება პატიოსანი. არ შეიძლება ფიქრობდეთ, რომ მონობა მოწონებული იქნება იერარქიისაგან. პირიქით, ცეცხლოვანი სამყარო ეძებს არა მონებს, არამედ თანამშრომლებს. *პატივის საზომ ერთეულად უნდა მიიჩნიოთ გულის სინატიფე.* ამგვარად ნუ დაგვავიწყდება, რომ უშუალოდ ყოველდღიურ ყოფიერებაშია ჩადებული სამყაროს სიდიადის საფუძვლები.

122. წაიკითხო წიგნი, — არ ნიშნავს იმას, რომ აითვისე იგი. ბელადს უნდა ესმოდეს ის, თუ რამდენად ჭეშმარიტად უნდა განიმსჭვალონ მისი თანამშრომლები სახელმწიფოს მწყობრი აგებულებით. ვერავინ იტყვის უარს შრომაში შეძლებისდაგვარად მონაწილეობაზედ. კაცობრიობის განზომილებით შეიძლება იცოდე ან მეტი, ან ნაკლები, მაგრამ მხოლოდ საერთო შრომაში მონაწილეობის მზადყოფნა უნდა განასხვავებდეს ერის მშრომელებს.

123. საჭიროა იერარქიის მიმართ აშკარა მზრუნველობის გამოჩენა. იერარქია უფროსობა როდია, არამედ  სიყვარულის ციხებურჯი. მხოლოდ სიყვარული ბადებს თაყვანისცემას, რომელიც თავის მხრივ ბადებს დისციპლინას. *მაგრამ ცოტა ვინმეს თუ უყვარს ის, ვინც მას დახმარებია, მაშასადამე დიდია უმეცრება!*

124. თუ ოჯახში შესვლისას მასპინძლის მაგიდაზე ექიდნეს შენიშნავთ, რას გააკეთებთ? მსჯელობას დაიწყებთ, ვიდრე გველი თქვენს მეგობარს გაანადგურებს, თუ მყისვე მოსპობთ მას? ჩვენ ვამბობთ — გადაარჩინეთ ახლობლები ბოროტისაგან. ნუ დაიბინდავთ გონებას შეცბუნებით, არამედ იმოქმედეთ სიკეთისათვის. არ შეიძლება სასწორზე დადო ექიდნე და ადამიანი. *არ შეიძლება მდაბიო გონების ცნობიერების ტაძართან გატოლება.* თუ ჩვენ გარჩევას ვეღარ შევძლებთ, მაშინ სადღა იქნება ჩვენი პასუხისმგებლობა მსოფლიოს მიმართ? გმირი არაა ვინც გველს გადაარჩენს, რათა მეგობარი დაკარგოს. *გმირი არაა ვინც საბოდიშო სიტყვებს ეძებს და მოვალეობის შესრულებაზე ამბობს  უარს. გმირი არაა ის, ვინც არ იცის სად მეტია და სად ნაკლები. გმირი არაა ის ვინც გულის საზომი დაკარგა.* ბელადმა იცის როგორც გულის საზომი, ასე ცეცხლოვანი გადაწყვეტილებაც.

125. ჭეშმარიტად, ბელადი არა მხოლოდ დაელაპარაკება ხალხს, არამედ მისი მითითებანი გაზეთებშიც დაიბეჭდება და ვრცლად იგრიალებს ინფორმაციული არხებით. იმდენად არა პირადი საუბრები, რამდენადაც მაუწყებლობა ბეჭდური და, რაც მთავარია,–ტელევიზია. ბევრმა მიყრუებულმა და შორეულმა ადგილებმა უნდა მოისმინონ საკუთარი ბელადის ხმა. მან უნდა დაანახოს ქვეყანას, რომ მისთვის ახლოა ყოველივე რაც შექმნილა და *რომ ყოველი ვინც გაუმჯობესებისა თუ სრულყოფილებისაკენ მიისწრაფის, ბელადში მხარდაჭერასა და აღიარებას იპოვის.* სიცოცხლის საწყისთა გაწონასწორებამ ზემოდან უნდა მოიპოვოს სამართლიანი დამოკიდებულება. *არავინ არ უნდა იგრძნოს, რომ ბელადსა და მას შორის კედელია.* ახალი აზრი, შემოქმედებითი მტკიცებულება, ან ახალი აღმოჩენა უნდა გააჟღერონ ადგილობრივმა კოოპერატივებმა და ამ ხმამ ელვისებურად უნდა მიაღწიოს ბელადს. მას რა თქმა უნდა რომ იერარქიული სხვა საშუალებებიც გააჩნია გამოჩენილ მოვლენათა მეთვალყურეობისათვის.

126. ყველაზე მძლავრი *ავატარები (მესიები)* არ ატარებენ მიწიერი განსხვავებულობის ნიშნებს, სამაგიეროდ მკვიდრდებიან სულის შემოქმედების

მოვლენებით. გასაკვირი როდია ის, რომ ძლიერი სულები აღიარებული არ იქნებიან თანამედროვეთაგან,–ეს ასეც უნდა იყვეს, რამეთუ მათი ზომები იმ მომავალს პასუხობენ, როდესაც კანონთა ერთი ნაწილის დალაგება ცხოვრების შემდგომ საფეხურთან მიახლოებას იძლევა. ჩათვალეთ, რომ ადამიანები არასოდეს არ აღიარებენ, რომ *უმაღლესი მიღწევა – გულის განვითარებაშია. თანამშრომლობა და თანაცხოვრება დაფუძნებული არიან გულზედ. ასეთი მარტივი ჭეშმარიტება ცნობიერებამ ვერ დაიმორჩილა. მექანიკური მიდგომა წარმოადგენს ძირითად ხელშემშლელ მიზეზს ცეცხლოვან სამყაროში შესაღწევად.*

127. ზოგიერთი ლითონები იოლად ერთდებიან, მაგრამ სხვანი განიზიდებიან, თავად ბელადი უნდა აკვირდებოდეს სიკეთისა და ბოროტების ამგვარ ხაზებს. ორივე მხარე ქმნის ერთიან ურთიერთ შეკავშირებულ მთლიან ჯაჭვებს. მაგრამ სახელმწიფოს უმთავრესი წინააღმდეგობა დაპირისპირებულ საწყისთა მექანიკურ შეერთებაშია, აქედან ნაადრევი ღრწნაც. *გული და იერარქიასთან ურთიერთობა იტყვიან თუ სადაა შესაერთებელი ნაწილები.* ადამიანს გულისა და გონების გაწონასწორება ესაჭიროება. თანამშრომლობა ნიშნავს წონასწორობის დასტურს. *პითაგორას*

წმინდა რიცხვი წარმოადგენს სილამაზის წონასწორობას. თანამედროვეობისათვის მრავალი რამ, ამ აქსიომიდან, გახადეს გამოუსადეგარი. *მძიმე დავალებაა უხსნიდე ადამიანებს გაწონასწორებას.*

128. შეჯიბრი, ერთ-ერთი მეტად ძნელად გასაგები მცნებაა. მხოლოდ ცეცხლოვანმა გულმა იცის, თუ რა ზომები უნდა მოხმარდეს ნათელ და ბნელ მხარეს. შეჯიბრი თავად ბელადის მიერ შემოდის ცხოვრებაში. სრულყოფილების წმინდა გაგება წარმოადგენს შეჯიბრის არსს. იქ სადაც ველური, დაუმორჩილებელი ცნობიერებაა, იქ შეჯიბრს ურთიერთ განადგურება მოაქვს. *შეჯიბრის გვერდით შური ბუდობს. მას თან ერთვიან ყველაზე დახვეწილი ბოროტებანი.* *თანამშრომლობა უნდა აწონასწორებდეს ესოდენ გაუგებარ შეჯიბრს.* ადვილი როდია პიროვნულად ჩაწვდე გონივრული შეჯიბრის საზღვრებს. თავად სიტყვა “*შეჯიბრი*” უკვე საშიშია, რამეთუ მასში გამოხატულია ჯიბრი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გადაგვარებული ერთგულება. ამიტომ, სადაც კი შეიძლება, უმჯობესია მცნება *შეჯიბრი* შეიცვალოს *თვითსრულყოფილებით.* მრავალი მცნება ითხოვს გადახედვას მათი თანამედროვე შინაარსისაგან. საჭიროა აღიარებული იქნას ის, რომ სარწმუნოებათა სამართლიანი

ისტორია მრავალ, ძალზედ გაუკუღმართებულ მცნებათა ფესვებზე მიგვანიშნებს. საჭიროა ყურადღება მიექცეს იმას, რომ მცნებათა ძირითადი ენა გახდეს ჟღერადი და, შეძლებისდაგვარად, განმმარტებელიც.

129. შეიძლება ენის გამდიდრება ახალი განმარტებებით, მაგრამ უაზრო სტვენა სარგებელს ვერ მოიტანს. *ყოველი ასო, თავისი ბგერით, ცენტრების ვიბრაციას ნიშნავს.* შეუსაბამობაა სარგებლობის გარეშე შეხმოვანების დაზიანება. ყურადღება მიაქციეთ ძველი ადგილების დასახელებათა ჟღერადობებს, ახლები ასე სასარგებლო ვიბრაციების მქონე სახელებს როდი ატარებენ. ძველი სახელები დაუვიწყარ მნიშვნელობებს ატარებდნენ. ხშირად ვერანაირი ფილოლოგია ვერ პოულობს, იმ ფესვებს, სიტყვის იმ შინაარსს, რომლებიც უმძლავრესი ერებისაგან იყო ჩადებული უძველეს სახელწოდებებში. მითუმეტეს ჩვენ, რაც შეიძლება უფრო მზრუნველობით მოვეკიდოთ უცნობ მემკვიდრეობას, უცნობს, მაგრამ ასე შეხმატკბილებულს ჩვენი გულებისათვის.

130. *ამჟამად შეიძლება დააკვირდეთ იმას, თუ რა გააფთრებით უარჰყოფენ ადამიანები ბელადის მცნებას და იმავდროულად მგზნებარედ*

*მოელიან მას. საგულისხმო იქნება შეამჩნიოთ ის, თუ როგორი გათიშულობა არსებობს გულისა და ტვინის პროცესებს შორის. ტვინი პირობით აზროვნებას მიჰყვება და გადამღერებულ ფორმულებს იმეორებს. მაგრამ გული, თუნდაც სუსტი და გაუწონასწორებელი, ინარჩუნებს ჭეშმარიტების ნამცეცებს. იქ სადაც ტვინი მხარდაჭერას უარჰყოფაში პოულობს, გული, მართალია მოკრძალებით, მაგრამ კრთის სიხარულით, როდესაც გრძნობს პრობლემის გადაჭრის სიახლოვეს.* ადამიანები, რომლებიც უარს ამბობენ აღმშენებლობაზე, სანაცვლოდ ამისა ხშირად ვერაფერს ვერ სთავაზობენ. ზუსტად ამგვარი უარის მთქმელნი, ერთ-ერთი პირველთაგანნი გაჰყვებიან ბელადს. უკმაყოფილონი, ისინი ჩუმად იბუზღუნებემ, მაგრამ საკმარისად ზუსტად აღასრულებენ ბრძანებებს. არა მხოლოდ მონური ბუნების გამო დაემორჩილებიან ისინი იერარქიას, არამედ საკუთარი გულის მუშაობის შედეგადაც. გული მიანიშნებს მათ, რომ მრისხანების ჟამს, წონასწორობის შენარჩუნება მხოლოდ ძლიერი ხელისუფლის გვერდშია შესაძლებელი. ამიტომ: დაე ნუ შეცბუნდება ბელადი აჩრდილების ამგვარი ყაყანით.

131. რა საჭიროა ამდენი გამოცდა, თუკი გულს სულიერი შემოქმედებითი გარდაქმნა ძალუძს? პასუხი მარტივია, — გული მიგდებულია და სიცოცხლისათვის აღარ გამოიყენება. ასე რომ, *მრავალი ადამიანი საჭიროებს ცნობიერების განსაცდელების გზით გაუმჯობესებას.* ოდეს მოსამსახურეთა შერჩევას აწარმოებთ, თქვენ ან გამოცდას უნიშნავთ მათ, ან მათი თვალებისა გჯერავთ. ასე გულსაც შეუძლიან ძალზედ დამაჯერებლად გამობრწყინდეს ადამიანის მზერაში, გონება კი თვალებს ცხოველურ, უაზრო სიჩლუნგემდე დაბინდავს. ამგვარად *ყოველი შესაძლებლობისას თვალთახედვის გაბრწყინების გზა ურჩიეთ ყველას*.

132. ბელადმა ნათლად უნდა გაარჩიოს, სახელდობრ თუ ვისთან შეუძლიან მას მუშაობა. მაგრამ თუ თანამშრომლობის არჩევანი შესდგა, თანამშრომლებს წარსული არ უნდა გაახსენოთ. წარსულში ვინ იცის რამდენი რამ მომხდარა! ზუსტად ესაა ის ხელშემშლელი მიზეზი, რომლის გამოც მომავლისაკენ ერთსულოვანი მისწრაფება შეუძლებელია და გასაგებია ისიც, წარსულის თუ რა პატარ-პატარა მიწიერი კენჭები უშლიან ხელს მომავლისაკენ სწრაფ მსვლელობას! მაგრამ მაინც უნდა მიეჩვიოთ სწრაფ წინსვლას,

სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს. *უამრავი უბედური და ტანჯული დახმარების მოლოდინში წამებს ითვლიან.* ***<u>ნუთუ არ ვიჩქარებთ?</u>***

133. საჭიროა მკაცრად გავარჩიოთ დაპირისპირება და საქმის კეთების განსაკუთრებული ხერხი. თუკი ცაცია მარცხენა ხელის შემოქმედია, მაშინ მის მიღწევათა შინაარსი როდი ეწინააღმდეგება მარჯვენა ხელის ნაშრომს. მაგრამ ადამიანები შებოჭილი არიან ღონისძიებათა პირობითობებით და ეხლაც კი არ ესმით თუ რაშია შრომის ფასი, ამიტომაა, რომ ყოველი უჩვეულო ხერხი იქვე ეჭვიანობას აღძრავს. რა საზიზღარი გრძნობაა ეჭვიანობა! მას ხომ არავითარი საერთო არ გააჩნია ცეცხლოვან სამყაროსთან. ეჭვიანობით შეპყრობა ადამიანს ცხოველზე მდაბლა დასცემს, რადგან ცხოველს გრძნობა მაინც რჩება და ეჭვიანობა კი ადამიანში, ყოველნაირ მგრძნობელობას გამოჭამს. რა თქმა უნდა, რომ ეს ყველაზე ბნელი დროის გადმონაშთია. საბედნიეროდ ეჭვიანობა ექვემდებარება მკურნალობას შთაგონებით, მაგრამ ამგვარი ჭირის გავრცელება დაუშვებელია.

134. თავად ბელადი შესძლებს ერის ცნობიერების უმაღლეს ზომებთან დაახლოებას. *<u>ბე-</u>*

*ლადზეა დამოკიდებული მთელი ქვეყნის ხასიათი – იგია ქვეყნის შესაძლებლობათა გამომხატველი. ხალხი მხოლოდ ქვეყნის ჭეშმარიტ ფასეულობათა გამომხატველს ეთაყვანება*. დაე იგრძნოს ბელადმა, თუ სადაა ერის განძეულობა და, ამასთან ერთად, იმასაც უნდა ჩაწვდეს იგი, თუ სადაა ყველაზე მძაფრი მტრული გამოხტომები. *არ არსებობს არც ერთი დღე, რომ ბნელმა ძალებმა არ სცადონ შემოიტანონ ნგრევა. მაგრამ ყოველი ნათლად გაარჩევს თუ სადაა განახლება და სად ნგრევა*.

135. ჭეშმარიტად, სისასტიკე უნდა ამოიძირკვოს. სისასტიკე არა მხოლოდ მოქმედებაში, აზროვნებაშიც უნდა ამოიძირკვოს, რამეთუ უკანასკნელი ფიზიკურ სისასტიკეზე უარესია. სახელმწიფო ღონისძიებებით ბავშვობიდანვე უნდა აღიკვეცოს სისასტიკის ყოველი გამოვლინება. *როგორც ყველაზე არაადამიანური, გონებაჩლუნგი და ბოღმიანი სიბნელე ისე უნდა განიწმინდოს მდაბალი აზროვნების ეს კეთრი*. ბავშვები როდი არიან სასტიკნი, ვიდრე თავის ცხოვრებაში პირველად არ იხილავენ სისასტიკეს; ეს თითქოსდა გზას უხსნის ბნელი ქაოსის მთელს ნიაღვარს. მხოლოდ ცოტანი თუ იქნებიან მზად თავად აღუდგნენ წინ ქაოსის ნიაღვარს და ამგვარი ცნობიერების

მატარებლები ხომ ძალზედ იშვიათნი არიან. არ შეიძლება ბელადმა ყველაში იგულისხმოს ამგვარი ადამიანური მიღწევა, ასე რომ პირიქით, საჭიროა სიმდაბლის მიმართ ღონისძიებათა გატარება. ასევე უაზროდ ნუ გავიმეორებთ მცნებას – "*არა კაც ჰკლა*", არამედ დავფიქრდეთ იმაზედ, თუ სად უფრო მეტია მკვლელობა – *ხელში, სიტყვაში* თუ *აზროვნებაში?* საჭიროა დავფიქრდეთ იმაზე, რომ ადამიანთა აზრები ძალზედ მომართულია მკვლელობებისათვის.

136. თქვენ თავად უწყით, რომ ჭეშმარიტად უსწორესი გზა, – მეგობრულობის გზაა. გავიხსენოთ თუ რა ფათერაკები გადაგვილახავს მეგობრულობის გზით! შეიძლება ვერც კი წარმოგვიდგენია ფათერაკების ზღვრები, მაგრამ გული მოწმობს, რომ ზუსტად მეგობრულობა გვევლინება მხსნელად ყველაზე საბედისწერო ჟამს.

137. შეუძლებელია ბელადისაგან მყისიერ რეაქციას ელოდებოდე ყოველთვის, მაგრამ არსებობს სხვა გარემოებაც – შესაძლებელია ბელადის განმარტების მიღება. მას შეუძლია იგრძნოს მიმდინარე მოვლენების მთავარი მიზეზი. ასეთი გრძნობათმცოდნეობა დაკვირვების უნარით ვითარდება. მთავარი გარემოების ამგვარი გარჩევ-

ის უნარი და, ამასთან ერთად, ყველაზე საჭიროს ცოდნა, უკვე პრობლემის ამოხსნის გასაღების ფლობას ნიშნავს. დაკვირვების უნარი რაღაც საოცრება როდია, იგი ყოველი არსებული არსის მიმართ პატივისცემით იბადება. რა თქმა უნდა ბელადი უნდა ფლობდეს დაკვირვების ამგვარ უნარს, რამეთუ დღევანდელი დღის სიხარული, შეიძლება ხვალინდელი დღის უბედურებად მოგვევლინოს და პირიქით. მაგრამ ძალზედ წარმტაცია ამოცანაში გულით აღიქვავდე იმას, თუ სადაა უმთავრესი გასათვალისწინებელი პირობა? ჩვეულებისამებრ, თავად სახე აღიბეჭდავს ენერგიის მოჭარბებას ან მის ნაკლოვანებას. ცუდი იქნება ბელადი, რომელიც ვერ ხედავს იმ ტალღას, რომელიც ადამიანთა შთაბეჭდილებების საფუძველს წარმოადგენს. ჩვეულებისამებრ, ადამიანები ხომ იმას ხედავენ, რაც მათ ცნობიერებაში ხდება. ამგვარი წარმავალი აჩრდილები ვერ უნდა აბინდებდნენ ბელადის გონებას.

138. საგანთა ბუნება, სწავლების პირველ საგანთა შორის უნდა ისწავლებოდეს. იგი მთელი რეალობით და რაც შეიძლება ულამაზესი მოთხრობის სახით უნდა გადაეცეს მსმენელს. საჩვენებელია სამყაროთა მემკვიდრეობითი მონაცვლეობა, ყველა მისთვის დამახასიათებე-

ლი მეცნიერული შედარებებით. რელიგია არა მხოლოდ არ შეეწინააღმდეგება საფუძველთა ამგვარ წარმოჩინებას, პირიქით, რელიგია დახმარებას გაუწევს ამ საკითხების გაშუქებას თავისი უძველესი მინიშნებებით. საგანთა ბუნების მეცნიერება ცოცხალი ეთიკის გაგების წინაპირობად გადაიქცევა. საჭიროა ჩაწვდე იმას, თუ რისთვისაა საჭირო ღირსება, პატივი და სხვა დანარჩენი ადამიანური თვისებები. რაც შეიძლება ადრეული ასაკიდანვე უნდა ესმოდეთ ბავშვებს წვრილი და ცეცხლოვანი სამყაროების შესახებ; უნდა ესმოდეთ იერარქიისა და სიკეთის საწყისები. რაც უფრო ადრე შეახსენებენ მათ იერარქიისა და სხვა ჭეშმარიტების შესახებ, მით უკეთესია, რადგან უფრო იოლად გაიხსენებენ ადრეულ ცოდნას. იერარქიის საფუძვლების სრული ცოდნით, ღმერთზე წარმოდგენები მთელი სიდიადით განიწმინდებიან. მხოლოდ ამგვარი მიდგომით არ დარჩება განზოგადებულ წარმოდგენათა სივრცეში *ეს უზენაესი მცნება* და ამგვარად შეუერთდება იგი რეალურ ცხოვრებას. საჭიროა რომ ბელადმა და მთავრობებმა შეიგნონ ის, თუ როგორ უნდა ამაღლდეს უზენაეს წარმოდგენათა შემეცნება. საჭიროა, რომ სკოლებმა შეიძინონ მიმზიდველობა იმ მთელი თავისი სიდიადით, რასაც თვით ყოფიერაბა წარმოადგენს.

139. **საფრთხე წარმოადგენს დაძაბულობათა ვიბრაციების თავმოყრას.** მრავალი ფათერაკია ადამიანთა მუდმივი თანმდევი, მაგრამ ადამიანები მხოლოდ ზოგიერთ მათგანს ამჩნევენ. როდესაც ბელადი ამბობს – იცხოვრეთ საფრთხეთა შორის, მას შეეძლო ეთქვა, – აღმოაჩინეთ ფათერაკები და გახდით წარმატებულნი. *შეუძლებელია ფათერაკების გარეშე ცხოვრება*, მაგრამ შესანიშნავი იქნებოდა მათგან საგმირო საქმეთა ხალიჩას ვქარგავდეთ. ბელადმა იცის, რომ მას დავალება მოაქვს და ფათერაკები მისთვის მხოლოდ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ, ამიტომაა რომ ბელადი არ ფიქრობს ფათერაკებზე. ფათერაკებზე თავად ფიქრიც კი, უკვე მავნეა. ფათერაკებზე ფიქრით, ჩვენ მათ ვიბრაციებს ვაძლიერებთ, რითაც შეიძლება დავარღვიოთ წონასწორობა.

ძალების მიმართ გაფრთხილება არ უნდა აურიოთ შიშსა და მორიდებაში. ჩვენ ვფხიზლობთ და ვფრთხილობთ, რათა დავალება უკეთესად შევასრულოთ. მაგრამ ფათერაკები ვერ დაამძიმებენ ჩვენს ყურადღებას. ***მასწავლებელმა უპირველესად ყოვლისა უნდა მოითხოვოს მოწაფისაგან საშიშროებათა აჩრდილებისაგან თავის დაღწევა.*** მოსწავლეს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ უზენაესი ენერგიის ერთი წვეთიც კი არ უნდა დაიხარჯოს უსარგებლოდ. *საფრთხის შესახებ*

*ერთი გაფიქრებაც კი მრავალ ცენტრს აზიანებს ჩვენში და ერთიანად ანადგურებს ჩვენს უძვირფასეს ენერგიებს*. ფათერაკის მიმართ აზრი პულსის ხარისხზეც კი აისახება, მაგრამ დავალების უკეთ შესრულების სურვილი გვიმაგრებს გულს. ასე რომ, ვიმოქმედოთ, მხოლოდ სარგებლიანად.

140. ჩვეულებრივად, ბერობაში ფეხშედგმისას, არჩეული გზის ყველა სიძნელეზე საუბრობდნენ. ერთნი იტყვიან, — ყველაფერი იოლიაო, სხვანი კი, — ყველაფერი ძნელიაო. ცეცხლოვანი გულის ადამიანებს შეიძლება უთხრათ, — *ყველაფერი იოლია*, მაგრამ თუ ცნობიერება ჩვეულებრივია,—სწორი იქნება გააფრთხილოთ, — *ყველაფერი ძნელია*. თუ ვინმე გაიქცევა სიძნელეთა გაფრთხილებისას, ის მაინც გამოუსადეგარი იქნებოდა დაუცხრომელი შრომისათვის. არ ღირს იმ ადამიანთა აყვანა, რომლებზეც წინასწარ იცით, რომ არ გამოგადგებიან. *შრომის შიში,—უკვე ღალატია.*

141. ალექსანდრიის ფილოსოფოსები ამბობდნენ: *“ნუ განკიცხავ ამ წუთისოფელს, რამეთუ იგი უდიადესი აზრის ქმნილებაა!”* არა ქმნილებაა დამნაშავე, არამედ ჩვენი მსჯელობა მასზედ. ჩვენ შეიძლება დავლექოთ ჩვენი აზრები როგორც სასიკეთოთოდ, ასე საუბედუროდაც. ჩვენ შეგვი-

ძლიან ყველაზე კეთილი ცხოველის გაავება და ბოღმიან არსებად გარდავსახოთ იგი. სისასტიკე ერთის მხრივ, მეორეს მხრივ შიში, ჩვენივე აზრის მეშვეობით აღავსებენ ჩვენს გონებას. *ჩვენ ჩვენი თვალთახედვით ვასხივებთ ბოროტებას.* ჩვენ უნარი შეგვწევს სასარგებლო მცენარის გადაგვარება და მისგან მომაკვდინებელი შხამიანი მცენარის შექმნა. ძველ ფილოსოფოსთა აზრმა რელიგიებში შეაღწია. *კლიმენტ ალექსანდრიელმა* იცოდა ის, რომ თავად ადამიანები ამცირებდნენ უდიადეს ქმნილებას და ეხლაც კი შეუძლიათ ადამიანებს დააკვირდენ იმას, თუ *როგორ შეუძლიან ბოროტებას ყველა უწყინარი არსებას გადაგვარება.*

რა თქმა უნდა რომ *ყოველი* მომთვინიერებელი დაადასტურებს იმას, რომ ყველაზე ხშირად ხელობაში მას მისი სიკეთე ეხმარება. მაგრამ მან ისიც იცის, რომ სიკეთის გარდა საჭიროა სხვადასხვა დამცავი ღონისძიებაც, რომლებიც ცხოველის თვისებებს ითვალისწინებენ. ასეთ *მეცნიერებას* შეიძლება ვუწოდოთ *მიზანშეწონილობა.* და ჩვენ უკვე შეგვიძლიან კი არ განვიკითხოთ ეს წუთისოფელი, არამედ ვიმსჯელოთ იმაზე, თუ *როგორ შემოვიდა მასში ბოროტება?* ასე რომ წინასწარი დამცავი ღონისძიება შეიძლება განსაზღვროს არა ბოროტებამ არამედ სიკეთემ.

*შეიძლება ძველ ფილოსოფოსთა ამ დარიგების ყოველი ბელადისადმი მიცემა, რათა არ დაივიწყოს იგი.*

142. თქვენ უკვე საკმარისად იცით ზოგიერთ პიროვნებათა ზომიერების შესახებ. რა ვქნათ, თუკი ასეთი ადამიანები ერთ-ერთი საუკეთესოთაგანნი არიან? ზომიერება ძალზედ ვრცელ წრეებში შემოძვრა. ისინი, ვინც თითქოს სიკეთის მქნელნი არიან, სულიერ თავშეკავებას ეძლევიან. შეიძლება დავინახოთ, რომ ბნელები ხშირად როდი იტანჯებიან ამ ნაკლის გამო. არსებობს ასეთი ზღაპარი, რომ სატანა შეხვდა ანგელოზს. ნათელმა სთქვა: "შენი მსახურნი მეტად მწარენი არიან!"-ო, რაზედაც სატანამ უპასუხა: "ჩემები მწარენი არიან, სამაგიეროდ შენები ამჟავებულანო, ჩვენ ორივენი ტკბილებს უნდა ვეძებდეთო." და ანგელოზმა თავი ჩამოქინდრა რამეთუ მას არ შეეძლო მიეთითებინა თუ სად არიან ისინი, არა ამჟავებულები. დიდი ხნის წინაა ეს ასე აღნიშნული ხალხისაგან.

143. ბოროტების ნებისმიერი გზიდან შეიძლება სიკეთისაკენ შემობრუნება. მაგრამ ამგვარი შესაძლებლობანი ყველაზე კარგად პროგრესირებად ამოცანებზე ჩანან. ჭეშმარიტად, პროგრესიის

კანონის თანახმად, სიკეთის ყოველი დაყოვნება სწრაფად დაგვაშორებს სიკეთეს. იქ სადაც ბოროტების ეტლიდან შეიძლებოდა ჩამოხტომა გუშინ, დღეს უკვე იმ ადგილს ვეღარ დაუბრუნდებით ჩამოსახტომად. *ეს უნდა შევახსენოთ ყოველს, ვინც ფიქრობს რომ, ნებისმიერ დროს ერთნაირი წარმატებით შეიძლება ბოროტების ტვირთის მოცილება.* მისი ნივთიერება წებოვანია და პატარ-პატარა თავისმართლებებით ჯეჯილობს, – ამაზე ჩვენ უკვე გვისაუბრია.

144. ადამიანებს, რომლებმაც დიადი მსახურება იტვირთეს, შეიძლება *"ზეცის ქვა"* ვუწოდოთ. თავის მისწრაფებაში ისინი სინათლით ივსებიან, ერთიანად გაანგრევენ მდაბალ ფენებს და *საკუთარ პიროვნებაში ადამანტის ალმასს შეიცავენ.* მაგრამ იოლი როდია იყო ალმასი, ამისათვის უნდა განმტკიცდე ნათელში, რათა სძლიო ბნელს. *დიადმა მსახურებამ მოსვენება არ იცის.* წინააღმდეგობათა მიმართ მოუცვლელ წინადგომაში ძლიერდება სული. მრავალი მიწიერი პატარპატარა სიმართლე უნდა გადაიფაროს სულგრძელობის თაღით. უნდა შევიმოსოთ სინათლით, რომელიც იერარქიიდან მოედინება. როგორც საგანთა ბუნება ისე უნდა შეითვისოთ წვრილი და ცეცხლოვანი სამყარო.

ორმოდან შეიძლება მზე ვერ დაინახო, მაგრამ ვარსკვლავებს ჭებიდან სწავლობენ. ყველაზე მოულოდნელი შეიძლება მოხდეს მსახურების გზაზედ, *მაგრამ ნაცადი ბელადი არ დაივიწყებს, რომ ყოველი მსოფლიო დანაკარგი სივრცეში ანაზღაურებადია.*

145. და არსად არ ფიქრობენ ადამიანები ცოცხალ ეთიკაზე. ისინი ფიქრობენ, რომ ჩვეულებრივი წესებით გაიტანენ ამ წუთისოფელს, მაგრამ ყოველდღე სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ ადამიანთა გადარჩენა იმ რწმენით შეიძლება, რომელიც ყველა რელიგიაზე აღმატებულია. ამგვარი რწმენა იშვიათია, *ნუ დავითვლით ათასობით იქ, სადაც ათეულებიც საკმარისია. უზენაესის ამგვარად გაცნობიერების გზები უჩვეულოა.*

146. "გუნდი" გაგებულია როგორც ბგერათა შეხმოვანება, მაგრამ შეიძლება *ენერგიათა* გუნდის, *გულების* გუნდის, *ცეცხლთა* გუნდის არსებობაც. მოძღვრებამ ყურადღება უნდა მიაქციოს გუნდურ საწყისებს, რომელიც სრულებითაც არ დაამძიმებს პიროვნულ საწყისებს. *საჭიროა საკუთარ თავში ისეთი კოოპერაციის განვითარება, რომლის მადლითაც შეიძლება შესაძლებლობათა პირდაპირი გაძლიერებისათვის მოვლენებში*

*ჩართვა.* ამგვარად, ზრუნვა გუნდურ საწყისებზე შემოქმედებასთან დაკავშირებას მოიტანს. ადამიანებს შეუძლიათ ჩაწვდნენ იმას, რომ გუნდი საჭიროებს მონაწილეთა ნაირფეროვნებას. მხოლოდ ძალზედ გამოცდილმა ხელმძღვანელებმა იციან, თუ რამდენად საჭიროა თუნდაც არც ისე მოწადინებულ მონაწილეთა ჩართვა, რადგან მათ შეუძლიათ თავისებური ჰარმონიის შემოტანა. მასწავლებელს უხარიან ყოველი ნაირფეროვნება. მათში იბადება ცეცხლოვანების ახალი თავისებურობა.

147. *ვნახოთ, თუ როგორ შეუძლიათ ერებს ცოდნის მნიშვნელობის შეგრძნება.* ჩვენი მზრუნველობა ცოდნის გამოვლინების უჩვეულო გზებს მიეძღვნება, რათა ამან განაცვიფროს ადამიანთა გონება. ჭეშმარიტად, წინა დაბადებათა წარმოსახვის უნარის გაღვიძება იოლი როდია. მხოლოდ განწმენდილი გონება, რომელსაც უკვე აღარ აღელვებს გადასვლები, ამჟღავნებს მუდმივი წარმოსახვის ახალ და დაუღალავ უნარს.

148. *საჭიროა ყოველი ხერხით იმ ძირითადი კანონის ათვისება, რომ მასწავლებელი იძლევა მიმართულებას, მაგრამ არ ითხოვს წვრილმანთა დაცვას.* ყოველმა, შრომის პროცესში, თავად

უნდა ებიოს და ჰპოვოს კიდეც საწადელი. განსაკუთრებით ბუნდოვნად წარმოუდგენიათ, თუ რაოდენ დიდია კანონი, რომელიც მაძიებელს მოპოვებისაკენ მიასწრაფებს. არა მხოლოდ ეხლა, უწინაც, საუკეთესო წლებში, ადამიანები ითხოვდნენ უკვე დასრულებულ, თუნდაც გაუაზრებულ ფორმულებს. ნახეთ რაოდენ ჭკუის მასწავებელია გამოცდები, როდესაც მოწაფეს ერთი საწყისი ასოს თანახმად, მთელი სიტყვა უნდა ამოეცნო. მაგრამ ცოტა ვინმე თუ ეძებს ამგვარად გაერთიანებულ ცნობიერებას. საჭიროა ითქვას ისიც, თუ რამდენად გაიზრდება ხელმძღვანელობის უნარი, თუკი ადამიანი მუდმივ ძიებაშია.

149. *მრავალგზის დაუდასტურებიათ ფილოსოფოსებს, რომ ადამიანთა თავშეყრა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ზნეობრივი შედეგები მოჰყვება.* ჭეშმარიტად ეს სიბრძნე ახალია ჩვენი დროისათვის. *ადამიანთა თავშეყრა, ჩვეულებისამებრ მთავრდება ყველაზე მარტივი საფუძვლების შერყვნით.* შევხედოთ ადამიანთა ამგვარი მრავალრიცხოვანი გროვების წვრილ და ცეცხლოვან გარსს. შევხედავთ და შევძრწუნდებით; არაშეთანხმებული რითმები იზიდავენ მხოლოდ მდაბალ სულებს და ზეცის ცეცხლოვან გზავნილებს მწველ და გამანადგურებელ ცეცხ-

ლად გარდასახავენ. თუ კეთილ დამსწრეთათვის ამ გაცხოველებული და გამხეცებული ბრბოს შუაგულიდან თავის გაღწევა უჭირთ, მაშინ ნატიფი არსებანი ხმელი ფოთლებივით განიფანტებიან მათგან. საჭიროა დაველოდოთ იმას, თუ როდის იქნება, რომ *ფსიქოლოგიის გაკვეთილებზე გააჟღერებენ რჩევებს მასიური ზემოქმედებებისაგან თავის დასაცავად.* ადამიანებს სურთ მართვაში მონაწილეობა, მაგრამ ნებისყოფის აღზრდა კი არ სურთ.

150. *ბელადი როდი დარდობს მოჩვენებითი წარუმატებლობებით, რამეთუ მან იცის რომ სიკეთე უნარიანია აღავსოს ნებისმიერად ღრმა უფსკრული.* იგი გზიდან ოდნავ გადაცდენასაც იგრძნობს, მაგრამ ამით იგი იძენს შესაძლებლობას ეწვიოს კიდევ ერთ ახალ სივრცეს. ასევე სიკეთეც, — ბელადის ხელში იგი სინათლის ნამდვილ მოვლენად გარდაიქცევა. ნუგეში იმასში კი არაა, რომ წარუმატებლობა შეუძლებელია, არამედ იმასშია, რომ სიკეთის ყოველი მიღწევა, ახალი წარმატების გამოვლინებაა. არ გირჩევთ ბნელეთის ნიშნების აღნუსხვას, ისინი მხოლოდ ბნელში ჩაგითრევენ. სინათლე ერთია მხოლოდ. სინათლე შეიძლება იყვეს მხოლოდ საზომი და საყრდენი ერთეული. ცეცხლოვანი

სამყარო სინათლის ქმნილებაა, აზრი კი ცეცხლის ნაყოფი.

151. ადამიანები, ჩვეულებისამებრ ვერც კი ამჩნევენ შემობრუნების გარემოებებს. გუშინ იმას მივაქციე ყურადღება, რომ ადამიანებს არც კი სურთ იმის გაგება, *თუ რას ჩადიან ისინი თავად!* კიბე უკვე დიდი ხანია რაც აღებულია, მაგრამ ადამიანი მაინც შეაბიჯებს სიცარიელეში, რადგან ყოფილი კიბე ელანდება და ყოფილ კიბეზე ფიქრობს. შეუძლებელია ადამიანების სინამდვილეზე დამკვიდრება. ყველაზე მარტივ და უბრწყინვალეს გადაწყვეტილებებს დუმილით ჩაუვლიან გვერდს და უარყოფენ მას, მხოლოდ იმიტომ, რომ სადღაც აქ ბაბუას კიბე იდგა. იგი უკვე დიდი ხანია არ არსებობს, მაგრამ ზომიერი ცნობიერება ვერ ღებულობს ამგვარ სინამდვილეს. ცეცხლოვანი სამყაროს სიდიადემ მაინც მიუბიძგოს ადამიანებს სინამდვილის საფეხურებისაკენ!

152. საჭიროა თვალყური ვადევნოთ იმას, რომ რიგი ქვეყნებისა ირყევიან მხოლოდ არასწორი წარმოდგენების გამო. *შეუძლებელია თავის გამართლება იმით, რომ ვიღაცამ რაღაც არ იცოდა.* ჩვეულებრივად ყოველთვის არსებობენ მტკიცებულებანი იმაზედ, რომ ასეთი ცოდნა ყველა კარზე

აკაკუნებდა, ყოველ მაგიდაზე იდო, და მრავალგზის მოიხსენიებოდა. *უსამართლობაა* *უყურადღებობის გამართლება და აზრის გაღრმავების სურვილის უქონლობა.* ახალი შევიწროებანი სხვა არაფერია, თუ არა ბელადის არადამაჯერებელი საქციელი. ხშირად ხალხმა თავად მიზეზის შესახებ არა იცის რა, მაგრამ გულით გრძნობს, რომ ხდება რაღაც არადამაჯერებელი. ბელადი ყველაზე მეტად უნდა ერიდებოდეს არადამაჯერებლობის ზრდას.

153. *კურთხევის ართმევა* უძველესი პატრიარქის აქტია. იგი ძალზედ შორსაა მოგვიანებითი *წყევლისაგან.* წყევლა უკვე უმეცრების პროდუქტია, მაგრამ უძველესი აქტი ითვალისწინებდა *იერარქიასთან კავშირის მოშლას.* *იერარქიასთან კავშირი ჭეშმარიტი კურთხევაა, აქედან გამომდინარე ყველა თავისი შედეგებით.*

იკითხავენ უმეცარნი: *"ჩვენ მრავალგზის გვითქვამს აუგი უზენაესის მისამართით, და მიუხედავად ამისა ვარსებობთ, არანაირ ცეცხლს არ შთაუნქივართ და არც არაფერი არ გვემუქრება."* მაშინ მივიყვანთ მათ მოედნებზე, *სადაც ტალახში დაღოღავენ ბრმა მათხოვრები, და ვიტყვით:* "აი, ესეც თქვენა ხართ!" *წავიყვანთ დილეგებში, მაღაროებში, მივიყვანთ ხანძრებთან, ბოროტმოქმედთა სამსჯავროზე და ვეტყვით:* *"ნუთუ ვერა ვცნობთ*

*საკუთარ თავს? გადაიკვეთებოდა თუ არა უზენაესთან კავშირის ძაფი, თქვენ მყისვე უფსკრულში მიფრინავდით."* საჭირო არაა დაშინება, რამეთუ მთელი ცხოვრება სავსეა მსგავს საშინელებათა მაგალითებით. გახსოვდეთ, ცეცხლის მუხტი უხილავად იზრდება, მაგრამ შედეგებს ვერავინ გადაურჩება. ასე შეიძლება დაინახოთ ის, რომ ძველებსაც კი კარგად ესმოდათ კანონის სამართალი და უკვე იცოდენ კიდეც, რომ საწყისთა შეურაცხმყოფა იმდენად გრანდიოზულია და საშინელი, რომ შედეგი შეუძლებელია იყვეს დაუყოვნებელი.

154. *ბელადმა არ უნდა დაჩრდილოს ისტორიული მოვლენები არანაირი პირადი გრძნობებით.* შეუძლებელია შეაფერადო მთელი ერის მოვლენები პირადი სიხარულით, თუ პირადი სინანულით. მრავალი ამბავი იქნა გამრუდებული ზუსტად პირადი განუკითხაობით, რომელმაც ვრცელ მიმართულებებში ძალადობა შემოიტანა. ზუსტად ამაღლებული თანამშრომლობა უნდა გამოიჩინოს ბელადმა, რათა დაცული იქნას ერის შემოქმედებითი ენთუზიაზმი. მაგრამ იშვიათად ხერხდებოდა ამგვარი თანამშრომლობა როგორც კოსმიურ ძალთა შერწყმა. *რა თქმა უნდა, რომ გონების მხოლოდ მომავალში გადატანა დაიცავს ბელადს წარსულის პირადი შეგრძნებებისაგან.*

155. ნუ გაგიკვირდებათ როდესაც ჩვენ სახელწოდებას ვახმოვანებთ, რომლითაც, უწყების მიზნით, აღვავსებთ სივრცეს. ჩვენ სივრცეში განვამტკიცებთ ჩვენს გადაწყვეტილებას. მან, ვინც გააცნობიერა იერარქიასთან კავშირი, ასევე უნდა მიიღოს ის, რომ *სამყაროს გადაწყვეტილება დამოკიდებულია სივრცის სისავსეზე.* მხოლოდ მიწიერი სამყარო როდია განმსაზღვრელი, არამედ გადაწყვეტილებას მთელი სამება ღებულობს. ამგვარად, ერთი შეხედვით უკვე შეთანხმებული დადგენილებებიც კი ინგრეოდნენ, თუ კი ისინი არ იყვნენ მიღებული ორი უზენაესი სამყაროდანაც. ასევე ბნელი ძალებიც უნდა იყვნენ ინფორმირებული იმიტომ, რომ მათი ყაყანი უფრო აძლიერებს ინფორმირების ხმას. ყოველ სამყაროში გაისმის ამგვარი ძახილი და აღვიძებს ახალ ენერგიებს. რა თქმა უნდა რომ, ისინი ვისაც ამგვარი მანიფესტაციები ეხება, მომჭირნენი უნდა გახდნენ, რამეთუ გრიგალი მათკენ მოჰქრის.

156. *მთავარი საფრთხე ცნობიერებათა წარმოუდგენელ განსხვავებებშია.* როდესაც ერთნი უკვე ატომისტურ ენერგიებს ეხებიან, სხვებს ამ დროს ჯერ გამოქვაბულში ცხოვრების ცნობიერებაც კი ვერ შეუძენიათ. ასეთი განსხვავება

ბადებს ენერგიათა შეხლა-შემოხლას და აფერხებს მოძრაობას. უფრო მარტივია ურჩხულთა მართვა, ვიდრე ამგვარად განსხვავებული მასებისა. *ამიტომაა, რომ ასე რთულდება წინსვლა და ცნობიერებათა ამაღლება.*

157. საჭიროა ყველაფერში ახალი ხერხის გამოყენება. შეიძლება დანახვა იმისა, რომ სამყაროს მოვლენები ახალ-ახალი მახვილებით იჭედება. *საჭიროა საერთაშორისო სამართლის სწავლა, რათა არ შეიზღუდოთ ძველი მეთოდებით.* თქვენ ხედავთ, თუ როგორ ვითარდებიან მოვლენები გერმანიაში, იტალიაში, თურქეთში, ეს ხომ არანაირად არაა გათვალისწინებული საერთაშორისო სამართალში. შეიძლება ითქვას რომ მსოფლიოს გზა ძველი უფლებების გვერდის ავლით მიემართება. *ჩვენ უფლებებს როდი ვეძებთ, არამედ ვეძებთ სამართალს.*

158. *იფიქრეთ როგორც ქვეყნის, ასე ოჯახის დამოუკიდებლობაზე.* უნდა წარმოიდგინოთ ის, თუ როგორ იარსებებს ქვეყანა შინაგანი მიმოცვლის წესით, როგორ შეუძლიან ოჯახს სულიერი აზროვნება; *ასეთნაირად გახდება ერი თვითდამკვიდრებული და შეიყვარებს სრულყოფილებას.*

159. დიახ, დიახ, დიახ, თუ ადამიანები არ მიმართავენ იეროშთაგონებას, მრავალ შემაშფოთებელ მოვლენას ექნება ადგილი. წონასწორობა და შესაბამისობა დარღვეულია მსოფლიოს მექანიკური წარმოდგენებით. ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ჩვენ ფიზიკური ცოდნის შეძენაზე ვზრუნავდით. ჭეშმარიტად, ამ მიმართულებით მრავალი მიღწევებია მიღებული, მაგრამ იმავდროულად *სულიერი ცოდნა ჩამორჩა ფიზიკურს. ეთიკა ფორმულათა გორებს შუა დაიკარგა. მანქანებმა ადამიანებს აზროვნების ხელოვნება დაავიწყა. ეხლა იმატა რობოტების სიმრავლამ! სამყაროს გაწონასწორებას გული სჭირდება,* აი ამ მითითებაში ძევს უცილობელი გადარჩენა. ბოროტი ტალღით იმუხტება დედამიწის აურა.

160. *მომჭირნე მეოჯახე ყოველ ნარჩენს გამოუნახავს გამოყენებას.* თანამედროვე მშენებელმა უნდა იკისროს ეს საგმირო საქმე. ეს განსაკუთრებულად ძნელი საქმეა, რადგან იოლი როდია რობოტების გამოყენება იქ, სადაც გააზრებული დასაბუთებაა საჭირო.

161. ვისწავლოთ ყველაზე აუცილებელ მოვლენათა შინაარსის წვდომა. აუცილებლობის ხარისხის განსაზღვრა, — ბელადის თვისებაა.

საჭიროა შეგეძლოს მრავალ ერთდროულად შესასრულებელ მოთხოვნილებათა მოზაიკური წესით დალაგება, როგორც *საერთო*, ასე *თანმიმდევრული* წესრიგით. *არა ლოგიკა, არა გონება, არა ფორმულები, არამედ გულის ცეცხლოვანება გაუნათებს გზას ამგვარ მოქმედებათა თანმიმდევრულ მსვლელობას.* საჭიროა მთელი გულით იცოდე, თუ სადაა გასასვლელის საკმარისი ის ზომა რომ მეზობელს არ უბიძგო. *გული გიკარნახებთ თუ როდის არ უნდა გადავაჭარბოთ წნევას. ძალების ამგვარ გამოცდას სამართლიანობის ფრთები ეწოდება.*

162. სირცხვილი იმ ქვეყანას, რომლის მასწავლებლები სიღარიბესა და მათხოვრობაში იმყოფებიან. სირცხვილი იმათ, რომლებმაც იციან რომ მათ შვილებს შეჭირვებული ადამიანი ასწავლის. *არა მხოლოდ სირცხვილი ერს, რომელიც არ ზრუნავდა მომავალ თაობათა მასწავლებლებზე, არამედ ეს გარემოება ერის უმეცრებაზეც მეტყველებს. შეიძლება ჩააბარო ბავშვები დაბედშავებულ ადამიანს? როგორ შეიძლება დაივიწყო ის, თუ როგორი ზეგავლენის უნარიანია უბედურება? განა შეიძლება არ იცოდე, რომ დათრგუნული სული აღტაცებას ვერ გამოიწვევს? შეიძლება მასწავლებლობა არარაობად მიგაჩნდეს? შეი-*

*ძლება ელოდებოდე სულის გაბრწყინებას ბავშვებიდან, თუკი მათი სკოლა დამცირებისა და გულისტკენის კერადაა გადაქცეული? როგორ უნდა იგრძნოთ აღმშენებლობა თუკი კბილების ბრაზიანი ღრჭიალი გესმით? შეიძლება ელოდებოდე გულის ცეცხლოვანებას, როდესაც სული დუმს? ასე ვამბობ, ასე ვიმეორებ იმას, რომ ერმა, თავისი მასწავლებლის დავიწყებით, თავისი მომავალი დაივიწყა. ხელიდან არ გაუშვათ დრო და მივმართოთ ჩვენი აზრები მომავლის სიხარულისაკენ. ვიზრუნოთ იმაზედ, რომ მასწავლებელი, სახელმწიფო დებულებების თანახმად, ყველაზე ძვირფასი პიროვნება გახდეს. მოდის დრო, ოდეს სული უნდა განათლდეს და გაიხაროს მან ჭეშმარიტი შემეცნებით.*

163. საჭიროა გული მოულბოთ მასწავლებლებს, და მაშინ, ისინი მუდმივ შემეცნებაში იქნებიან ჩართული. *ბავშვის გულმა იცის თუ რა ანთია და რა ჩაქვრა უკვე.* არა დავალებული გაკვეთილი არამედ მასწავლებელთან ერთობლივი მისწრაფება იძლევა საოცრებათა სამყაროს. თვალი აუხილო მოსწავლეს, ნიშნავს მასთან ერთად შეიყვარო ღვთის უდიადესი ქმნილება. ვინ არ დაეთანხმება იმას, რომ მომავლისაკენ მისწრაფებას, ფეხქვეშ მყარი ნიადაგი ესაჭიროება? ჩუბინი დაგიდასტურებთ.

ასეთნაირად ვიზრუნოთ ყველაფერზე, რაც მომავალს განამტკიცებს. კარს ცეცხლია მომდგარი.

164. ტყუილად როდი თავაზობდნენ ძველი დროის ბრძენკაცები ადამიანებს *მხატვრობისა* და *ხელოვნების* ათვისებას. ყოველი უნდა იყვეს დაკავებული ამ საქმით. მხატვრობა და ხელოვნება გონების მოკრების საშუალებას გულისხმობდნენ. *სრულყოფილებისაკენ* სწრაფვით, ყოველი მათგანი *სრულყოფილების* მისაღწევად *ძაბავდა ყურადღებას* და ნებისყოფას. იმ მცირერიცხოვან საგნებზეც კი, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ჩანს ხელოსნობის უმაღლესი ხარისხი. და ეხლა კვლავ დადგა ჟამი ხელოსნობის ხარისხისაკენ შემობრუნებისა. არ შეიძლება მანქანების გამო დაუშვათ სულიერი შეზღუდულობა. *დრო უნდა შეავსოს ხელოსნობის ხარისხმა,* და ეს წარმოსახვის უნარს განაახლებს. ცეცხლოვანი მიღწევების საფეხურებზე ზუსტად ხარისხი და წარმოსახვის უნარები არიან შეერთებული. დაე დაიმახსოვროს ბელადმა ძველი ბრძენკაცების ეს დარიგება.

დიახ, ზუსტად რომ უნდა გესმოდეთ ძველი წყაროებისა. როდესაც მათი მნიშვნელობა გაიხსნება, მაშინ ახალ აღმოჩენათა რიგიც დადგება. მრავლის პოვნა და აღმოჩენაა შესაძლებელი, მა-

გრამ ველური წადილი საგანძურს არ უნდა შეეხოს. ნუ მოვაკლებთ ევოლუციას გონივრულობას.

165. ურწმუნოების ბოღმამ დატბორა მსოფლიო. ამგვარი ბოღმა ყველაზე ავია, რამეთუ იგი სიცოცხლის არსს ეპაექრება. იგი თავისსავე თავს აღიზიანებს და სიცრუით ყოველ შესაძლებლობას სპობს.

166. არც ისე იშვიათად ადამიანები კითხულობენ, — როგორ მოვექცეთ წასულთა ნაანდერძევს? ხშირად ასეთი დავალებანი არ პასუხობენ შემსრულებელთა წარმოდგენებს. შეიძლება ასეთი რჩევა, — რა თქმა უნდა ძმათამკვლელობის რჩევების გარდა, — სხვა დანარჩენ დავალებათა შესრულება. *დაუშვებელია სხვისი კარმის მიღება,* *მით უმეტეს რომ წასულები იმ ენერგიებს ანვითარებენ რა მიმართულებაც ჰქონდათ მათ მიღებული წინა ცხოვრებაში. ძალზედ ძნელია შეცვალო წარმოდგენები, რომლებიც წვრილ სამყაროში გრძელდებიან.* ასე რომ, — ანდერძის შესრულება ძალზედ სასარგებლოა ენერგიათა ჰარმონიისათვის.

167. ხშირად ბელადი კარგავს თავის მიმზიდველობას სულ რაღაც პატარა, მაგრამ დამამცირე-

ბელი ჩვევის გამო. ასევე ქრება ბელადის შარავანდედიც გრძნობებისაგან თავშეუკავებლობის გამო. ის ხომ გაწონასწორების მაგალითს უნდა იძლეოდეს, რითაც ის გვიჩვენებს იმას, რომ მისი ფსიქიური ენერგიის მარაგი დიდია. *მაგრამ როგორც კი ბელადი დაუშვებს ჩვევებს და მიწიერ გამოვლინებებს დაეწაფება, იგი ჩვეულებრივ ადამიანად გარდაიქცევა. ყოველი ჩვეულებრივობა, – გმირთა სამარეა.*

168. ასე რომ, ყველაფერში სამი გზის გარჩევა შეიძლება: გზა *იოლი;* გზა *ძნელი;* გზა *შემაძრწუნებელი.* *პირველ გზას განაპირობებს ყოველი ხელსაყრელის, სასარგებლოსა და კეთილის შეკავშირება.* *მეორე ისეთია,* როდესაც ზოგიერთი კეთილი კავშირები გადაფარულია მავნე და დამანგრეველი მოვლენებით. ძნელია ასეთი გზა და თვალახვეულის სირბილს მოგვაგონებს. *მესამე გზა ისეთია,* როდესაც უმეცრება ღრწნის ბნელეთში გითრევს და ასეთი გზა ჭეშმარიტად შემაძრწუნებელია. *არადა ადამიანებს უფლება არა აქვთ ასეთ უბედურებებში სხვები დაადანაშაულონ, რამეთუ მათ თავად ამოიყორეს ყურები და დაიბრმავეს თვალები. მათ უარი სთქვეს დახმარებაზე და აზროვნებაში ქაოსი შემოუშვეს.* ასე რომ ხუროთმოძღვარმა პირველი გზით იაროს.

169. შეიძლება კი, რომ სინათლე ბნელეთთან კავშირში შედიოდეს? მაშინ იგი უნდა ჩაქვრეს, რათა საპირისპირო საწყისს შეუერთდეს. *სინათლის ბელადმა არც კი უნდა გაიფიქროს გუნდში სინათლის ჩამაქრობელთა და სინათლის მოწინააღმდეგეთა მიღება.* სინათლე ვერ გაზრდის ბნელს, ასე ბნელიც ვერ გაზრდის სინათლეს, მაშასადამე ამგვარი კავშირები ეწინააღმდეგებიან ბუნებას.

170. სწორი გეზი იმითაა კარგი, რომ ყოველი მისი ზომა უკვე სასარგებლოა. არც კი ღირს იმაზე ფიქრი თუ სადაა გზის დასასრული? *სწორ გზაზედ შეიძლება გახდე უკეთესი ნებისმიერ ზომამდე.*

171. წყალქვეშა სპეციალისტი ემზადება წყლის ყველაზე ღრმა ფენებისათვის. მას არ ადარდებს წყლის ზედაპირი, სამაგიეროდ მან უნდა გაითვალისწინოს ფსკერზე არსებული მთელი წნევა. თუ ხალხთან შეხვედრას აპირებთ, საჭიროა წარმოდგენა იქონიოთ ყველაზე დაბალ ფენებზე. არ უნდა უგულებელყოთ ყველაზე მდაბალი ცნობიერების გაგება. პირიქით, საჭიროა მოიმარაგოთ მთელი მოხერხებულობა, რათა მხეცურ ბრდღვინვაშიც კი დაიჭიროთ ადამიანური ინტონაციები.
ასე რომ, უნდა იქონიოთ განმარტებათა დიდი

მარაგი, რათა ყოველმა ფენამ ცნობიერების შესაბამისად მიიღოს განმარტება. ყველაზე საშიშია არ იცოდე თუ როგორ მოერგო ცნობიერებას. რამდენი უბედურება მომხდარა მხოლოდ უადგილოდ *ნათქვამი სიტყვის გამო!* გამოავლინეთ მოხერხებულობა.

172. მდევრებისაგან დაწევის შემთხვევაში, მაცნე მდინარის ყველაზე განიერ ადგილზე შევარდება ცხენით. მდევრები ჩერდებიან, რამეთუ იმედი აქვთ, რომ მაცნე დაიხრჩობა, მაგრამ იგი მეორე ნაპირზე გადის. მდევრები სიჩქარის გამო ეძებენ ყველაზე  ვიწრო ადგილს და შედიან ჩქარ დინებაში და იხრჩობიან მასში. *ჭეშმარიტად, სადაც ვიწროა საშიშროებაც იქვეა,* ამგვარი მოსაზრება ყველგან გამოსადეგია. თავისუფლების მირაჟის ძებნას არ მოაქვს გმირობა. *ყველაზე ძნელი ყველაზე ხელმისაწვდომია.* ადამიანებს არ ესმით, რომ *დაუცხრომელი ძიებანი უკვე აღვიძებენ ძლიერ ენერგიებს.* ამიტომ ნუ მივადგებით ვიწროს და *გვერჩივნოს ვრცელი ასპარეზი.*

173. ნათქვამია: ფუფუნებამ უნდა მიატოვოს კაცობრიობა. ტყუილად კი არ გამოჰყვეს ცალკე მცნებად ადამიანებმა სიტყვა ფუფუნება. მას ვერაფრით ვერ შეცვლით. ფუფუნება არც სილამაზეა, არც სული-

ერება, არც სრულყოფილება, არც შენება, არც თანაგრძნობა, არც სიკეთე, ვერცერთი კეთილი განმარტება ვერ ახსნის და ვერც კი შეცვლის მას. ფუფუნება სახსრებისა და შესაძლებლობების მოშლაა. ფუფუნება ღრწნაა, რადგან ყოველივე, რითმის გარეშე აშენებული, ღრწნა გამოვა. უკვე საკმარისად ჩანს, რომ ყოფითი ფუფუნება შერყეულია, მაგრამ საჭიროა შეთანხმებული თანამშრომლობის მოძებნა, რათა განკურნებულ იქნას ფუფუნების ჭირი.  ეგოიზმი, ამის მიმართ, უარზე იქნება და იტყვის, რომ ფუფუნება დამსახურებული სიუხვეაო. ასევე იტყვიან, რომ ფუფუნება მეფური მდგომარეობააო და ეს *ჭორი* იქნება. *<u>ფუფუნება დაცემისა და სულის დაბინდვის ნიშანია.</u>* ფუფუნების ბორკილები ყველაზე საშინელი უბედურებაა წვრილი სამყაროსთვისაც. <u>იქ ხომ ზრდა და აზრის მუდმივი სრულყოფილებაა საჭირო.</u> ჩახერგვის მოვლენები შემდეგ კარამდე ვერ მიგიყვანთ.

174. ნუ შექმნით უძრავ გეგმებს. სივრცეში მრავალი ახალი პირობა არსებობს. შეიძლება მძლავრ კედელთან მიშენება, ასევე გეგმაც თავისი ფუძით უნდა იყვეს ძლიერი, მაგრამ მოვლენათა დაწვრილებით განვითარება, მსოფლიოს მოვლენებთან ერთად უნდა იზრდებოდნენ.

175. ბრძენი ბელადი ჯერ თანამოსაუბრეს მოუსმენს და მხოლოდ იმის შემდეგ იტყვის თავის აზრს. იგი მოისმენს მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ აზრის არსი ამოიკითხოს, არამედ იმისთვისაც, რომ თანამოსაუბრის ენას ჩაწვდეს. ეს ბოლო პირობა მეტად მნიშვნელოვანია. განა რა გამარჯვებაა ის გამარჯვება, როდესაც კანონმდებელს მხოლოდ თავად ესმის თავისივე კანონი. საჭიროა, რომ ყოფიერების საფუძვლები ყველასათვის ცნობიერებისდა შესაბამისად ჟღერდეს. ამგვარად, თანამოსაუბრის ენის ათვისების ხელოვნება ცნობიერების განვითარების დიდ დონეზე მეტყველებს. ეს უკვე იეროშთაგონების შედეგია, ან ცნობიერად ყურადღების გამახვილების შედეგი. მასში არ იქნება ქედმაღლობა, პირიქით, თანამოსაუბრის წარმოდგენების მიმართ თანაგრძნობაა. მრავალი სასარგებლო მოსაზრებაა დამცირებული თავისებური გამოთქმის გამო, მაგრამ ცეცხლოვანი თვალი მათში სიმართლის მარცვლებს აღმოაჩენს.

176. აზრი შეუძლებლობაზე, — უკვე ბნელეთის საწყისიდანაა. უნდა მოისპოს ყოველგვარი გულაგატეხილობა, რამეთუ ეს გზა ჭეშმარიტებისაკენ როდი მიდის. სხვადასხვა ერივნებების ადამიანები ერთნაირად გამოხატავენ როგორც სიხარულს

ასე სევდასა და მწუხრს. ეს იმას ნიშნავს რომ ურთიერთგაგების გზა გახსნილია.

177. შეუძლებელია, თუნდაც ირიბად, თანამშრომლობის საფუძვლების მოშლა. საჭიროა თანამშრომლობის მცნებას დაურთოთ მასწავლებლობის, მოყვასის პატივისცემა, ასევე საკუთარი თავისა და მათი პატივისცემაც, ვინც თქვენს შემდეგ მოდის. *ზუსტად ეხლაა დაუშვებელი თანამშრომლობის მნიშვნელობის დამცირება, რომელიც ცნობიერების გაზრდის ესოდენ ძლიერ საშუალებას წარმოადგენს. საჭიროა შევიყვაროთ თანამშრომლობა, როგორც საერთო კეთილდღეობის საწინდარი.*

178. ადამიანებს არ შესწევთ უნარი მომავალზე ფიქრისა, რამეთუ წარსულის ილუზიის ხიბლში იმყოფებიან. წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელიც მრავალი დღის შემდეგ მიიღებს არასასიამოვნო შეტყობინებას ისეთ ამბავზედ, რაც უკვე დიდი ხნის წინათ მომხდარა. ამ ამბავმა უკვე დიდი ხანია გადაიარა, ამასობაში კი თვითონ ეს ადამიანი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მშვიდად ცხოვრობდა მომხდარის შემდეგ, მაგრამ ამბის მიღების შემდეგ იგი იძირება წარსულში და კარგავს კავშირს მომავალთან. მომავლის ხე

ხომ უნდა იზრდებოდეს და არ შეიძლება მისი გადაჩეხვა წარსულში ჩაძირვის გამო. საჭიროა სკოლებში ყურადღების *მომავლის შესწავლაზე* გამახვილება. *ყოველი ბელადი საკუთარ სივრცეში მომავალზე იფიქრებს, სხვაგვარად იგი ბელადი არაა.*

179. უკვე ნათქვამია, რომ წაბილწვა უნდა იქნას უკუგდებული, მაგრამ საჭიროა ავითვისოთ ისიც, რომ ყოველი და ყოველნაირი *წაბილწვა დაუშვებელია.* ზოგჯერ ადამიანები მხოლოდ მცნებათა ვიწრო წრის სივრცეში თავისუფლდებიან წაბილწვისაგან, მაგრამ მეზობლის მიმართ მათი ენა უმძიმეს სიბილწეს იყენებდა. ვის შეუძლიან განსაჯოს ის, თუ რაოდენ უზენაესი გულისმიერი სიმები იყო შელახული ამ ბოღმიანი დამცირებებით? ამიტომ, წაბილწვა საერთოდ უნდა იყვეს ამოღებული ცხოვრებიდან როგორც უღირსი და მავნე მოქმედება.

180. უმეცრები თვლიან, რომ *გასხივოსნებული* ბნელეთზე შურის საძიებლად მოდის. მაგრამ *სინათლე ბნელს* არც კი კლავს. უფრო სწორად, *ბნელი* უახლოვდება რა *ნათელს* თავად იმსხვრევა და ისპობა კიდეც. ძალზედ არსებითია ჩავწვდეთ იმას, რომ *ბნელი თავად ისპობს საკუთარ*

*თავს, ოდეს უახლოვდება სინათლეს.*

*ასე უნდა დაიმახსოვროს ბელადმა, ოდეს უმეცარნი შურისძიებაზე დაიწყებენ ლაპარაკს*.

181. ერთმა ხელისუფალმა სახელმწიფო საბჭოს დასრულების შემდეგ, აიღო თიხის ლარნაკი და ყველას თვალწინ დაამსხვრია. როდესაც ჰკითხეს, თუ რატომ გააკეთა ეს, მან უპასუხა: *“შეგახსენებთ გამოუსწორებლის არსებობაზე.”* როდესაც ჩვენ ყველაზე უბრალო საგანს გავტეხავთ, ჩვენ მაინც გვესმის გამოუსწორებელი, მაგრამ რაოდენ გამოუსწორებელია აზრის ნამოქმედარი! ჩვენ შევეჩვიეთ საკუთარი თავის უხეში მცნებებით გარშემორტყმას, რომლებმაც ჩვენი მოხმარებიდან ყველა უზენაესი წარმოდგენები გააძევეს. *ხელისუფალნი რაც უფრო ხშირად შეგვახსენებენ აზრობრივ გადაწყვეტილებათა გამოუსწორებელ შედეგებზე, მით მეტად მრავალ უბედურებას აგვაცილებდნენ თავიდან*.

ხელისუფალი ცოცხალი მაგალითია. ხელისუფალი განამზადებს გზებს სამყაროს ყოველ განზომილებაში. იგი იძლევა კეთილდღეობის საფუძვლებს. მაგრამ მხოლოდ მიწიერ განზომილებაში როდი არსებობს კეთილდღეობა. *ასე რომ, ვერ გახდება ხელისუფალი ის, ვისაც ცეცხლი ასან-*

*თის ღეროს ბოლოზე უნთია და არა გულში.* ასეთი ხელისუფალის საზომი, მისი წარმოდგენების ზომისა იქნება.

182. *ვინც ამბობს, რომ გმირები საჭირონი არ არიან იგი საკუთარ თავს მოჰკვეთს ევოლუციისაგან.* შეამჩნიეთ, რომ იქ, სადაც მდარე, ურწმუნოებისა და ეგოიზმის საზღვარი გადის, იქ თვითგანადგურებაა. შეიძლება ათეულმა წლებმაც კი განვლოს, ვიდრე თვითგანადგურების პროცესი გამოვლინდება, *და იგი ყოველთვის იმ საათიდანვე იწყება, ოდეს უარჰყვეს იერარქია.* შეუძლებელია წარმოიდგინო შემტევი მოძრაობის აღძვრა იერარქიის გარეშე. უნდა განამტკიცებდეთ ამ მეტად მარტივ მოძღვრებას, რადგან ადამიანები უფსკრულისაკენ მიილტვიან. სამხრეების სხივები მძაფრ ტკივილს იწვევენ უკვე არა პლანეტის კრუნჩხვებისაგან, არამედ ადამიანთა კბილების ღრჭიალის გამო. როგორც ქარბორბალები წყლის სვეტებს აღმართავენ, ასე დაბზრიალდა გათითოკაცებული კაცობრიობა. *ადამიანთა სულის ამბოხის მეტად მნიშვნელოვანი წელია.* ცეცხლის შეკავება მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდეა შესაძლებელი. *ყველა შეზღუდვების მიუხედავად იგი აუცილებლად ამოხეთქავს.*

183. *მაცხოვრის, მასწავლებლისა და გმირების გალანძღვას გაველურება და ქაოსი მოაქვთ.* როგორ განვმარტოთ, რომ ქაოსი ახლოა და ამისათვის საჭირო არაა ოკეანეს გადაცურვა. ასევე ძნელი ასახსნელია, რომ გაველურება ძალზედ მცირედით იწყება. როდესაც ზეიმურობის საგანძური დაკარგულია და გულის ცოდნის მარგალიტებიც დაიბნა, რაღა დარჩება? *შეიძლება გავიხსენოთ თუ როგორ ამცირებდნენ უზენაეს ზვარაკს.* განა მთელმა სამყარომ არ უპასუხა ამგვარ გადაგვარებას? შეიძლება დანახვა იმისა, თუ როგორ აირეკლება იგი დაწვრილმანებაში. ყველაზე უარესია ასეთი დაწვრილმანება! ვაცხადებ: დალოცვილი ყოფილიყავით ენერგიებო, ოღონდ კი ნუ ჩაიძირებით ღრწნის მარაზმში. ასე რომ, გვახსოვდეს ყოველი უდიადესი დღე!

184. *შეიძლება იმის წარმოდგენა თუ რაოდენ მშვენიერი შეიძლება იყვეს მრავალ ადამიანთა ურთიერთ მსახურება, როდესაც მათი გულები ერთიან აღმასვლისაკენ არიან მისწრაფებულნი.* არ ვიტყვით, — შეუძლებელია ან არის უარყოფილი. ძალას შეიძლება დაესესხო და სინათლისაგან შეიძლება განათლდე კიდეც, ოღონდ კი ჩაწვდით იმას, რაში მდგომარეობენ სინათლე და ძალა. ამაზედ უკვე ხარხარებს ვიღაც, მაგრამ ის

ბნელში ხარხარებს. რა შეიძლება იყვეს იმაზე ამაზრზენი და საშინელი, ვიდრე ხარხარი ბნელში! მაგრამ სინათლე იმასთან იქნება, ვისაც იგი სურს.

185. თანამშრომლობა, პირად გრძნობებზე აგებული, მერყევია. თავად შრომის მიმართ პატივისცემის გარდა, საჭიროა იერარქიის თაყვანისცემაც. პირადი გრძნობების ორომტრიალში, ადამიანები საცობის კაცუნებივით ხტუნავენ ზევით-ქვევით, ერთმანეთს ეხლებიან და გაშმაგებულები ებღაუჭებიან ყველაფერს. მაგრამ ყოველი შრომა, თავისი ბუნებით, ვერ იტანს კრუნჩხვებს. შრომა ცეცხლოვანი მოქმედებაა, მაგრამ ცეცხლის კრუნჩხვებამდე დაყვანა დაუშვებელია. რამდენი შესანიშნავი მოქმედება დაზიანდა პიროვნული, გარდამავალი მირაჟების გამო!

186. *ტექნოკრატია უნდა მივიღოთ როგორც ბნელეთის ფანდი.* მრავალგზის მიმართავდნენ ბნელები ტექნიკურ გადაწყვეტილებებს. ისინი ელოლიავებიან იმედს დაიკავონ ადამიანთა ყურადღება, ოღონდაც სულიერ ზრდას დააცილონ ისინი. *ამ დროს, სიცოცხლის პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ცნობიერების ამაღლებით.* შეიძლება დანახვა იმისა, რომ მექა-

ნიკური პროცესები, იოლად აღძრავენ ადამიანთა იმედებს. წინაპრებისათვის ზუსტად ეს იყო *მაია*, ანუ *ილუზია,* რომელიც ოდნავი ბიძგებისაგანაც კი იმსხვრეოდა.

187. მაგრამ გასაგებია, რომ ადამიანებს სურთ სიცოცხლის არსის შეცვლა. ერთმა ხელისუფალმა ისურვა ერთი კმაყოფილი მაინც მოეძებნა სახელმწიფოში. ხანგრძლივი ძიების შემდეგ ბოლოს და ბოლოს ნახეს ასეთიც, *ეს კმაყოფილი მუნჯი, ყრუ და ბრმა იყო.*

188. სიხარულით აღსრულებული გმირობის გზა *ასჯერ უმოკლესია,* ვიდრე მოვალეობების შესრულება ტირილით. ო, რა მტკიცედ უნდა ახსოვდეთ ეს ანდერძი ცეცხლოვანი გზის მგზავრებს! *მხოლოდ გმირობის ნიშანი გადაატარებს მათ უფსკრულზე, მაგრამ გმირობის მნიშვნელობა შეგნებულად უნდა აღიზარდოს გულში, როგორც სიხარული სულისა.* შეიძლება შეუმჩნეველიც კი დარჩეს ყველაზე სასიკეთო გზა, თუკი თვალს არ მივადევნებთ გმირობის ციურ მნათობს. საჭიროა ყველაზე ბნელის ერთიანი სინათლით განათება. *ვერაფერი, ვერავინ და ვერასოდეს ვერ გვაიძულებს ბნელეთისაკენ მობრუნებას!*

189. ოცნება უნდა გადაიზარდოს დისციპლინირებულ აზროვნებაში. *ძველად ბრძენკაცები ურჩევდნენ დედებს ბავშვებისათვის გადაეცათ გმირებზე თქმულებანი და ემღერათ მათთვის დიდებულ გმირებზე საუკეთესო სიმღერები. ნუთუ კაცობრიობა ეხლა იტყვის უარს ამ ბრძნულ აღქმებზე?*

*ცეცხლოვანი სამყარო უპირველეს ყოვლისა გმირებსა და შემოქმედთათვისაა გახსნილი.*

190. ბელადის მზერა მომავლისკენაა მიმართული.

191. როდის მიხვდება კაცობრიობა თუ რაში მდგომარეობს ერის ჭეშმარიტი ღირსება? როდის მიხვდება კაცობრიობა, რომ სანუკვარი სული განსაკუთრებულად დაცული უნდა იყვეს და რომ აზრის მატარებელ ადამიანებს უნარი შესწევთ, ვითარცა ერთიან წყაროს, ისე მიმართონ ერები? *ასე შეიძლება წაართვა ერს კუთვნილი ძალა ან მინიჭებული ზემოქმედება,* მხოლოდ მისი აზრის ჩაგვრითა და შევიწროებით. ამიტომ ყოველი ერი, უპირველეს ყოვლისა, *უნდა ზრუნავდეს საკუთარ მესაჭეზე,* რამეთუ ნავი საჭეს გარეშე ქარიშ-ხალისაგან თავს ვერ დააღწევს. ამიტომ დიადი ზრუნვა ერისა ყოველ აღმშენებლობაზე, იერარქიაზე უნდა იყვეს დაფუძნებული, რამეთუ

ყოველი შენება ძლევამოსილებით ზემოდან უნდა იყვეს უზრუნველყოფილი.

*ასე რომ, ვიდრე არ დამკვიდრდება იერარქიის შეგნება, კაცობრიობა განწირულია უმეცრებისა და ნგრევის ბნელეთში ჩაძირვისათვის.*

192. *რომელი სახელმწიფოა აყვავებული დიადი წინამძღვრის გარეშე? რომელი დადასტურებული წამოწყება არსებობდა ხელმწიფის გარეშე?* საჭიროა ჭეშმარიტად ჩაწვდე იმას, რომ წინამძღვრის მცნება ყველა უზენაეს მისწრაფებათა სინთეზს წარმოადგენს. ასე რომ, მხოლოდ ნათელი წინამძღვრის იერარქიას შეუძლიან მიანიჭოს სულს მიმართულება. *ამგვარად დაე ყველა, ყველა, ყველა დაფიქრდეს ამაზედ და დაიმახსოვროს იერარქიის ძლევამოსილება.* მხოლოდ ამ ცოდნით შეიძლერბა წინსვლა. მხოლოდ ამ გაგებით შეიძლება მიღწევა. დაე დაიმახსოვრონ მტკიცედ, რომ ყოველი ქვა იერარქიის მიმართულებით ნასროლი, საკუთარი თავის მიმართ ნასროლ მთად გადაიქცევა. ასე დაიმახსოვროს ყველამ. ასეთნაირად წარვადგენთ *წინამძღოლ — იერარქს.*

193. ყოველი სული საკუთარ კარმას ქმნის. ყოველი ერი აშენებს საკუთარ კარმას. რა თქმა უნდა ერები ეძებენ თავის წინამძღოლს, რამეთუ

დადასტურებული პრესტიჟიც კი ვერ შეაჩერებს ადამიანებს, რომლებიც მცდარად მსჯელობენ. არა ოქრო, არა მყვირალა სახელები, არა გამოუსადეგარ რჩევათა გროვები გადაარჩენენ ხალხს. ჭეშმარიტად, ცეცხლოვანი აზრი, წინამძღოლის ცეცხლოვანი სული მოიტანს ახალ გზებს. *ამიტომ კოსმიური პერტურბაციების დროს აშკარად ენთოს სულიერი წინამძღვრის კაშკაშა ვარსკვლავი.*

*ძველი სამყაროს ნანგრევებზე ამგვარად აღმართულიყოს სინათლის დიადი სამჭლობელო!*